

ნ. ბ ა ს ი ლ ა ი ა

სასპენი ნიშნების ხმაიების ნესები ქართუღუი

საქართუელის სსრ უმაღლესი და საშუალო
სპეციალური განათლების სამინისტროს შიერ
დამტკიცებულა დამხმარე სახელმძღვანელოდ
პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტთათვის

4 Γ
499.962.1—1
δ 293

7—1—3
285—66

§ I. შ ე ს ა ვ ა ლ ი

მართლწერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია წერის დროს სასვენი ნიშნების სწორად დასმა.

მოდერებას სასვენი ნიშნების დასმის წესების შესახებ ეწოდება პუნქტუაცია. (ეს სიტყვა მიღებულია ლათინური სიტყვისაგან punctum—წერტილი).

სასვენი ნიშანი არის გრაფიკული საშუალება, რომლითაც ხდება ნაწერში გამოხატული აზრების დანაწევრება.

ზეპირი მეტყველების დროს მოუბარი ცალკეული აზრების გამომხატველ წინადადებებს, ზოგჯერ სიტყვას ან მთლიან შესიტყვებას საჭიროებისამებრ ერთმანეთისაგან გამოყოფს პაუზით, წერის დროს კი, გარდა იმისა, რომ თითოეულ სიტყვასა და წინადადებას გარკვეული მანძილით განაცალკევებს ერთმანეთისაგან, ხმარობს სასვენ ნიშნებსაც. გადმოსაცემი აზრის მიხედვით, დამწერი აირჩევს წინადადების იმეთ სინტაქსურ აგებულებას, რომელიც ნათლად გამოხატავს შინაარსს და, სხვისთვის ადვილად გასაგები რომ იყოს, ამ მთლიან სინტაქსურ ერთეულს ანაწევრებს იმეთ ნაწილებად, რომლებიც აზრობრივად შედარებით დამოუკიდებელ ერთეულებს წარმოადგენენ.

გრაფიკულად გამოხატული ნათქვამის დანაწევრება სასვენი ნიშნებით საშუალებას აძლევს დამწერს, რომ ზუსტად, ნათლად და მკითხველისათვის ადვილად გასაგებად გამოხატოს აზრი, ამიტომ წერის დროს ყოველი წინადადება მოითხოვს შინაარსობრივად კარგად გააზრებას, სიტყვების ზუსტად შერჩევას, სინტაქსურად სწორად აგებასა და სასვენი ნიშნების სწორად დასმას.

პუნქტუაცია დამახასიათებელია წერითი მეტყველების შედარებით რთული ფორმებისათვის, ამიტომ იგი შემუშავებულია უფრო გვიან, ვიდრე, საერთოდ გრამატიკა და, კერძოდ, ორთოგრაფია.

უძველეს დროში წერისას არათუ სასვენ ნიშნებს არ ხმარობდნენ, არამედ წინადადებაში სიტყვებსაც არ გამოყოფდნენ ერთმანეთისაგან, დაწერილი ტექსტი არ იყოფოდა ლექსიკურ და სინტაქსურ ერთეულებად, მათ შორის არ ტოვებდნენ მანძილს. ამ პერიოდში წერა-კითხვის მცოდნე იშვიათი იყო. მაშინდელ ხელნაწერ ძეგლებს პროფესიული

მკითხველები და გადამწერები ჰყავდა, რომელთაც აღვილად შეეძლოთ მიჯრით დაწერილი სიტყვებისა და წინადადებების წაკითხვა, სხვა მკითხველს კი, რასაკვირველია, გაუძნელდებოდა ასე დაწერილი ტექსტების როგორც თავისუფლად კითხვა, ისე გაგებაც.

აკად. ი. ჯავახიშვილი წერდა: „თავდაპირველად ადამიანი იმდენად განვითარებული და დახელოვნებული არ იყო, რომ წერისა და წარწერის ამოჭრის დროს სიტყვებისა და წინადადებათა დაყოფაზე ეფიქრა. მაშინ ის მხოლოდ იმაზე ზრუნავდა, რომ ასოები სწორად გამოეყვანა. ამიტომ ყველგან და ყველა ენაზე უძველესი წარწერები ისეა შედგენილი, რომ ასო ასო მოსდევს და არც სიტყვები და არც, მით უმეტეს, წინადადებები ერთიმეორისაგან დაშორებულიც კი არ არის. სად თავდება ერთი სიტყვა და სად იწყება მეორე, არა ჩანს. არც ის ჩანს, სად თავდება ერთი წინადადება და სად იწყება ახალი. ეს თვით მკითხველმა უნდა გამოარკვიოს. მხოლოდ შემდეგში მიუხვდა ადამიანი სიტყვების ერთიმეორისაგან განცალკევების მნიშვნელობას და საამისოდ ნიშნები იქნა შემოღებული. მაგრამ ეს სასვენი ნიშნები კი არ ყოფილა, რომელთა საშუალებით წინადადება წინადადებისაგან და თვით ერთს წინადადებაშიაც წევრთაშორისი გრამატიკულ-ლოგიკური დამოკიდებულება ამჟღავნებდა ხოლმე, არამედ მხოლოდ სიტყვათა მექანიკური განცალკევება იყო.“*

დიდი ხნის შემდეგ სიტყვებს შორის ინტერვალის აღსანიშნავად შემოღებულ იქნა სათანადო ნიშანი. სვამდნენ ერთ, ორ ან სამ წერტილს სიტყვათა ერთმანეთისგან განსაცალკევებლად.

როგორც ი. ჯავახიშვილი ქართული ხანმეტი ძეგლების შესწავლის შედეგად აღნიშნავს, „როგორც განკვეთილობისა, ასევე სასვენი ნიშნები ქართულ მწერლობაში უკვე VI ს-ში უხმარიათ. შემდეგ, არაბთა ბატონობაში VII-VIII სს-ში მომხდარი შედარებითი დაქვეითების წყალობით, სასვენი ნიშნების ხმარებას გადაჩვეულან და მხოლოდ განკვეთილობის ნიშნები-და უხმარიათ.“** ამ დანიშნულებით აღნიშნული ნიშნები გამოყენებული აქვს გიორგი მთაწმიდელს (XI საუკუნის I ნახევრის მოღვაწეს). გიორგი მთაწმიდელის შემდეგ განკვეთილობის ნიშნებს დამატებია სასვენი ნიშნები, რომელნიც ჩვენს მწერლობაში შემოუღია მე-11 საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილ ქართველ მთარგმნელსა და ლინგვისტს—ეფრემ მცირეს. მას წერტილის საფუძველზე შეუღმუშავებია მთელი სისტემა: ერთი ქხრით, მცირე და დიდი შეს-

* ი. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, 1949., გვ. 144

** ი. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, 1949., გვ. 145.

ვენებისთვის, მეორე მხრით, წინადადების დასამთავრებლად და ახლად დასაწყებად, აგრეთვე გასაკვეთი ნიშანიც.

ეფრემ მცირე მცირე სასვენად ხმარობდა ერთ წერტილს, ორ წერტილს — სიტყვათა გასაკვეთად, სამ წერტილს—დიდ სასვენად, ექვს წერტილს წინადადების სრულად დასაბოლოებლად და ახლად დასაწყებად. ექვს წერტილს ხმარობდა აგრეთვე ხმის საქცევის გამოსახატავად. ეს სისტემა XI საუკუნიდან დიდად განმტყიცდა შწერლობაში.

ივანე ჯავახიშვილი აგრეთვე აღნიშნავდა, რომ XV საუკუნის „ანა დედოფლისეული ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერში სიტყვათა ერთიმეორისგან განკვეთილობის ნიშნად სამი წერტილია ნახმარი, სასვენ ნიშნად კი მძიმეა შემოღებული.*

დროთა განმავლობაში ხელნაწერ ძეგლებში უკვე შეინიშნება წინადადებათა ერთმანეთისგან დაშორება ცოტა მანძილით ან მთავრული ასოთი დაწყება.

მწიგნობრობის განვითარებამ მოითხოვა ტექსტების დანაწევრებაც როგორც სიტყვებად, ისე წინადადებად. ამან გამოიწვია მზრუნველობა სათანადო სასვენი ნიშნების შემუშავებისთვის.

XV საუკუნეში ევროპაში ბეჭდვის შემოღებასთან დაკავშირებით, დაბეჭდილი ტექსტების წაკითხვისა და გაგების გაადვილების მიზნით, წინადადების სიტყვებად დანაწევრებასა და წინადადებათა ერთმანეთისგან გარკვეული მანძილით დაშორებას, მასთან პუნქტუაციას, როგორც დაბეჭდილი ტექსტის გაგებას გაადვილებს საშუალებას, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. არსებულ ძველ ნიშნებს მალე ახალი ნიშნებიც დაემატა და დაბეჭდილ ტექსტში მეტი გარკვეულობის შესატანად, აზრის გასაჯებად გამოსახატავად უკვე შეშუშავდა მათი ხმარების წესები, რომლებსაც იყენებენ ყველა სამწერლობო ენაში.

ამჟამად პუნქტუაცია არის სასვენი ნიშნების ხმარების სავენი ჩამოყალიბებული, გარკვეული სისტემა, რომელიც ძირითადად სამი დანიშნულებისაა:

1. გამოხატავს წინადადების სხვადასხვა აზრობრივ ელფერს, 2. გამოყოფს გრაფიკულად გამოსახული ნათქვამიდან აზრის ნაწილებს და 3. მიუთითებს წინადადების ნაწილთა ურთიერთმიმართებაზე.

1. წინადადებას სხვადასხვა აზრობრივი ელფერის გამოხატვა ნიშნავს მითითებას იმაზე, თუ რა სახის შინაარსია მოცემული წინადადებაში: თხრობაა ანუ მსჯელობა (მაგ., კარგი მასწავლებელია), კითხვა (მაგ., კარგი მასწავლებელია?), გრძნობა (მაგ., რა კარგი მასწავლებელია?)

* ი. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, 1949, გვ. 146.

ლია!, ბრძანებაა (მაგ., მალე მოდი!), თუ კითხვა და გრძნობაა ერთად გამოხატული (მაგ., ეს რა შესმის?!).

II. გრაფიკულად გამოხატული ნათქვამიდან აზრის ნაწილების გამოყოფა ნიშნავს: 1. წინადადებათა ერთმანეთისგან განცალკევებას, 2. წინადადებაში ერთგვარი წევრების ერთმანეთისგან გამოყოფას და 3. ისეთი სიტყვების განცალკევებას, რომლებიც მნიშვნელობით ან გრამატიკულად წარმოადგენენ დამოუკიდებელ ერთეულებს, როგორცაა, მაგალითად: განკერძოებული წევრები (განსაზღვრება, დამატება, გარემოება), დანართი და გრამატიკულად დაუკავშირებელი სიტყვები (ჩართული, მიმართვა, შორისდებული, მიგებითი ნაწილაკი).

III. წინადადების ნაწილთა ურთიერთმიმართებაზე მითითება ნიშნავს იმის გამოხატვას, თუ როგორია ერთმანეთთან შეერთებული წინადადებებით გამოხატულ აზრებს შორის კავშირი: უშუალო, თუ შუალობითი; თანწყობილი, თუ ქვეწყობილი. სწორედ ამით განისაზღვრება რთულ წინადადებებში მძიმის, წერტილმძიმის, ორწერტილის ხმარება.

სასვენი ნიშნების დაუსმელობა ძალიან აძნელებს დაწერილის წაკითხვასა და გაგებას. მართალია, ზოგჯერ ავტორი ისე დაალაგებს სიტყვებს, რომ სასვენი ნიშნების გარეშეც ადვილად წაიკითხება და გაიგება აზრი, მაგ.:

მირბის მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი
უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი
გასწი მერანო შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი შავად მღელვარი...

(ნ. ბარათაშვილი, „მერანი“)

მაგრამ ასეთი შემთხვევა არც ისე ხშირია, თუმცა ასეთი წყობის წინადადებებშიც სასვენი ნიშნების დაამას მეტი გარკვეულობა შეაქვს. თუ როგორ აძნელებს სასვენი ნიშნების გამოუყენებლობა ტექსტის გაგებას—ამას ნათლად მოწმობს შემდეგი შედარებით ადვილად გასაგები ნაწყვეტიც კი:

„აქუხდა არაგვიც ორივე მხრიდან ორმა მთამ დააქანა თავისი ნაკადულები ქვევით ააგუგუნა ხევები და მიუსია არაგვს ელვასავით გამოქანებული ნიაღვარი“. გაუგებარია: 1. აქუხდა არაგვიც ორივე მხრიდან, თუ ორივე მხრიდან ორმა მთამ დააქანა ნაკადულები? 2. დააქანა თავისი ნაკადულები ქვევით, თუ ქვევით ააგუგუნა ხევები?

სასვენი ნიშნების გამოყენებით ავტორს ნაწყვეტში გამოხატული აქვს შემდეგი აზრი: „აქუხდა არაგვიც. ორივე მხრიდან ორმა მთამ დააქანა თავისი ნაკადულები ქვევით, ააგუგუნა ხეები და მიუსია არაგვს ელვასავით გამოქანებული ნიაღვარი:“ (ი. ევლ.).

მძიმის გადასმა იწვევს წინადადების აზრის შეცვლასაც. შესიტყვება—„ნუ ხარ ზარმაცი მამაშენივით იყავ მამაცი!“ —უმძიმოდ ორნაირად გაიგება: 1. ნუ ხარ ზარმაცი მამაშენივით (თუ ამ უკანასკნელის შემდეგ დავსევამთ მძიმეს), 2. მამაშენივით იყავ მამაცი (თუ მძიმეს დავსევამთ ამ ნაწილის პირველი სიტყვის წინ).

სასვენი ნიშნების გამოუყენებლობა არა მარტო აძნელებს წასაკითხავის დანაწევრებას შემადგენელ ნაწილებად, არამედ შეიძლება გამოიწვიოს მცდარი ან თუნდაც ტექსტის სადავო გაგება.

1. მამა, ხვალ ვერა ვერ ჩამოვა (საუბარი ეხება ვერას).

მამა, ხვალ ვერა, ვერ ჩამოვა (საუბარია სხვა პირზე, რომელიც იგულისხმება წინადადებაში).

მამა ხვალ ვერა, ვერ ჩამოვა (აქ კი საუბარი ეხება მამას).

2. ღამით საშინლად ციოდა, კარავში ტურისტები ჩაის შეექცეოდნენ.

ღამით საშინლად ციოდა კარავში, ტურისტები ჩაის შეექცეოდნენ.

3. ყოველი მოქალაქე პატივს უნდა სცემდეს სამშობლოს, ხალხს.

ყოველი მოქალაქე პატივს უნდა სცემდეს სამშობლოს ხალხს.

4. ის გოგონა ამჟამად კარგად არის.

ის, გოგონა, ამჟამად კარგად არის.

მძიმეს შეუძლია წინადადების არა მარტო აზრის, არამედ აღნიშვნის შეცვლა, მაგალითად:

აბიბინდა მთა და ბარიც მწვანე ფერით შეიმოსა (შერწყმული წინადადებაა).

აბიბინდა მთა და ბარიც მწვანე ფერით შეიმოსა (რთული თანწყობილია).

სასვენი ნიშნის არასათანადო ადგილას დასმით შეიძლება აზრის დამახინჯებაც. მაგალითისათვის ავიღოთ ა. წერეთლის ლექსის ნაწყვეტი:

„გაზაფხულდა, ბურქის ძირას თავს იწონებს ნაზი ია“.

თუ მძიმე გადავსვით „ძირას“ შემდეგ, როგორც ამას ზოგიერთი მოსწავლე ჩადის, გამოვა, რომ თითქოს ბურქის ძირას გაზაფხულდა.

ასევე:

ქარმა გაღელვოს ზღვასავით, მწყრებმა მოგძახნო ნანაო (ი. ღვეთ.).

ქარმა გაღელვოს, ზღვასავეთ მწყრებმა მოგძახონ ნანაო.

ს. კლდიაშვილს ერთ ადგილას ქვემდებარე შემასმენლისგან მძიმით აქვს გამოყოფილი იმის გამო, რომ უმძიმოდ წინადადების აზრი სულ სხვაგვარად გაიგებოდა:

უცნობი ქალი აღმოჩნდა.

ამ წინადადებაში სიტყვა „უცნობი“ ქვემდებარეა, შესიტყვება „ქალი აღმოჩნდა“ კი—შედგენილი შემასმენელი. ავტორს „უცნობის“ შემდეგ მძიმე რომ არ დაესვა, ეს წინადადება სხვა შინაარსით გაიგებოდა (უცნობი-ქალი აღმოჩნდა), ვინაიდან სიტყვა „უცნობი“ უკვე განსაზღვრება იქნებოდა, „ქალი“—ქვემდებარე, „აღმოჩნდა“ კი—მართივი შემასმენელი.

ანის მსგავსად არის აგებული ვაჟა-ფშაველას წინადადება:

ვაი იმ უცხო; მეზობლის მამალს, რომელიც ჩვენს ეზოში შემოსვლას გაბედავს.

პირველი მძიმე ავტორს იმისთვის აქვს დასმული, რომ სიტყვა „უცხო“ მკითხველმა „მეზობლის“ განსაზღვრებად არ მიიჩნიოს, თორემ წინადადება სხვაგვარად გაიგებოდა, მაგრამ, რასაკვირველია, უკეთესი იქნებოდა ეს ატრიბუტული განსაზღვრებები „იმ უცხო“ გენეტიური განსაზღვრების—„მეზობლის“ — შემდეგ დაესვა (ვაი მეზობლის იმ უცხო მამალს...).

ასევე შეიძლება წინადადებაში აზრი შეიცვალოს ორწერტილის გადასმითაც:

ნიკომ უთხრა გივის: ლექსი კარგად დაუწერიაო.

ნიკომ უთხრა: გივის ლექსი კარგად დაუწერიაო და სხე.

სასვენი ნიშნების სწორად დასმის ჩვევათა გამომუშავება დიდად არის დამოკიდებული მათი სწავლების მეთოდებზე. ერთ დროს გაბატონებული იყო სასვენი ნიშნების ხმარების ე. წ. მექანიკური მეთოდი, რომლის მიხედვით, მაგალითად, რომ, თუ, ვინც, რაც, როდესაც, სადაც... კავშირებისა და საკავშირებელი სიტყვების წინ ყოველთვის დაისმოდა მძიმე, „და“ კავშირის წინ მძიმე თითქოს არასოდეს არ იხმარებოდა და ა. შ.

ამ წესის მიხედვით სასვენი ნიშნების დასმა ხშირად იწვევდა უხეშ შეცდომებს, მაგალითად:

როცა კავშირით ან საკავშირებელი სიტყვით დაწყებული დამოკიდებული წინადადება მთავრის მომდევნოა, მაშინ, რასაკვირველია, აღ-

ნიშნული კავშირის ან საკავშირებელი სიტყვის წინ აუცილებლად და-
ისმის მძიმე:

მასწავლებელმა აღნიშნა, რომ ვაჟა კარგად სწავლობს.

კაცი ის არის, ვინც მამულს გამოადგება შეილადა (ანდ.).

ის გზადაგზა უყურებდა, თუ როგორ ლალად დახტონენ ქურციკებ.:
კონცხიდან კონცხზე (ი. ევდ.).

დავღვეთ იქ, სადაც ქარიშხალია... (გ. ტაბ.).

მაგრამ ზოგჯერ კავშირი ან საკავშირებელი სიტყვა დამოკიდებული
წინადადების შიგნით იხმარება. ამ შემთხვევაში მათ წინ მძიმის დასმა
არ შეიძლება. უხეში შეცდომა იქნება დაშვებული, რომ ასე დაწეროთ:
გუშინ სახლში, რომ მოვედი, მამა ვენახში ყურძენს კრეფდა.

წიგნს, თუ წაიკითხავ, ბევრ სასარგებლო რამეს გაიგებ.

ჩემი ამხანაგი, სადაც იცხოვრებს, მეც იქ უნდა ვიყო და სხვ.

ცნობილია, რომ „და“ კავშირის წინაც და შემდეგაც დაისმის მძიმე.
თუ ამ კავშირს ახლავს განკერძოებული სიტყვა ან დამოკიდებული
წინადადება (როცა „და“ არის გაცვეთილი მთავარი წინადადების კავ-
შირი).

ამ მეთოდის შემდეგ გაბატონდა ე. წ. ინტონაციური მეთო-
დი, რომელიც რუსეთში დაამკვიდრა ა. პეშკოვსკიმ. ამ მეთოდის მი-
ხედვით წინადადებებში სახვენი ნიშნების დასმის საზომად გამოყენე-
ბული იყო პაუზა, რამაც დიდი არეგ-დარევა გამოიწვია განსაკუთრე-
ბით მძიმის ხმარებაში: მძიმეს სვამდნენ წინადადებაში ყველგან, სა-
დაც ზეპირად წარმოთქმის დროს მცირე პაუზას ჰქონდა ადგილი. ამ პე-
რიოდში პუნქტუაცია მიჩნეული იყო მხოლოდ ინტონაციის გამობატ-
ვის გრაფიკულ საშუალებად და არა ნიშანთა სისტემად, რაც ძირითადად
ემყარება მტკიცე სინტაქსურ წესებს.

მაგალითად, წინადადებაში:

ვანო, ნიკო და პეტრე დღეს ერთად თეზაობდნენ — წაქითხვისას სიტყვა
„პეტრეს“-ს შემდეგ ადგილი აქვს პაუზას, მაგრამ იქ მძიმის დასმა
შეცდომაა.

აკაკი წერეთლის „გამზრდელიდან“ ორ სტრიქონად დაბეჭდილი
ადგილი:

ან მივიყვან იმ ცხენს, ან თავს

შეგსწირავ შენს მეგობრობას — ლექსად წაქითხვისას პირ-
ველი სტრიქონის ბოლოს პაუზას მოითხოვს, მაგრამ იქ მძიმის დასმა
არ შეიძლება, ვინაიდან დამატება (თავს) და შემასმენელი (შეგსწი-
რავ) ერთმანეთისგან გაითიშება, რის შედეგად წინადადების აზრი
გაუგებარი რჩება.

ასევეა წინადადებაში: „იქა ცხოვრობდა ბლაქიაშვილი

კაკო, ყაჩაღად გამოვარდნილი“ (ი. ჭავჭავაძე). — „ბლაქიაშვილის“ შემდეგ არის პაუზა, მაგრამ მძიმე იქ არ შეიძლება იყოს. ხდება პირიქითაც: წინადადებაში — „იზარდე, მწევანე ჭეჭილო, დაპურდი, გახდი ყანაო“... (ი. დავითაძე) — სიტყვა „იზარდე“-ს შემდეგ პაუზა არც კი შეინიშნება, მაგრამ მძიმის დასმა აუცილებელია, რადგან შემდეგ მოდის მიმართვა.

მაშასადამე, ინტონაციური მეთოდის მიხედვით მძიმე ისმებოდა იქ, სადაც გეჭონდა პაუზა და არ ისმებოდა იქ, სადაც პაუზა არ ჩანდა. ნამდვილად კი ეს სასვენი ნიშანი ხშირად საჭირო არ არის იქ, სადაც გვაქვს პაუზა, და აუცილებელია იქ, სადაც ასეთი პაუზა არ შეინიშნება.

ინტონაციური პაუზა ან თვით ინტონაცია ზოგჯერ ემთხვევა წინადადების შინაარსით ან კონტრასტულით გამოწვეულ სასვენ ნიშანს, მაგალითად: თხრობითი ინტონაცია და წერტილი თხრობითი წინადადების ბოლოს, კითხვითი ინტონაცია და კითხვის ნიშანი კითხვითი წინადადების დასასრულს და ა. შ. ან ერთგვარ წევრებს შორის ჩამოთვლითი ინტონაციით გამოწვეული პაუზა და მძიმე და სხვა, მაგრამ ეს მხოლოდ დამთხვევაა, ვინაიდან, მაგალითად, შერწყმულ წინადადებაში ინტონაციით კი არ არის გამოწვეული ჩამოთვლა, არამედ ჩამოთვლითაა გამოწვეული სათანადო ინტონაცია; ან თხრობითი, კითხვითი, ძახილისა და კითხვით-ძახილის წინადადებების შემდეგ რომ ევაშთ ნიშნებს — ეს ინტონაციის კი არა, თვით წინადადებებში გამოხატული აზრის შედეგია, აზრისა, რომელიც მოითხოვს ამა თუ იმ ნიშანს წინადადების ბოლოს.

ამჟამად პუნქტუაციის სწავლებას საფუძვლად უდევს სწორი მეთოდი. ეს მეთოდი ემყარება წინადადების შინაარსსა და სტრუქტურას, ე. ი. სასვენი ნიშნების ხმარებისას ყურადღება ექცევა არა მარტო წინადადებაში გამოხატულ აზრს, არამედ წინადადებას აგებულებასაც.

წინადადებათა ერთმანეთისგან გამოსაყოფად იხმარება სხვადასხვა სასვენი ნიშანი: მძიმე, წერტილ-მძიმე და წერტილი. ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში რომელი ნიშანი უნდა დავსვათ — ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მკიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული წინადადებები აზრის მიხედვით და არის თუ არა ისინი გავრცობილი სახისა. მაგალითად, მძიმით გამოყოფთ ერთმანეთისგან რთულ წინადადებაში შემავალ ნაკლებად გავრცობილ წინადადებებს. წერტილს დავსვამთ იმ შემთხვევაში, როცა ერთმანეთისგან გამოსაყოფია ცალკეული, დამოუკიდებელი აზრის გამოხატველი წინადა-

დებები; წერტილ-მძიმით კი — ისეთებს, რომლებიც გავრცობილი სახისაა, აზრობრივად კავშირშია ერთმანეთთან.

წერის დროს წინადადებაში აზრისთვის გარკვეული ელფერის მისაცემად ზოგჯერ სასუენი ნიშნის არა მარტო შერჩევას აქვს მნიშვნელობა, არამედ — დასმას ან არადასმასაც, რაც ზემოთ არის ნაჩვენები სათანადო მაგალითებით.

სასუენი ნიშნებით შეუძლია მკითხველს ერთმანეთისგან ადვილად გაარჩიოს ერთი და იგივე სიტყვებიანი წინადადებებიც, რომელნიც გამოყენებული იქნება როგორც განსხვავებული აგებულებით, ისე განსხვავებული აზრობრივი ელფერითაც, მაგალითად:

1. მე დავაბამ. ის აუშვებს (აზრი გადმოცემულია ცალ-ცალკე აღებული ორი მარტივი წინადადებით).

მე დავაბამ, ის აუშვებს (აქ იგივე აზრი გადმოცემულია რთული თანწყობილი წინადადებით).

მე დავაბამ — ის აუშვებს (—როცა მე დავაბამ, ის აუშვებს) — აქ უკვე იმავე აზრის გადმოსაცემად გამოყენებულია უკავშირო რთული ქვეწყობილი წინადადება).

2. მან მითხრა: „წიგნი მათხოვე“ (ან: წიგნი მათხოვეო) — ეს პირდაპირი სხვისი ნათქვამიანი წინადადებაა.

მან მითხრა, რომ წიგნი ვათხოვო. — ეს კი ირიბი სხვისი ნათქვამიანი რთული ქვეწყობილი წინადადებაა.

წინადადებაში — „მან მოიტანა წითელი ლამაზი ყვავილი“ — ნათქვამია, რომ მოტანილი ლამაზი ყვავილი იყო წითელი (და არა სხვა ფერის), მაგრამ ამას თუ ასე დავწერთ — „მან მოიტანა წითელი, ლამაზი ყვავილი“ (ე. ი. „წითელი“-ს შემდეგ დავსვამთ მძიმეს) — მივიღებთ აზრის სხვა ელფერს (ნიუანსს), სახელდობრ, რომ მოტანილი წითელი ყვავილი იყო ლამაზი. ამ შემთხვევაში ეს ორი თვისება აღინიშნება განსაკუთრებით და ცალ-ცალკე.

მაშასადამე, იმის მიხედვით, თუ რა აზრის გამოხატვა სურს, ავტორი არჩევს როგორც წინადადების შესაფერ კონსტრუქციას, ისე დასასმელ სასუენ ნიშანსაც.

სასუენი ნიშნები უნდა დაისევას ტექსტის წერის პროცესში და არა დაწერის შემდეგ. მათი გამოყენების გააზრება მკვიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული წინადადების შინაარსისა და აგებულების გააზრებასთან

ამრიგად, პუნქტუაცია არის სასუენი ნიშნების დასმის წესების გარკვეული სისტემა. იგი გამოიყენება არა იმის მიხედვით, თუ როგორ სურს დამწერს, არამედ იმის მიხედვით, თუ რა შემთხვევაში რა წესის მიხედვით რა სასუენი ნიშანი უნდა დაისევას. თუ სასუენი ნიშნების

ხმარების წესები მტკიცედ არ იქნა შესწავლილი, წიგნიერებას ვერ მივალწევთ.



სასვენი ნიშნების ხმარებისას მრავალი სახის შეცდომა შეინიშნება. მაგრამ მაგალითისათვის მათგან გამოვყოფთ მხოლოდ რამდენიმე ტიპობრივს:

I. მძიმის ხმარებაში

მ ძ ი მ ი ს დ ა ს მ ა :

1) წერტილის ნაცვლად აზრობრივად ერთმანეთთან მჭიდროდ დაუკავშირებელ წინადადებებს შორის.

2) მაქვემდებარებელი კავშირებისა და საკავშირებელი სიტყვების (რომ, თუ, ვინც, რაც, სადაც, როდესაც...) წინ, როცა ეს კავშირები და საკავშირებელი სიტყვები დამოკიდებული წინადადებების შუაშია,

3) მძიმეებით ორივე მხრით გამოსაყოფ სიტყვასთან მხოლოდ ერთი მძიმის დასმა (მაგ., როცა წინადადების შუაში გვაქვს განკერძოებული სიტყვები) და სხვ.

მ ძ ი მ ი ს ა რ დ ა ს მ ა :

1) მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებს შორის.

2) რთულ თანწყობილ წინადადებაში შემავალ წინადადებებს შორის. როცა მაჯგუფებელი „და“ კავშირი არ არის გამოყენებული,

3) შერწყმულ წინადადებაში ერთგვარი წევრების ერთმანეთისგან გამოსაყოფად, როცა არ არის მაჯგუფებელი კავშირი და, ან, თუ და ა. შ.

II. ორწერტილის ხმარებაში

ო რ წ ე რ ტ ი ლ ი ს ა რ დ ა ს მ ა :

1) შემკრები ანუ განმაზოგალებელი სიტყვის შემდეგ ერთგვარი წევრების წინ,

2) ისეთ უკავშირო ორ წინადადებას შორის, რომელთა შორის ერთი ასახსნელია, მეორე კი — ამხსნელი და აღნიშნავს პირველ წინადადებაში გამოხატული მოქმედების განმარტებას ან მიზეზს.

3) სხვის ნათქვამიან წინადადებაში მოუბრის სიტყვების შემდეგ, როცა სხვისი ნათქვამი არის მომღვენო და სხვ.

ამ ტიპის წინადადებებში სასვენი ნიშნების დასმა გარკვეულ სიტულებს წარმოადგენს და მოითხოვს ხანგრძლივ ვარჯიშობას. ხშირად კხედებით შეცდომებს ბრჭყალების ხმარებაშიც, როცა ერთმანეთის-

გან ვერ არჩევენ უნაწილაკო, ან ნაწილაკიან პირდაპირ და არაპირდაპირ სხვის ნათქვამს.

გარკვეულ სიძნელეს წარმოადგენს წინადადებაში ტირუს ხმარების საკითხიც: იგი ზოგჯერ ცვლის მძიმეს ან ორწერტილს, ზოგჯერ კი აღნიშნავს ზმნა-შემასმენლის ან შედგენილი შემასმენლის საერთის გამოტოვებას და სხვ.

რაც შეეხება წერტილს, კითხვისა და ძახილის ნიშნებს, აგრეთვე მრავალ წერტილს — ამ ნიშნების ხმარება შედარებით ადვილად შესათვისებელია.

შენიშნულია, რომ მოსწავლეები წერის დროს წერტილ-მძიმის დასმას გაურბიან. მის ნაცვლად ან მძიმეს ხმარობენ, ან წერტილს. ეს ალბათ იმით აიხსნება, რომ ამ სასვენი ნიშნის ხმარებას მათ სათანადოდ არ ასწავლიან. ნამდვილად კი წერტილ-მძიმის დასმის წესების შესწავლა არც ისე ძნელია, როგორც ეს ზოგიერთ მაწავლებელს აქვს წარმოდგენილი, ამიტომ ამ სასვენი ნიშნის უგულვებელყოფა დაუშვებელია.

სასვენი ნიშნები იხმარება როგორც წინადადების ბოლოს, ისე თვით წინადადებაშიც.

1. წინადადების ბოლოს დაისმის შემდეგი სასვენი ნიშნები: წერტილი (.), კითხვის ნიშანი (?), ძახილის ნიშანი (!) და კითხვისა და ძახილის ნიშანი ერთად (?!).

ამ ტიპისაა აგრეთვე მრავალწერტილიც, მაგრამ ეს ნიშანი დაისმის დაუმთავრებელი წინადადების ბოლოს.

2. წინადადებაში კი იხმარება შემდეგი ნიშნები: მძიმე (,) წერტილ-მძიმე (;), ორწერტილი (:), ტირე (—), ფრჩხილები (), [], თუმცა გამორიცხული არ არის ისეთი შემთხვევა, როდესაც ერთი და იგივე სასვენი ნიშანი გამოიყენება როგორც წინადადების ბოლოს, ისე შიგნით. მაგალითად, მრავალწერტილი დაისმის აგრეთვე დაუსრულებელი სიტყვის ბოლოს წინადადებაში, ტირე-წერტილიანი წინადადების შემდეგ და სხვ.

თავისი დანიშნულებით სასვენი ნიშნებისგან განსხვავდება ბრჭყალები („ “), შუახაზი ანუ დეფისი (-) და სიტყვის შემოკლების ნიშანი (.). ბრჭყალები იხმარება, მაგ., პირდაპირი სხვისი ნათქვამის გამოსაყოფად, ირონიის ან გადატანითი მნიშვნელობის გამოსახატავად, პირობითი სახელწოდების აღსანიშნავად და სხვ., სახელდობრ:

მან თქვა: „კაცი კაცის იმედია.“ ლუარსაბი „საქმიანი“ კაცი იყო. ზაშურიდან „ბორჯომით“ ვიმგზავრე და სხვ.

დეფისი იხმარება თხზულ სიტყვებში (კომპოზიტებში), როცა ისინი რამდენიმე ცნებიანია, მაგ.: დედ-მამა, და-ძმა, რუსულ-ქართული, თმა-წარბ-წამწამი... ამის მსგავსი ხაზი იხმარება სიტყვის გადასათანადაც: დე-და, კა-ლა-მი...

სიტყვის შემოკლების მაგალითებია: ქ. (ქალაქი), სოფ. (სოფელი), ე. ი. (ესე იგი), და სხვ. (და სხვა), შღრ. (შეაღარეთ), ე. წ. (ეგრეთ წოდებული) და ა. შ.

სასვენ ნიშნებს არ განეკუთვნება აპოსტროფი ('), მახვილი ('), ბგერის სიგრძისა (—) და სიმოკლის — (⸱) ნიშნები და პუნქტირი (.).



სასპენი ნიშნები წინადადების ბოლოს

§ 2. წარტილი (.)

I წერტილი დაისმის ყოველი დასრულებული თხრობითი წინადადების ბოლოს.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

1) წერტილი მარტივი წინადადების ბოლოს:

შუა ღღე იყო. დიდი სიციხე იღვა. მინდვრიდან სახლში მიდიოდა პატარა სანდრო. (ი. გოგ.),

გათენდა. ჩაყვითლებული ნამიანი ბალახი შეიშმუშნა დილის ნიაზე. მერთველეებმა გაიღვიძეს. (ი. ევლ.),

2) წერტილი შერწყმული წინადადების ბოლოს:

გალობდა შაშვი და თავის გალობაში ღნებოდა. მზემ მოიკრიფა მთლად თავისი სხივები, ჩაიწყო უბეში, შეიხვია კალთაში, მოეფარა მთას და განისვენა. შაშვი ჩაფრინდა ბუდეში და დააჯდა თავის ბარტყებს. (ვ. ფშავ.)

3) წერტილი რთული თანწყობილი წინადადების ბოლოს:

იმის ხმამ დაიარა მთები და კლდეები, ხის ფოთლებმა და მცენარეებმა კანკალი დაიწყეს. ბოლი გაერთხა ნამიან ბალახზე, დედაჩემმა ერთი კი ამოიკენესა და წაიქცა (ვ. ფშავ.).

ამაობაში გავიდა აპრილი და დადგა მშვენიერი მაისი. პირველსავე რიცხვში ზაფხულურად მოიღრუბლა და გაჩნდა ჭექა-ქუხილი. (ი. გოგ.).

4) წერტილი რთული ქვეწყობილი წინადადების ბოლოს:

ამ ვარდების მახლობლად ტკბილად დასძახოდა ბუღბუღი, რომელიც იქვე ხეზე მოთავსებულიყო. ბუნება ხარობდა, დღესასწაულობდა, თითქოს ათას ბედნიერ ქორწილს ერთად იხდისო. (ი. გოგ.).

მთელმა სოფელმა იცოდა, რომ მოხუც გაბრიელ ბუჯაშვილს ნასწავლი შვილი ჰყავდა. მეზობლები დიდი პატივისცემით შეჰყურებდნენ გაბრიელს და მის ცოლს — ალათისაც, რომლებმაც სამაგალითოდ გამოზარდეს თავიანთი ერთადერთი ვაჟი. (ნ. ნაკაშ.).

II. წერტილი დაისმის შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნითაც ისეთი მოკლე წინადადებების ბოლოს, რომელიც გამოხატავენ რაიმე სურათის აღწერას, მოვლენათა სწრაფად ცვლას, მაგალითად:

1) შემასმენლანი წინადადებები:

დარწმუნებულნი გადიან. ისმის ქალების სიძლერა. შემოდინ ქალები. მოაქვთ კალათებით სხვადასხვა ხილი. მათ შორის არის ნენოც. (ს. შანშ.).

2) უშემასმენლო წინადადებები:

ორპირი ლაშქრული. ორპირი მაყრული.
ქორწილი სეფაში. გაშლილი ქეიფი.
სიცოცხლე—ნატვრული. ცხოვრება—მხატვრული.
სიმდიდრე ლალისა და თიხის სეიფი. (ნ. ზომლ.).

III. წერტილი დაისმის ისეთი ბრძანებითი წინადადების ბოლოს, რომელიც არ შეიცავს გრძნობას, მაგალითად:

აქ მოპრძანდით პატარა ხანს.
წავიდეთ იქ.
დიმიტრი, წადი, დაიძინე.
როცა გახვალ, კარი გაიხურე.
უნდა შრომით მოვიპოვოთ დიდება და ტკბილი ლუკმა.

შ ე ნ შ ე ნ ა :

შ. არაგვისპირელს „და-ძმაში“ აქვს წინადადება — „წადი, წადი, არ მომეკარო“. ამ ბრძანებითი წინადადების ბოლოს ავტორს დასძული აქვს წერტილი, მაგრამ უნდა იყოს ძაბილის ნიშანი, რადგანაც შემასმენლის განმეორება გრძნობის გაძლიერების ნიშანია.

IV. წერტილი იხმარება რიგობითი ნუმერაციის გამოსახატავად გამოყენებული რომაული, არაბული ციფრების ან ასოების შემდეგ, თუ მათ არ ახლავთ ფრჩხილი, მაგალითად:

ს ა რ ჩ ე ე ი

- I. ფონეტიკის საკითხები
- II. მორფოლოგიის საკითხები
- III. სინტაქსის საკითხები
- IV. სტილისტიკის საკითხები

ფ ო ნ ე ტ ი კ ა

1. სამეტყველო ბგერები
2. ბგერათა კლასიფიკაცია
3. ფონეტიკური მოვლენები
4. სიტყვის დამარცვლა.

ახალი ძალით უყვარს სიცოცხლე (დეე, იცოცხლოს მრავალუამიერ!)
(გ. ტაბ.).

ახლა სხვა თემა გადავდოთ განზე (კი არ დალონდე!), არწივთ თავ-
დასხმა ჰაეროპლანზე მე მაგონდება (გ. ტაბ.).

სიხარულით კვლავ წკრიალებს ქნარი (იყო მკვდარი... მაგრამ მსგავ-
სი მკვდარი?) (გ. ტაბ.).

VII. წერტილი არის სიტყვის შეკვეცის ნიშანიც, მაგალითად:

ამხ. (ამხანაგი), ქ. (ქალაქი), სოფ. (სოფელი), ა. წ. (ამა წლის), ე. ი.
(ესე იგი), წ. (წელი), და სხვ. (და სხვა), და ა. შ. (ასე შემდეგ)...

VIII. წერტილი საჭირო არ არის ლექსის, მოთხრობის, წერილისა
და სხვათა სათაურების ბოლოს (თუ ეს სათაურები წინადადებაში
არის გამოყენებული. პას დაერთვის ის ნიშანი, რომელსაც მოითხოვს
იგი, როგორც წინადადების წევრი).

§ 8. კითხვის ნიშანი (?)

I. კითხვის ნიშანი იხმარება როგორც კითხვითი მარტივი, ისე შერ-
წყმული და რთული წინადადების ბოლოს.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

1. კითხვის ნიშანი მარტივი წინადადების ბოლოს:

— ვერ მიმასწავლებ კუდიგორის გზას? (ი. ჭავჭავაძე).

— გაუხარდა ღილები? (ი. ჭავჭავაძე).

— თქვენი სოფელი შორს იყო რკინიგზაზე? (ნ. ლომი),
ესენი ვინ არიან? (ა. ბელ.).

ჩემთან მოსვლა რამ გაგაბედვინა? (ი. ჭავჭავაძე).

ამალამ სად მიდიხარ? (ა. ბელ.).

ახლა ხომ გესმით განათლების მნიშვნელობა? (ი. ჭავჭავაძე).

2. კითხვის ნიშანი შერწყმული წინადადების ბოლოს:

გახსოვს ცხენისწყლის ნაპირი, თევზაობა და აპრილი? (ლ. ასათ.).

რა ვქნა, რომელ ერთს გავუძღვე? (დ. მეგრ.).

რა სათქმელია, რა წარმოსადგენია? (ვ. ფშავე).

რა უთხრას, რითი ანუგეშოს? (კ. ლორთქ.).

რისათვის მიხმე და რას მიბრძანებ? (ა. წერეთ.).

სად ყოფილხარ, რა გინახავთ, დედაჩემი არ გინახავთ? (ი. გოგ.).

ვის მიმართოს, ვის სთხოვოს ნუგეში? (ე. გაბ.).

3. კითხვის ნიშანი რთული თანწყობილი წინადადების ბოლოს:

კითხვის ნიშანი დაისმის კითხვის შემცველი რთული თანწყობილი
წინადადების ბოლოს. მიუხედავად იმისა, მასში შემავალი ყველა მარ-

ტივი (ან შერწყმული) წინადადება კითხვითი, თუ რომელიმე ერთი მათგანი.

როცა ყველა წინადადება კითხვითი:

ვისი არის ეს გუგუნი, ეს მედგარი ხმა ვისია? (გ. ტაბ.).

რა ამბავია, რისთვის ჩამოვიდნენ ნეტავი? (ნ. ნაკაშ.).

ვის გიცემთ გული, ქუდოსანო, ვის გერჩით მკლავი? (ა. ყაზბ.).

რა მოხდა, რას ებრძვი ასე თავგამოდებით? (კ. ლორთქ.).

რა იყო, აღათი, მაინც ელი ივლიანეს? (ნ. ნაკაშ.).

მარტო შენთვის უკრავდი, თუ სხვაც გიგდებდა იქვე სადმე ყურს? (ა. წერეთ.).

როცა ერთი, ბოლო წინადადება კითხვითი:

თეთრად ბიბინებს მინდორი, ბიჭო, რას უზი კერასა? (შ. მღვიმ.).

ამ ყელისქრა მუშაობაში მოგვაცდინე და კიდევ ქვეშეთს უნდა წავიდეთ? (ა. ყაზბ.).

მე არ მეშინია და ჩემს ფეხებს კი რა მოუვიდა? (ლ. ქიაჩ.).

თავს ვერ ირჩენენ და ამნაირი საქმისათვის რა მოეძებნებათ? (დ. კლდ.).

მაგრამ ორ წინადადებას შორის თუ პირველი წინადადება კითხვითი, იგი უკვე არ შეეკრთება. თანწყობილი წინადადების შემადგენლობაში, ამიტომ ცალკე კითხვით წინადადებად გამოიყოფა და მომდევნო წინადადების ბოლოს, რასაკვირველია, კითხვის ნიშანი უკვე არ დაისმის, მაგალითად:

ბიჭო, რას უზი კერასა? თეთრად ბიბინებს მინდორი.

4. კითხვის ნიშანი რთული ქვეწყობილი წინადადების ბოლოს დაისმის კითხვითი მთავარი და არა დამოკიდებული წინადადების მიხედვით.

მაგალითები:

ვერ ხედავ, ბარში რა ამბავია? (ა. წერ.).

რა ამბავია, რომ აღარ მოდის? (ა. წერ.).

ნუთუ ამ ქვეყნად მისთვის მოვედი, რომ უნდა მხოლოდ ლექსები ეწერო? (ლ. ასათ.).

სად არიან ისინი, გუშინ რომ მოვიდნენ? (ნ. ნაკ.).

ვინ არის ცოდვილი, რომელმაც მაგ საზიზღრობაში ცილისწამება გაბედა? (ა. ყაზბ.).

მაშ, ცოცხალი რომ დარჩენილიყო, რას უზამდნენ? (ა. ყაზბ.).

ასეთ წინადადებებში კითხვითი ინტონაციით გამოითქმის მხოლოდ მთავარი წინადადება, მაგრამ კითხვის ნიშანი დაისმის მთლიანი რთული ქვეწყობილი წინადადების ბოლოს.

არ დაისმის კითხვის ნიშანი, თუ მთავარი წინადადება არ არის კითხვითი, ვინაიდან არაპირდაპირი კითხვითი დამოკიდებული წინადადების ბოლოს კითხვის ნიშანი არ იხმარება, მაგ.:

მთავარზე, როგორ დაისვენე აგარაკზე.

ჰკითხე, რა სჭირდება.

ამ წესის მიხედვით არასწორად არიხ დასმული კითხვის ნიშანი შემდეგი რთული ქვეწყობილი წინადადებების ბოლოს:

რა ვიცი, ვინ შეგხვდება ბილიკზე? (ლ. ქიაჩ.).

დაიბნა. არ იცოდა, ახლა როგორ მოქცეულიყო? რა უნდა ეთქვა? (ლ. ქიაჩ.).

მართალია, აქ ორივე დამოკიდებული წინადადება კითხვითია. ამაზე მიგვითითებენ მათში გამოყენებული კითხვითი სიტყვები — „ვინ“ და „როგორ“, მაგრამ კითხვის ნიშანი საჭირო არ არის იმიტომ, რომ ეს კითხვითი დამოკიდებული წინადადებები არაპირდაპირია. ისინი არ მოითხოვენ პასუხად დადასტურებას ან უარყოფას. იმიტომ ისინი დაწერილი უნდა იყოს უკითხვისნიშნოდ ისე, როგორც, მაგალითად: ამავე ტიპის შემდეგი წინადადება:

გვინდა ვაცოდეთ, სად რა მოხდა, ვინ როგორ არის (ლ. არდაზ.).

კითხვითი დამოკიდებული წინადადების მიხედვით რთული ქვეწყობილი წინადადების ბოლოს კითხვის ნიშანი დაისმის მაშინ, როცა ეს დამოკიდებული წინადადება არის უკავშირო (ე. ი. ისეთი, სადაც კავშირი არ არის და არც იგულისხმება) და თანაც პირდაპირი კითხვის გამომხატველი. იგი ჩვეულებრივ მოსდევს მთავარი წინადადების ბრძანებითი ფორმის ზმნა-შემასმენელს, როგორცაა, მაგალითად: მითხარი, მიპასუხე, გამაგებინე... ჰკითხე, მისწერე, აცნობე და სხვ. იგი თანამოსაუბრისგან მოითხოვს პასუხს.

ა ს ე თ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ე ბ ი ა :

ჯერ შენ მითხარ — რას აკეთებ აქა? (ა. ყაზბ.).

მითხარ, საილამ გემცნაურები? (ი. ჭავჭ.).

შენ ეს მითხარი, სანდრო არ აპირებდა ამოსვლას? (ვ. ფშავ.).

ეს მითხარი, მაშიდათქვენი ულამაზო ხომ არაა? (დ. კლდ.).

ამ დამოკიდებულ წინადადებებთან თუ მაქვემდებარებელი კავშირი გაშვოვიყენეთ, პირდაპირი კითხვითი დამოკიდებული წინადადება ირიბად გადაიქცევა და მის ბოლოს კითხვის ნიშანი უკვე საჭირო არ იქნება, მაგალითად:

ჯერ შენ მითხარი, რას აკეთებ აქ.

მითხარი, საილამ გემცნაურები და სხვ.

ამიტომ კითხვის ნიშანი ზედმეტია შემდეგ წინადადებასთან:

მითხარი ახლავე, ახალი ამბავი თუ იცი? (ლ. ქიაჩ.).

ნ. კითხვის ნიშანი დაისმის კითხვის შემცველი ისეთი დამოკიდებული წინადადებას ბოლოსაც, რომლითაც მოუბრის მიერ გადმოიცემა როგორც პირდაპირი სხვისი, ასე თავისი ნათქვამი:

როცა მოუბარი გადმოგვეცემს სხვის ნათქვამს

ბოლოს ჰკითხა მან: ვინა ხარ, შვილო? (ი. ჭავჭავაძე).

— თქვენი სახლობა ბრძანდება? — მკითხა ალექსანდრემ სწრაფად (ლ. არდაზ.).

— დედი, დედი! ეს რა ამბავია? — ჰკითხა გაცინებით შვილმა (ი. ჭავჭავაძე).

კითხვის ნიშანი დაისმის ნაწილაკიანი პირდაპირი სხვისი ნათქვამის ბოლოსაც:

ტყის მცველმა ჰკითხა — ვინ ხარო? (ა. წერ.).

მაძიებელი გკითხავს — ვინ მოგცა ეგ მოწმობებიო? (ე. ნინ.).

მერე მკითხა: რამდენ ხანს დარჩები ოდესაშიო? (ა. წერ.).

ამ მაგალითებში მოუბრის სიტყვები მთავარი წინადადებაა, პირდაპირი სხვისი ნათქვამი — დამოკიდებული, ერთად ესენიც რთული ქვეწყობილი წინადადებაებია:

6. კითხვის ნიშანი დაისმის ერთმანეთის მომდევნო უხრული კითხვითი წინადადებების ბოლოსაც, მაგალითად:

— უარი? რატომ? (ს. შანშ.).

— მარტო რად მოხვალ? მიტროხინი? ბროლია? შაქრო? (ს. შანშ.).

7. დიალოგში ხშირად ერთად არის მოცემული რამდენიმე კითხვა, რომელნიც ან კითხვით შერწყმულ წინადადებად არის გამოყენებული, ან რთულ თანწყობილ წინადადებად და ერთმანეთისგან გამოყოფა შიშით, კითხვის ნიშანი კი დაისმის მხოლოდ ასეთი ფრაზის ბოლოს, მაგ.:

რა ვუთხრა, რითი ვიმართლო თავი? (დ. კლდ.).

რა ქნას საწყალმა თინამ, რა უშველოს, საიდან გაიჩინოს ან ცეცხლი, ან ლუკმა? (ე. გაბ.).

რა ამბავია, რა ხმაურია? (ს. შანშ.).

რამ მოგიყვანა, ბიჭო, ხომ არაფერი გიჭირს? (ე. ნინ.).

მაგრამ, როდესაც ეს ნაწილები წყვეტილად, მეტი სიძლიერით არის წარმოსატქმელი, მათ რამდენიმე კითხვით წინადადებად ყოფენ და თითოეული მათგანის ბოლოს სვამენ კითხვის ნიშანს, მაგ.:

რა დაიცავით? რა მოიპოვეთ? (ს. შანშ.).

რა მოიტანე? ცარიელი ხელით მოხველ? (ს. შანშ.).

მაშინ რა მოხდა? რისთვის ღელავდით? (ს. შანშ.).

(მითხარ) საილამ გემცნაურები? ჩემთან მოსვლა რამ გაგაბედვინა? (ი. ჭავჭავაძე).

8. ახვევ კითხვის გასაძლიერებლად მხატვრულ ნაწარმოებებში ზოგჯერ კითხვის ნიშანს სვამენ არა მთელი რთული ქვეწყობილი წინადადების ბოლოს, არამედ მხო-

ლოდ კითხვითი მთავარი წინადადების შემდეგ და თიშავენ მთავარ წინადადებას და მოკიდებულისგან, მაგ.:

იცი? სიომაც გადმომცა დილით ალერსი შენგან დანაბარები.

(ნ. ბარათ.).

ხედავ? ჩემკენ ბილიკია გადმოსახვევი (დ. გაჩ.).

სიტყვების — „იცი“ და „ხედავ“-ის შემდეგ იგულისხმება მაქვემდებარებელი კავშირი, ამიტომ უმჯობესია ამ წინადადებების რთულ ქვეწყობილად დატოვება და კითხვის ნიშნის დასმა მთლიანი წინადადებების ბოლოს, როგორც, მაგალითად, შემდეგ ფრაზაში:

იცი, ჩემო კარგო, რა აზრი მომივიდა? (ი. გოგ.).

9. კითხვის ნიშანი იხმარება აგრეთვე ექვის გამოსახატავად ან გაუგებარი ადგილის მისათითებლად კრიტიკულ ნაწარმოებებში. ამ შემთხვევაში იგი ჩაისმის ფრაზიულებში, მაგალითად:

დასასრულ, ჩეენი მწერალი ქალი ეპატიყება თავის მოძმეთა მწერალთა (?) და სხვათა შორის თ. რევაზ ერისთავსაც (ი. ქავჭ.).

ბლომი (?) ნაწილი თავად-აზნაურებისა (??) ამჟამად ნასწავლთა დასს ეკუთვნის (ი. ქავჭ.).

...მაგრამ აი საკვირველი (მართლა რომ აი!!!). უპირველესი საგანი არ შეუძინებია, ესე იგი თეორეტიკა (?) ანუ ხელოვნებითის სიტყვიერების სწავლა (ი. ქავჭ.).

§ 4. ძახილის ნიშანი (I)

I. ძახილის ნიშანი დაისმის ძახილის წინადადების ბოლოს.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

1) სიხარულის გამომხატველი:

ახ, რა ბედნიერი ვიქნები! (შ. არაგვ.).

მალე ინათებს! გარიყრაყია! (ს. შანშ.).

მე, თქვენი ძე, ქართველებო, გამარჯვებით დაგიბრუნდით! (რ. მარგ.).

ოჰ, იორი მშვენიერი როგორ კარგ დროს შემეფეთა! (მ. მიქ.).

2) ალტაცების გამომხატველი:

ოხ, რა მშვენიერებაა! (ნ. ლომ.).

ბიკოს, ეს რა კარგი აზრი დამებადა (გ. ჩიქ.).

ვიშ, რა ტურთა მხარეა! (გ. ქუჩ.).

ვიშ! რა კარგია ეს სალამური! (ა. წერ.).

შენი გამჩენის ჭირიმე, შენი, რომ გავვაგონე კვლავ ხმა სალხენი!

(ნ. ბარათ.).

ბიკია-მეთქი, ბიკი! (მ. ჯავახ.).

3) მოწონების გამომხატველი:

კარგია, ძალიან კარგია! (ი. ევლ.).

მასპინძლობაც ეს არი! (გ. აბაშ.).

იპ, რა სანეტარო სადამოა! (ა. ბელ.).
ვაჟკაცს ვაჟკაცური სიტყვა ექნების! (ა. ყაზბ.).
ლამაზისაგან ლამაზისაღმი ნამდვილი გრძნობა კარგი ძღვენია!
(ა. წერ.).

ჰო და მაგას რალა სჯობია! (მ. ჭავახ.).

4) კმაყოფილების გამომხატველი:

ძლივს შუბლგახსნილი არა ვნახე! (ი. ჭავჭავ.).
ყვავილების სურნელებას სად არ აფრქვევს სიო ფრთხილი!
(გ. კაჭახ.).

ჩვენთვის ლხენად ესეც კმარა! (გ. კაჭახ.).
კაცის ხელი თვის ნებაზე მიგვაფრენს და მიგვაფრენს! (მ. მიქ.).

5) გაკვირვების გამომხატველი:

ვა, ეგ რაები მოუწერია! (ა. ბელ.).
ერიპაა, შენ მაგრად დაუშინებინარ ზარეცკის ბედს! (ყ. ლორთქ.).
ბიჭოს! სამხრობა წამოგვპარვია! (ა. წერ.).
ვეეო, ასეთი ამბავი გაგონილა! (მ. ჭავახ.).

6) დანაშაულის გამომხატველი:

ოპ, რამდენი გამოცდილება მაქლია ჭერ კიდევ მე საცოდავსა!
(ე. ფშავ.).
ოპ, კაცო, რა უბედურება მოუვიდა მაგ საწყალ კიკოლას! (ნ. ლომ.).
ეპ, მთაო, შემოგწყრომია, როგორცა ვხედავ, ქვეყანა! (ე. ფშავ.).
ოპ, ოპ, რა ბავშვი წახდა, რა ბავშვი! (ნ. ლომ.).

7) მწუხარების გამომხატველი:

ვაიმე, ძმაო, ბნელ სიკვდილმა მოგსპო, ვაიმე! (ი. ჭავჭავ.).
ვაი შენი ბრალი, შე. საწყალო! (თ. რაზ.).
ვაი, რა უგუნური ყოფილა! (გ. წერ.).

8) ზიზღის გამომხატველი:

ფუი, მაგისტანა პატიოსნებასაც რა ვუთხრა! (დ. კლდ.).
ფუი, რა მყრალი წყალი ყოფილა! (ს. მგალ.).
ოპ, ის ღიმილიც ჯოჯოხეთური მის გველურ სახეს ზე ეხატება!
(ა. წერ.).

წაგაკალ თუ არა შენს უნამუსობას! (ი. ჭავჭავ.).

9) აღშფოთების გამომხატველი:

მეტს ველარ ვიტან! (ა. წერ.).
ვინ დედაბერი! ვინ იაზონი! (ა. წერ.).
მაშ, ჩემს ღალატში შენც გარეულხარ! (ა. წერ.).
ჩემზე ვერ გასჭრის ეგ ცბიერება! (ა. წერ.).
ეს სჯიდან შემოთრეულა! (შ. არაგვ.).

10) ნატურის გამომხატველი:

ნეტავი ერთი ვაჟი გყოლოდა! (ა. წერ.).

ნეტა შებმული ბატონი მენახა! (მ. ჯავახ.).

ნეტავ მამაჩემი მაინც შინ იყოს! (ი. ევლ.).

ნეტავი სხვებსაც არ ვუყურებდე სხვის ყურმოპირილ ყმაღ და მაჩანჩალად! (ა. წერ.).

ეჰ, ნეტა არსენაც ამათთან ერთად გაეწვინათ და მისთვისაც დაეკრათ! (მ. ჯავახ.).

11) შიშის გამომხატველი:

ვაიმე! ცოფიანი ძაღლი! (ი. ევლ.).

ვაი, ვაი, დედილო, მგელი, დედილოჯან, მგელი! (ვ. ფშავ.).

დავიღუპეთ, ბატონო მეფე, დავიღუპეთ! (ა. წერ.).

12) ბრანის გამომხატველი:

საიდან კიკინებს ის ოხერი, ისა! (ი. ევლ.).

თქვენი საქმე არ არი! (ე. ევლ.).

არ მინდა, არა! (ა. ყაზბ.).

როგორ თუ ტყუილად! (შ. არაგვ.).

აი, შე ვერანავ, შენა! (შ. არაგვ.).

მიჰქარავ, შე წუბაკო, შენა! (მ. ჯავახ.)

13) რიღის გამომხატველი:

უკაცრავად ვარ! (ა. წერ.).

ახლავე, ბატონო! (შ. არაგვ.).

ღირსი არა ვარ მე მაგ დიდების! (ა. წერ.).

ვერ შეიფერებ მაგგვარ წყალობას! (ა. წერ.).

II. ძახილის ნიშანი დაისმის წყვეტილად და გრძნობით წარმოსათქმელი ყოველი განმეორებული ან ერთგვაროვანი წევრის ბოლოსაც, მაგალითად:

დღეს გავიმარჯვებთ! დღეს გავიმარჯვებთ! (გ. ტაბ.).

გავინავარდებთ! თავებსაც დავდებთ! (ს. შანშ.).

III. ძახილის ნიშანი დაისმის ბრძანებითი წინადადების ბოლოს, თუ ეს წინადადება შეიცავს გრძნობას (ბრძანებითია წინადადება, რომლითაც საგნის მოქმედება გადმოიციემა შესასრულებლად, რაც შეიძლება გამოიხატოს განკარგულების, თხოვნის, მუდარის, მოწოდების, წაქეზების, დალოცვის, წყევლის, აკრძალვისა და სხვა სახით და გამოთქმის შესატყვისი ინტონაციით).

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

1) განკარგულების:

მაგათი ბარგიც გაჩხრიკეთ! (შ. არაგვ.).

არ გაუშვავთ! (ს. შანშ.).
ხმალი აიღე, კუქატნელო! (მ. ჯავახ.).
თავს უშველეთ! (მ. ჯავახ.).
ხელი მაგ ხანჯალს! (ს. შანშ.).

ფ) თხოვნა-ხეყნის:

ვანო, ყურძენი დამიკრიფე! (ი. ევლ.).
ნუ დამიმალავ, ჩემო ბაბაღე! (ი. ქავჭ.).
შენ გენაცვალე, წადი! (შ. არაგვ.).
დაბრძანდით! (ა. წერ.).
მიირთვით, თქვენი ქირიმე! (შ. არაგვ.).

ჟ) ხეყნა-მუღარის:

ნუ გამწირავ, შეიბრაღე შენი გაბრიელ! (ი. ქავჭ.).
ნუ, ნუ, ამაზედ უარს ნუ მეტყვი! (შ. არაგვ.).
მითხარი, მითხარი, შენს მუხლებს ვენაცვალე!.. (ნ. ლომ.).

კ) მოწოდების:

წავიდეთ იქ! (შ. არაგვ.).
აღმართოთ დროშა წითელი, შვემუსროთ, ძმებო, მტრის ხელი, ზე
აღმართული! (ნ. ჩხიკვ.).

დავიცვათ ჩვენი უფლება, ნეტარი თავისუფლება და გავაბრწყინოთ
ნოთ დიდებით ტურფა მამული (ნ. ჩხიკვ.).

ღ) წაქეზების:

აბა, ცეცხლს მოუმარჯვეთ, ცეცხლს! (ი. ევლ.).
ჰერი, ბიჭო, იცელქეთ და გაიხარეთ! (ი. გრიშ.).
ჰაი, ვაყვაცნო, მამის ხმალი არ შეარცხვინოთ! (ს. შანშ.).
ჰე, მურიავე, აგერ მტერი, შენებურად გაჰკარ, მიდი! (ი. გრიშ.).
ვინძლო ერთი კიდევ იშოვოს! (მ. ჯავახ.).

ყ) მისალმების:

ოჰ, მონადირეს გაუმარჯოს! (შ. არაგვ.).
გავიმარჯოს, ზაქარიავ! (ი. ევლ.).
დილა მშვიდობისა, დილა კარგად ყოფნისა, ჩემო კეთილო დაიავე!
(ი. ევლ.).

სალამო მშვიდობისა!
გამარჯობა, ყმაწვილო! (დ. კლდ.).

რ) დალოცვის:

მშვიდობით იაროს, კარგად, სულ ყოჩაღად! (მ. მრეველ.).
აყავ კურთხეულ ამიერიდან მფარველი ქვეყნის და ქვრივ-ობლისა!
(ა. წერ.).

აი, დაილოცოს იმათი მადლი! (ე. შფაე.).

ასე მტერი დაგეცალოს!

თქვენზედ მიწა არ მენახოს! (ი. ქავჭ.).

8) წყევლის:

დაგწყევლოს ჩემმა გამჩენმა! (მ. ჭავახ.).

ჯანდაბას მისი თავი და ტანი! (დ. კლდ.).

ფუჰ, პატრონი წაგიწყდესა! (მ. ჭავახ.).

შხამად შეგერგოთ! (მ. ჭავახ.).

ფუი, დაგწყევლოს წმინდა გიორგიმ! (შ. არაგვ.).

ოჰ, ოჰ, შენი სახელი გაწყდეს, შენი, ვილაცა ხარ! (ნ. ლომ.).

9) ფიცის:

...თქვენ ნუ მომიკვდებით! (დ. კლდ.).

ჰყავდა, შეილებს გეფიცები... შენ ნუ მომიკვდები! (დ. კლდ.).

მამის სული არ წამიწყდეს!

10) წყრომის:

დამანებე თავი!

დამეკარგე აქედან!

გამშორდი, გამშორდი, გამშორდი! (შ. არაგვ.).

წაიღეთ! ჩახეთქეთ! გასკდით! (მ. ჭავახ.).

მომშორდი! ჩემგან შორს! შორს, მაცდურო! (ა. წერ.).

განვედი ჩემგან, ჰოი, მაცდურო, სულ ბოროტო! (ნ. ბარათ.).

11) ღარიგების:

ეგრე თქვი ხოლმე სხვაგანაც, ჩემო დათო! (ი. ქავჭ.).

ყმაწვილობამ არ გაგიტაცოს და გულს არ გადაჰყვე! (ა. წერ.).

თავი რიგიანად დაიქირე! არა შეამჩნევიან რა! (ა. წერ.).

გებრალეობდეს შენი მზეობა! (ა. წერ.).

12) დამშვიდების:

სიკო, დაწყნარდი! (შ. არაგვ.).

კმარა, ნულარ სტირით! (შ. არაგვ.).

ნუ გეშინია, ნუ გეშინია! (ა. წერ.).

იყუჩე, ვაჟო! (ა. ყაზბ.).

13) თანხმობის:

იყოს ნება შენი! (შ. არაგვ.).

თქვენი ნება იყოს! (ა. წერ.).

კარგი, წავიდეთ!

კარგი, მავრე იყოს!

კარგი!.. ესეც იქ შეიყვანეთ!
კეთილი, მოვიდნენ, შეილო! (ა. წერ.).

14) მიპატიების:

მობრძანდით, დედოფალო! (ა. წერ.).
მობრძანდით, ჩემო რძალო! (ი. ჭავჭავ.).
წამობრძანდით, ჩაი მიირთვით! (შ. არაგვ.).
მობრძანდი, მობრძანდი, შენი ჭირიმე! (ნ. ლომ.).

15) აკრძალვის:

ნუ წახვალ!
ნულარ დაიგვიანებთ!
სუყველა ერთად ნუ მოაწყდებით (ა. წერ.).
ნუ გრებს... ნუ ხლართავ სიტყვებს უბრალოს! (ა. წერ.).
არ დაივიწყოთ ეგ სიტყვები! (ა. წერ.).

16) გამოთხოვების:

მშვიდობით ბრძანდებოდეთ!
ახლა კი მშვიდობით იყავი!
აბა, ღამე მშვიდობისა, ელიზბარ! (შ. არაგვ.).

შენი შენა: ზოგიერთი ავტორი გრძნობის გამოხატველი ბრძანებითი წინადა-
გბის ბოლოს ძახილის ნიშნის ნაცვლად იყენებს წერტილს, მაგალითად:

ოპ, გულადს გაუმარჯოს. (შ. არაგვ.),
შენს თვალთ ენაცვალოს პაპა. (ე. ფშვ.),
გამარჯობა შენი, ამხანაგო გვადი. (ლ. ჭიან.).

შინაარსის მიხედვით ამ წინადადებების ბოლოს წერტილის ნაცვლად ძახილის ნიშ-
ის დასმა უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა.

IV. ძახილის ნიშანი იხმარება წინადადებასთან გრამატიკულად
დაუკავშირებელ ზოგ სიტყვასთანაც, როგორცაა, მაგალითად: შო-
რისდებული, მიმართვა, და მიგებითი ნაწილაკი, როცა ეს სიტყვები
ქაოწყენებულია ძლიერი გრძნობის გამოსახატავად:

1) შორისდებული:

პი! მტვერი კი ავადინე იქაურობას-და. (ი. ჭავჭავ.).
აა! კარგია ერთი, მამიშენის მზეს. (ა. ყაზბ.).
დილილმე! ჩვენი ცხოვრება ედემის შესაფერიია. (ა. ყაზბ.).
ფუ! განათლებული კაცი და ამისთანა საქმე. (ა. წერ.).
ეიშ! რა კარგია ეს სალამური! (ა. წერ.).
ეა! მეტი რაღა გინდა! (ი. ჭავჭავ.).
ვაიმე! მგლები არიან! (შ. არაგვ.).

2) მიმართვა:

პეტრე! გიორგი მართალს ამბობს... (ი. ჭავჭავ.).
დათიკო! არ გეცოდება იმისი დროულნი მამა? (ი. ჭავჭავ.).

ქართველის დედაო! ძუძუ ქართველისა უწინ მამულსა უზრდიდ შეილსა (ი. ჭავჭავ.).

დედავ! ისმინე ქართველის ვედრება... (ი. ჭავჭავ.).

ძახილის ნიშანი ყოველთვის დაისმის ცალკე სტრიქონზე დაწერილი მიმართებასთან (მაგალითად წერილში).

მ) მივებითი ნაწილაკი:

დიახ! მოგიყვანეთ დამორჩილებული! (ა. წერ.).

არა! აყვავდეს იმედი! (ა. წერ.).

კეთილი! აბგა თან გაქვს (ა. წერ.).

მაშ კარგი! მადლობას მოგახსენებთ (ა. წერ.).

ძახილის ნიშნის ნაცვლად ზემოთ დასახელებულ წინადადებებში შეიძლება შორისდებულის, მიმართვისა და ნაწილაკის გამოსაყოფად გვეხმარა მძიმე, ძახილის ნიშანი კი დაგვესვას მაოლოდ წინადადების ბოლოს, მაგრამ ძახილის ნიშანი აუცილებელია მაშინ, როდესაც დასახელებული განკერძოებული სიტყვები ცალკე ან სხვათა ნათქვამის სახითაა გამოყენებული, მაგალითად:

— ობლები ხართ?

— არა! (ნ. ლომ.).

— ვაშა! აი ეს მესმის!

— უიმე! — დაიძახა ქალმა შეშინებული ხმით.

— აბაიმე! — გაიკვირვა იაგომ (ა. ყაზბ.).

— სულიკო! — დაიძახა ხმის კანკალით მიხეილმა (ნ. ლომ.).

— ხაზარაძე! — დაიღრიალა დვალისშვილმა (კ. ლორთქ.).

ნ. ძახილის ნიშანი დაისმის შთაბეჭდილების გასაძლიერებლად, განმეორებული შორისდებულის, მიმართვის ან ნაწილაკის ბოლოს მაგალითად:

— ხა, ხა, ხა! — კვლავ გაისმა მაღალი სიცილი ექიმებისა.

(ნ. ლომ.)

— ნინიკა, ნინიკა! რასა იქ, როგორა ხარ? (ნ. ლომ.).

— დიახ, დიახ! ეს ვენახი... მაგათგან მაქვს ნაყიდი (ნ. ლომ.).

— კეთილი, კეთილი! ხელს არ შეგიშლით (ი. ლის.).

— კარგი, კარგი! ეგრე იყოს... (დ. კლდ.).

გრძნობის გასაძლიერებლად განმეორებისას შეიძლება ძახალი ნიშანი დაისვას თითოეული სიტყვის შემდეგაც, მაგალითად:

იმე! იმე! უარი არ უთხრათ, შენი ჭირიმე! (ა. წერ.).

ვაიმე! ვაიმე! — ვილუპები ტყუილ-უბრალოდ! (ს. შანშ.).

გაზაფხულო! გაზაფხულო! რა კარგი ხარ, რა კარგი! (გ. ქუჩ.).

არსენ! არსენ! გვიშველე, არსენ! (ს. შანშ.).

შ ე ნ ი შ ე ნ ა :

ზოგი მწერალი გრძნობის გამოსახატავად იყენებს რამდენიმე ძახილის ნიშანს. მა-
ალითად:

აბა კარგად დააქვერდი!! (ი. გრიშ.).

— ხა, ხა, ხა!!! — გადაიკისკისა გულკეთილმა ექიმმა (ნ. ლომ.).

აგრეთვე რამდენიმე კითხვის ნიშანსაც, მაგალითად:

თუკი ამ უშნო, ზარმაც თევზებს არ ეშინიათ იმ ბიჭებისა, ჩვენ, ელვასავით მოს-
იალუ კალმახებს, რად უნდა გვეშინოდეს?? — ჟიქრობდა მერცხალა (გ. შატბ.). და
ხვა, მაგრამ ეს პუნქტუაციის თვალსაზრისით დაუშვებელია, ვინაიდან გრძნობის
ნ კითხვის მეტ-ნაკლები სიძლიერის გამოსახატავად ძახილის ან კითხვის ნიშნის ორ-
ავად და სამამაგად გამოყენება, საერთოდ, მიღებული არ არის.

**VI. ფრჩხილებში ჩასმული ძახილის ნიშანი იხმარება ავტორის და-
ოკიდებულების (დაცინვის, გაკვირვების, აღშფოთების) გამოსახატა-
ად ციტატად მოყვანილი ტექსტის აზრისაღმე კრიტიკულ წერილებში,
აგალითად:**

...თავის პირველი წერილის 6 გვერდზედ ავტორი მისებურის ხელ-
აშლით გვარწმუნებს, რომ ასურეთი არც პოლიტიკურად, არც გეო-
რაფიულად არ ეხებოდა საქართველოსაო (!). (ი. ქავჭ.).

§ 5. კითხვისა და ძახილის ნიშნები (?)

**I. კითხვისა და ძახილის ნიშნები დაისმის კითხვით-ძახილის წინა-
დადების ბოლოს**

მაგალითად:

რა სჯობია მის ლურჯ ტალღებს ან მის მსუბუქ ჰავას (გ. ქუჩ.).

რას ამბობ, შვილო?! (ა. წერ.).

ამას რას ეხედაე?! (ა. წერ.).

ნუთუ თვალები მატყუებენ?! (შ. არაგვ.).

გულის დარდი რას ჰქვია?! (ს. შანშ.).

— მაია, რას ამბობ?! — იკივლა ანამ (ა. ბელ.).

როგორ იქნება — ჩაუქრობელი ჩაქრეს ნათელი რუსთაველისა?!
(ა. მირცხ.).

კითხვით-ძახილის წინადადება არის კითხვითი წინადადება, გა-
სოტქმული გრძნობით. მაშასადამე, ეს წინადადება ძირითადად კი-
თხვითა და ამის გამო მის ბოლოს საყენი ნიშნები დაისმის ასეთ-
ნკობით: ჭერ იწერება კითხვის ნიშანი. შემდეგ კი — ძახილის (!)
და არა პირიქით (!?).

II. კითხვისა და ძახილის ნიშნები დაისმის წყვეტილად წარმო-

სათქმელი ისეთი არასრული წინადადებების გამოხატვად, რომელნიც გამოხატავენ როგორც კითხვას, ისე გაკვირვებას, მაგალითად: რაო?! რაო?! რაო?! ბუნების კანონიო?! საქართველოო?! წაქეზებულიო?! (ა. წერ.).

III. ფრჩხილებში ჩასმული კითხვისა და ძახილის ნიშნები იხმარება კრიტიკულ წერილებში, როცა ავტორს სურს გამოხატოს სხვისი ნათქვამისადმი ეჭვიცა და გაკვირვებაც, მაგალითად:

აი იგი რას ამბობდა წინათ ამავე საგანზე (Новое видение, № 4533): „1701 წ. ტურნეფორი სწერს: ტფილისში თითქმის 20.000 მკვიდრია, ამათში 14.000 სომეხი, 3.000 მულემანი, 2.000 (?!) ქართველი და 500 რომის კათოლიკენიო“ (ი. ჭავჭავაძე).

„ბანკი მას (მითამდა თავად-აზნაურობას) უფრო-და-უფრო ასუსტებს და არღვევს; ბანკის დამფუძნებელთ (?!) ეყიდებათ მამული და ლატაკდებიანო“ (ი. ჭავჭავაძე).

§ 8. მრავალწერბილი (. . .)

I. მრავალწერბილი დაისმის ისეთი წინადადების ბოლოს, რომელიც აზრს გამოხატავს დაუმთავრებლად. მრავალწერბილის დანიშნულება ამ შემთხვევაში არის მითითება იმაზე, რომ აზრი შეწყვეტილია. მრავალწერბილი ნიშნავს მიჯრით დასმულ სამ წერტილს.

— მე აქ პირველად ვარ და... — საუბრის გაბმა დავაპირე. მაგრამ აღარ დამცალდა (ს. კლდ.).

— კარგი იყო მენახა, მაგრამ, რადგან... (ს. კლდ.):

პოეტისთვის სირცხვილია შურისძიება, თორემ მე ვიტყვოდი, რასაც... (ი. ევდ.).

ეგ იყო, მაგრამ... (ი. ევდ.).

— არც ეს არის ვითომ... — სინჯვა გახანგრძლივ (ლ. ქიაჩ.).

II. მრავალწერბილი იხმარება იმ შემთხვევაშიც, როდესაც სიტყვის ან წინადადების შემდეგ ხანგრძლივი პაუზაა დასაცავი, მაგალითად:

ისინიც ეახლნენ... დაუკრეს და იცეკვეს... ერთმა მათგანმა მფლობელის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო... იგი სულ თხუთმეტი წლისა იქნებოდა... ეს ლერწამივით წერწეტი ტანის ქალწული სალამუზრის დამკვრელი იყო (გ. ქუჩ.).

სდუმდა გარემო... სდუმდა თვით შალვაც... იგი ოცნებაში წასულიყო და გაბრწყინებული თვალებით აღოსტრად მოღაღღად აღმოსავლეთს გაპყურებდა (გ. ქუჩ.).

შ ე ნ ი შ ე ნ ა. „სდუმდა“-ს ნაცვლად უნდა იყოს „დუმდა“.

ფიქრი... ფიქრი... და ფიქრები...

არ შთრდებიან გონებას (ი. ევდ.)

ამავე სახით იხმარება მრავალწერტილი დაუმთავრებელი ბრძანებითი წინადადების ბოლოსაც, თუ ეს წინადადება გრძნობით არ არის გადმოსაცემი, მაგალითად:

გამშორდი, თორემ... (ს. შანშ.).

III. მრავალწერტილი იხმარება კითხვის, ძახილის ან კითხვისა და ძახილის ნიშნების შემდეგაც. თხრობით წინადადებასთან შედარებით, კითხვით, ბრძანებით, ძახილის ან კითხვით-ძახილის წინადადებებში აზრის დაუმთავრებლობა, ძნელად შეინიშნება, ამის გამო ამ წინადადებების ბოლოს მრავალწერტილი უმთავრესად გამოხატავს ხანგრძლივ პაუზას.

მრავალწერტილი კითხვის ან ძახილის ნიშნის შემდეგ აღინიშნება ორი წერტილით, კითხვისა და ძახილის ნიშნების შემდეგ კი — ერთი წერტილით. მაგალითად:

1) მრავალწერტილი კითხვის ნიშნის შემდეგ:

რა არის ეს?... (ქ. ლომთ.).

რისთვის? ან ვისთვის?... (ი. ევდ.).

2) მრავალწერტილი ძახილის ნიშნის შემდეგ:

ჰაშ გადაწყდა!..

რა ვიცი!..

კარგი ერთი, ჰეირან!.. (ქ. ლომთ.).

მასში არის ჩვენი ნდომა, ჩვენი ყოფნის სიხარული.. (ნ. ჩხიკე.).

3) მრავალწერტილი კითხვისა და ძახილის ნიშნების შემდეგ:

შენც ხომ გითრთოლავს მკერდის ქვეშ გული?! (ი. ევდ.).

— რაღა რა იყო?! (ი. ჭავჭავ.).

განა აქვს კი ცრემლი ცეცხლმოკიდებულ გულსა?! (ი. ჭავჭავ.).

— შენ წინ გამოუარე?! (ი. ჭავჭავ.).

IV. მრავალწერტილი დაისმის წინადადების შიგნით ან ბოლოს — რაიმე დაბრკოლებით გამოწვეული წყვეტილად სათქმელი ან დაუმთავრებელი სიტყვის შემდეგ, მაგალითად:

დედი! ხედავ... ამ... ანგელოზს!.. (ი. ჭავჭავ.).

ის ჩემი დედა არ... არა, ვერ ვიტყვი! (შ. არაგვ.).

— წყა... — წამოიხრიალა გიორგიმ და ვერ დაათავა სიტყვა (ი. ჭავჭავ.).

ამხანაგებო, მცემენ ეს ჯალათ... (ქ. ლომთ.).

V. მრავალწერტილით აღინიშნება წინადადებაში განგებ გამოტოვებული სიტყვაც, რომლის დაწერა ავტორს ეუხერხულება, მაგრამ მკითხველისთვის ადვილად მისახვედრია, მაგ.:

არ გეყურება შე... შევილო! — დიკუცივლა მოსემა (ი. ჭავჭავ.).

VI. მრავალწერტილი იხმარება გამოტოვებული ადგილის აღსანიშნ-

წავადაც ისეთი ციტატის თავში ან ბოლოს, რომელსაც აკლია დასაწყისი ან დასასრული, მაგალითად:

მღერის: „დალოცვილი გამგებელი ოქროს ტახტზე დაბრძანდება...“ (ს. შანშ.).

ნიკოლოზ ბარათაშვილი წერდა: „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს...“

„...და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება“

VII. მრავალწერტილი დაისმის გამოტოვებული ადგილის აღსანიშნავად ციტატის შიგნითაც, მაგალითად:

პოეტი გვაფრთხილებდა: „არც კაცი ვარგა... რომ სოფლისთვის არა იზრუნვოს!“ (ნ. ბარათ.).

შ ე ნ ი შ ე ნ ა :

მრავალწერტილი უნდა განვასხვაოთ ე. წ. პუნქტირისგან ანუ წერტილოვანი ხაზისგან. ასეთი წერტილებით აღინიშნება:

- 1) ტექსტში გამოტოვებული სტრიქონები, მაგალითად:
თვით ბრძენია, რაღად უნდა
იმას ჩვენი რჩევანიო?

პიიპუ! პიიპუ! პიიპუ! პიიპუუუ!
(ა. წერ.).

აქ დასმულია იმდენი წერტილი, რამდენი მარცვლიც უნდა ყოფილიყო სტრიქონზე.

2) გამოტოვებული ნაწილი სახელებსა და გვარებში, რომელნიც ხშირად გვხვდება ლექსების სათაურებზე, მაგალითად:

- გ. აბხ . . . (ი. ჰავუკ.), ნიშნავს—გ. აბხაზი.
ჩ . . . სას (მისიე), ნიშნავს—ჩაიკოვსკისას;
ს . . . ჩ . . . სას (მისიე), ნიშნავს—სოფიო ჩაიკოვსკისას.
შ ს (ა. წერ.), ნიშნავს—მამიას.
გ ს (მისიე), ნიშნავს—გიორგის და სხვ.

ამ მაგალითებში უმთავრესად იმდენი წერტილია დასმული, რამდენი ასოც აკლია სიტყვას, მაგალითად: გ. აბხ . . . = გ. აბხ [აზი], შ ს = შ [ამია]ს, ე ს = ე [იორგის]ს.

ზოგჯერ წერტილების ნაცვლად გვხვდება გრძელი ხაზი, მაგალითად:

ვიცი გიამება, კ. დავნიშნეთ რ. ე-ზედ. ზ-იას და გ-ის კარგი საქორწილო გამოეგზავნათ. ზ-ია იწერება, რომ გ-ლმა სულ ბლუქეულად იცისო. კ-მ შემოგიფთვლა, ახლა შენ იციო (ნ. ბარათ.).

ახსნა: კ[ატო], რ[ევაზ] ე[რისთავ]ზედ, ზ[აქარი]ას და გ[იორგის] ზ[აქარ]ია, გ[რიგო]ლმა, კ[ატო]მ.

სასკენი ნიშნები წინადადებაში

§ 7. მძიმე (.)

მძიმის გამოყენება წინადადებაში მრავალფეროვანია. იგი იხმარება წინადადებასთან გრამატიკულად შეუკავშირებელი სიტყვის ან სიტყვათა ჯგუფისა (მიმართვის, ჩართული სიტყვის ან წინადადების, შორისდებულის, მიგებითი ნაწილაკის) და განკერძოებული წევრების (დანართის, განკერძოებული განსაზღვრების, განკერძოებული გარემოების) გამოსაყოფად. გარდა ამისა, მძიმით ერთმანეთისგან გამოიყოფა განმეორებული სიტყვები მარტივ წინადადებაში, ერთგვარა წევრები შერწყმულ წინადადებაში, მარტივი და შერწყმული წინადადებები რთულ თანწყობილ ან რთულ ქვეწყობილ წინადადებაში.

მძიმე გრამატიკულად შეუკავშირებელი სიტყვების გამოსაყოფად

I. მძიმე მიმართვასთან:

მიმართვა იხმარება წინადადების თავში, შიგნით და ბოლოს.

1) მიმართვა წინადადების თავში

წინადადების თავში დასმული მიმართვა მძიმით გამოიყოფა მომდევნო წევრისგან, მაგალითად:

გაბრიელ, მართალი ხარ! (ს. შანშ.).

დედა, ვინ მოიტანა ეს ბარათი? (ა. ბელ.).

მეგობრებო, წინ... წინ გასწით... (ი. ევლ.).

ძმებო, ვანანოთ მტერს ვერაგობა... (ი. აბაშ.).

მშობლიურო ჩემო მიწავ, შენს საყვარელ სახელს ვფიცავ, რომ დავიცავ შენს ტყბილ ენას, შენს მშვენიერს ჩანგს დავიცავ! (გ. ტაბ.).

2) მიმართვა წინადადებაში

წინადადებაში მიმართვა მძიმით გამოიყოფა ორივე მხრიდან—როგორც მომდევნო, ისე წინამდებელი წევრისგან, მაგალითად:

მართალს ამბობ, გიორგი, მართალსა (ნ. ლომ.).

რა იყო, მამა, რა მოხდა? (ლ. ქიაჩ.).

მოძრაობა და მართო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი (ი. ჭავჭავაძე).

8) მიმართვა წინადადების ბოლოს

მიმართვა წინადადების ბოლოს მძიძი: გამოიყოფა წინაპვეალი წვეერისგან, მაგალითად:

დაწყნარდი, შვილო!

მე არ გაკაეებ, ჩემო ძმაო!

რასა ჭაერობ, შე კაი კაცო!

მიმართვა იხმარება სხვადასხვა ტიპის წინადადებაში: თხრობითში, კითხვითში, ბრძანებითში, ძახილისა და კითხვით-ძახილისაში, ამიტომ მიმართვიანი წინადადების ბოლოს დაისმის ის ნიშანი. რომელიც სა-თქმელის შინაარსს შეეფერება.

II. მძიძე ჩართულ სიტყვებთან:

ჩართული სიტყვა ან წინადადება გვხვდება წინადადების წინ, შიგ-ნით და ბოლოს, მაგალითად:

1) ჩართული სიტყვები წინადადების წინ

წინადადების წინ დასმული ჩართული სიტყვა მძიძით გამოიყოფა მომდევნო წვეერისგან:

ცხადია, უნდა შეეასრულოთ (ს. შანშ.).

მართალია, დღეს ყველაფერს გავიგებ (ა. ბელ.).

მგონი, მაშინ იმას სწავლაზე გული აცრუებული ჰქონდა (ი. ჭავჭავაძე).

მაშასადამე, თეორემა დამტკიცებულა (ა. ბელ.).

პირიქით, იგი არც ნათესაეებს ივიწყებდა (ს. მვალ.).

დასასრულ, მძიძე ოხერა აღმოაკადა გულიდახ და ულონოდ დაეშვა სკამზე (ლ. ჭიაჩ.).

საბედნიეროდ, მათგანს არც ერთს იარალი ზედ არ ჰქონდა (ა. ყაზბ.).

ერთი სიტყვით, ვანო ცოცხალი იყო (ი. მანსვეტ.).

ასე გასინჯეთ, დედაჩემიც კი ცდილობდა, სიცოლი შეეკაეებინა (ა. წერ.).

რამდენადაც ვიცი, ნიკორას შენ უღელში არ აბამდი (ლ. ჭიაჩ.).

მისი აზრით, ყველაფერი ასე უნდა ყოფილიყო (რ. ჭაფარი.).

როგორც მითხრეს, ყმაწვილები მეეზოვემ შეარეგა (ბ. ბერ.).

2) ჩართული სიტყვები წინადადებაში

წინადადებაში ჩართული სიტყვა მძიძით გამოიყოფა ორივე მხრი-დან, მაგალითად:

ჩემი ბიძებიც, რასაკვირველია, არ იყვნენ სხვებზე უკან ჩამორჩენილნი (ნ. ლომ.).

გუგუა მათ წინ მიუძღოდა და, უეჭველია, ნუგზარის ჯარს გზას უჩვენებდა (ა. ყაზბ.).

ცოტა ადრე აგვიცივდა, ჩანს, ზამთარი მალე მოვა (შ. მღვიმ.).

ხორბალს, საერთოდ, ცოტას თესენ ხევში (რ. ჯაფარ.).

აბაზანა, ჩემდა იღბლად, ცხელი აღმოჩნდა (დ. შენგ.).

ბიქოს!.. თქვენ ყოფილხართ, შენ ხარ ჩემი ბატონი, ენციკლოპედია (კ. რუს.).

ეგ შენი შიში, მამაშვილობამ, სრულიად უსაფუძვლოა (დ. კლდ.).

ირინე, დედაშვილობას, ჩუ! (დ. კლდ.).

ამ სიტყვებმა, ცოტა არ იყოს, გულში ჩამახედეს (ა. წერ.).

აქ, როგორც ხედავთ, კირიანი ნიადაგია (გ. შატბ.).

სახლი, როგორც ვთქვით, ფიცრულია (ი. ჭავჭ.).

მ) ჩართული სიტყვები წინადადების ბოლოს

წინადადების ბოლოს ჩართული სიტყვა მძიმით გამოიყოფა წინამავალი წევრისგან, მაგალითად:

მარილიანი რამ იყო, ჩემდა საუბედუროდ (ი. ჭავჭ.).

ვერაფერი ოხუნჯობაა, შენ არ მომიკვდე! (დ. კლდ.).

კვებნა საქმეზედ მარჯვე ყოფილა, შენი კვნესამე! (ა. ყაზბ.).

ნეტავ კი ისურვებდეს, მაგას ვენაცვალე! (დ. კლდ.).

ძალიან გამახარე, ძმობას გეფიცები (შ. დად.).

წაგვიყვანენ... ფშაელობა დაგავიწყდება, ჩემმა ცხონებამ (ვ. ფშავ.).

...ეს კი მაკვირვებს, სწორედ გითხრა (ლ. ქიაჩ.).

იგი იყო ნამდვილი კატომოყვარე ადამიანი, რომ იტყვიან (დ. კლდ.).

III. მძიმე შორისდებულებთან:

ქართულში შორისდებულად გვხვდება ხმოვნები: ა, ე, ო, უ, მაგრამ უმთავრესად იგი გამოხატულია ბგერათა ჯგუფით, ერთი, ორი ან სამი მარცვლის სახით, მაგალითად: აპ, ეპ, ოპ, უპ; ახ, ეხ, ოხ, უხ; აპა, ეპა; პა, ჰე; ჰაი, ჰეი; ფუ, ფუი; ვა, ვაი, ვაიმე; უი, უიმე; ოი, ვიშ, ერიპა და სხვ.

ხშირია შემთხვევა, როდესაც ერთი და იგივე შორისდებული გამოიყენება სხვადასხვა გრძნობის გადმოსაცემად, ამის გამო შორისდებულების კლასიფიკაცია შინაარსის მიხედვით შეუძლებელია.

შორისდებული უმთავრესად იხმარება წინადადების თავში, იშვიათად — წინადადების შიგნით ან ბოლოს.

1) შორისდებული წინადადების წინ

წინადადების წინ დასმული შორისდებული მძიმით გამოიყოფა მომდევნო წევრისგან, მაგალითად:

ო, გაიხარე სამშობლოს ბედით (ვ. გაფრ.).

ოი, შენი ჭირიშე, შენი! (შ. არაგვ.).

ეჰ, რას ამბობ! (გ. წერ.).

უჰ, რამდენი საქონელი გვეყვლება! (შ. არაგვ.).

ოჰ, რა მშვენიერად გალობს! (ვ. ფშავ.).

აჰ, რა საუცხოო ადგილია! (ნ. ნაკ.).

2) შორისდებული წინადადების ბოლოს

წინადადების წინ დასმული შორისდებული მძიმით გამოიყოფა წინამდებელი წევრისგან, მაგალითად:

სად გგონია შენ ამ წუთს შენი თავი, ჰა? (ი. ევლ.).

რას ამბობ შენ, ეი! (ა. წერ.).

რა გვარებია, ფუჰ! (ს. შანშ.).

ბიჭებო, ბანი, ჰაააა! (ვ. ფშავ.).

აფსუსს, გოგონა! აფსუსს (ნ. ლომ.).

ვიშ, რა ვაუჟაკობა გამოიჩინა, ვიშ! (დ. კლდ.).

3) შორისდებული წინადადებაში

წინადადებაში გამოყენებული შორისდებული მძიმით გამოიყოფა ორივე მხრიდან—როგორც მომდევნო, ისე წინამდებელი წევრისგან, მაგალითად:

მაგრამ, ეჰ, ძმაო, რაც იყო. -- იყო. ჯოჯობეთია მოსაგონებლად (ი. ჭავჭავ.).

და, ჰა, აღსდგა ხალხზე ხალხი... (ი. გრიშ.).

აფსუსს, ჩემი სიბრძნე-ცოდნა. აფსუსს, ჩემი ჩანგის უღერა (ი. ჭავჭავ.).

გუგუაუ, ჰაა, გუგუაუ! (ა. ყაზბ.).

გიორგა, ჰმ, გიორგა! (ვ. ფშავ.).

მადლით სავსე ვარ და, ვაი, ჩემს შვილს ეგ მადლი ჩემი ვერ უშვნი-
ვია (ი. ჭავჭავ.).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა:

შორისდებული შეიძლება გამოყენებული იყოს წინადადების წევრად. მაშინ იგი მძიმით არ გამოიყოფა, მაგალითად:

ვ ა ი შ ე ნ ს მ ო ს ე ს (ი. ჭავჭავ.).

ბუნება „ვ ა შ ა ს“ უძახის მდიდრად მორთულის აღმითა (ვ. ფშავ.)

ვ ა ი ს გ ა ყ რ ი ლ ი უ ი ს შ ე ვ ე ყ ა რ ე (ა. წერ.).

მძიმით იგი გამოიყოფა მაშინ, თუ ერთგვარ წევრებად არის გამოყენებული და აქვს ჩამოთვლის სახე, მაგალითად:

ვ ა ი თ. ვ უ ი თ. წყველით, კრულვით, რიგი ფეხით. რიგი ურმით—ეკელა შორის (ი. გრიშ.).

IV. მძიმე მიგებით ნაწილაკთან:

მიგებითი ნაწილაკი აღნიშნავს მტკიცებას ან უარყოფას. ამის მოხედვით იგი არის ორგვარი: მტკიცებითი და უარყოფითი. მტკიცებითია: ქო, დიახ, კი და ამ მნიშვნელობით გამოყენებული სიტყვები: კარგი და კეთილი. უარყოფითია: არა, ვერა.

მიგებითი ნაწილაკები უმთავრესად იხმარება წინადადებების თავში, იშვიათად — წინადადებაში ან მის ბოლოს.

1) მიგებითი ნაწილაკი წინადადების თავში

წინადადების თავში დასმული მიგებითი ნაწილაკი მომდევნო სიტყვისგან გამოიყოფა მძიმით, მაგალითად:

მ ტ კ ი ც ე ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ა კ ი

ქო, ახლა კი მივხვდი! (ა. წერ.).

დიახ, მეც მიყვარს საქართველო... (ვ. რუხ.).

კი, მართალია, ამით საქმე ადვილდებოდა, მარტივდებოდა (დ. კლდ.).
კარგი, თავს შემოგველე! (ნ. ლომ.).

კეთილი, მაშ თქვენ მზად ხართ? (ი. ლის.).

უ ა რ ყ ო ფ ი თ ი ნ ა წ ი ლ ა კ ი

არა, მყინვარი არ მიყვარს (ი. ჭავჭ.).

არა, ზეგ დილით ემჯობინება (ნ. ლომ.).

არა, ახლა აღარა სწყინდა ყველა ეს გოგის. (ი. ევდ.).

ვერა, ვერ მიცნო (ს. კლდ.).

ვერა, ვერ მოგცე შენი ზაქარო (ი. ჭავჭ.).

2) მიგებითი ნაწილაკი წინადადების ბოლოს

წინადადების ბოლოს დასმული მიგებითი ნაწილაკი წინამავალი სიტყვისგან გამოიყოფა მძიმით, მაგალითად:

ქმ, მტყუანი ვარ, დიახ! (დ. კლდ.).

დიახ, ქალბატონო, დიახ! (ნ. ლომ.).

ვერ აეშლით, ვერა! (ნ. ლომ.).

ამას ვერ შევაწევ, ვერა! (ს. კლდ.).

არ დალევს, არა! (ვ. ფშავ.).

3) მიგებითი ნაწილაკი წინადადებაში.

გლუხეკაცის და ყმის ლიტონი ბედი, ვერა, ვერ გაძლებს ბატონია ხელში (ი. ჭავჭ.).

აჰა, კეთილი, მოიცადეთ (ი. ლის.).

აი, სიბერე რა არის, ხსოვნამ მიღალატა, დიახ, ცოცხალი ბრძანდებოდა (ი. ჭავჭ.).

ის, არა, მეორეჯერ არ დაიგვიანებს.

V. მძიმე განმეორებულ სიტყვებთან:

შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით წინადადებაში ხშირად ძვი-
მართავთ სიტყვის განმეორებას. ამ შემთხვევაში ერთი სიტყვა მეო-
რისგან ჩვეულებრივ მძიმით გამოიყოფა, მაგალითად:

ურემი, ჩემი ურემი გამყოლი არის ხარისა (რ. ერისთ.).

ყველაფერი, ყველაფერი მართალი იქნება...

სულ, სულ მთლიანად! (ნ. ლომ.).

არავინ, არავინ არ დამეხმარება (ჭ. ლომთ.).

არაფერი, არაფერი არ გამაჩნია თავის დასაცავად (ჭ. ლომთ.).

ამას ვერასოდეს, ვერასოდეს ვერ შეურიგდება ჩემი გონება (ჭ. ლომთ..)

ამ მაგალითებში განმეორებული სიტყვები წინადადების წევრებია
და ამის გამო მხოლოდ ერთი მძიმე დაისმის, მაგრამ, თუ ამ გამეორე-
ბულ სიტყვებს მოსდევს გრამატიკულად შეუკავშირებელი სიტყვა ან
განკერძობებული წევრი, მაშინ ორი მძიმის დასმას საჭირო, მაგალითად:
ნახვამდის, ნახვამდის, ჩემო საყვარელო ჩიტუნია! (ლ. ჭიჭი.).

მობრძანდი, მობრძანდი, ზაქარია! (ნ. ლომ.).

მითხარი, მითხარი, შენს მუხლებს ვენაცვალე (ნ. ლომ.).

ასევე ორი მძიმეა საჭირო, თუ განმეორებულად მოცემულია წინა-
დადებასთან გრამატიკულად შეუკავშირებელი სიტყვები—მიმართვა,
ნაწილაკი და შორისდებული, მაგალითად:

მ ი მ ა რ თ ე ა:

შვილო, შვილო, ერთი სიტყვა კიდევ მითხარი, შენი ჭირიმე (ნ. ლომ.).

დედი, დედი, ერთი დაუძახე ვისმე (ნ. ლომ.).

ნ ა წ ი ლ ა კ ი:

არა, არა, მაგრე არ შეიძლება (დ. კლდ.).

ვერ დაიჭერ, ვერა, ვერა!

შ ო რ ი ს დ ე ბ უ ლ ი:

უჰ, უჰ, რა ტკბილია!

ოჰ, ოჰ, რა ბავშვი წახდა, რა ბავშვი! (ნ. ლომ.).

მძიმე ბანკაძეობურ ნაწილების შემოსაყოფად

VI. მძიმე დანართთან:

1) დანართი წინადადებაში

წინადადებაში დანართი მძიმით გამოიყოფა ორივე მხრიდან,
მაგალითად:

ქაჩანას მამა. კიკოლა, იყო ერთი ჩვენი გონიერი და გამოცდილი
გლებთაგანი (ნ. ლომ.).

მეხუთეს, ვასილ ჟიგას, ჩემთვის გატენილი თოფი ესროლეს
(კ. ლორთქ.).

მარტო იგი, ლადო ვაშალოშიძე, აქ არსად იქნება (კ. ლორთქ.).

ამასობაში ის, ფარაჯაში გახვეული ბიჭი, მოიყვანეს (ი. ჭავჭავ.).

ამიტომაც მე, როგორც ქვეყნის შვილს, თერგის სახე უფრო მომწონს
და უფრო მიყვარს (ი. ჭავჭავ.).

2) დანართი წინადადების ბოლოს

წინადადების ბოლოს დანართი მძიმით გამოიყოფა წინამავალი
სიტყვისგან, მაგალითად:

გაუფრთხილდით ადამიანის უძველეს მეგობარს, ტყეს (დ. თურდ.).

ჩონგური სიფრთხილით გადასცა თავის ქალს, გოგიას დას (ა. წერ.).

ახალ გრიგალებს ვსწირავთ სიცოცხლეს ჩვენ, პოეტები საქართვე-
ლოსი! (გ. ტაბ.).

ღიახ, მოგახსენებთ, გლეხკაცის შვილია, გვარად მცირიშვილი (ე. ნინ.).

ამას სჩივიან... ზოგიერთნი ჩვენი მემუსიკენი, მაგალითად ია კარგა-
რეთელი (ს. მგალ.).

3) დანართი წინადადებას წინ

წინადადების წინ დასმული დანართი მძიმით გამოიყოფა მომდევნო
სიტყვისგან, მაგალითად:

როგორც შეტად გამოცდილმა მეომარმა, სვიმონ მეფემ აღრიდანვე
შეიტყო, რომ ომს წააგებდა (ი. გოგ.).

როგორც გამოჩენილ მონადირეს, მთისკაცს საკოლმეურნეო ნადირო-
ბის გაძლოა დააკისრეს (ლ. ქიაჩ.).

...და ჭაბუკი თავმომწონე, მეც სიყვარულს გიგალობდი! (ა. წერ.).

მძიმე დაისმის ისეთი დანართის წინაც, რომელსაც ახლავს მაიგი-
ვებელი კავშირი ესე იგი ან ანუ, მაგალითად:

ის საუცხოვო რამ არის და ამიტომაც დაურქმევიათ „სავეანე“, ე. ი.
მოსასვენებელი ადგილი (ა. წერ.).

ცოტნემ გაიარა სამცხე, ანუ ახლანდელი ახალციხის მხარე, შემდეგ
ჯავახეთი (ი. გოგ.).

ერთი მათგანი ახალგაზრდა თმაქოჩორა ანდროს მოხვდა გულში,
ხოლო მეორე — ბეჟანს, ანუ, როგორც მას სოფელში ეძახდნენ, ბეჟი-
კოს (ა. ბელ.).

ვითომ ჩვენ თვითონ გვდომებოდეს იმ ბანკში შესვლა. ანუ, რო-
გორც ისინი ეძახდნენ, ბანკის ხელში ჩაგდება (ა. წერ.).

ამ უკანასკნელ ორ წინადადებაში ანუ კავშირის შემდეგ მძიმე იმი-
ტომაც დასმული, რომ მათ მოსდევს ჩართული წინადადებები — „რო-

გორც მას სოფელში ეძახდნენ“, „როგორც ისინი ეძახდნენ“, რომელ-
ნიც თავის მხრივაც მძიმეებით გამოიყოფა.

მაიგივებელი კავშირი სხვა განკერძოებულ წევრებსაც ახლავს, მაგ:

ა) შედგენილი. შემასმენლის თანასაერთს:

ბეჯანი უფრო სუსტი აგებულების ახალგაზრდა იყო, ულამაზო, ანუ, როგორც ჩვენში იტყვიან, უსახური (ა. ბელ.).

ბ) განსაზღვრებას:

ექვს აბაზად ფასობდა მაშინ კოდი პური, ანუ რვა ჩანასი..

გ) გარემოებას:

...შუადღისას დაადგენ იმ გზას, რომელიც ქალაქიდან მიდიოდა
ჩრდილოეთისაკენ, ესე იგი სამეგრელოსკენ (ე. ნინ.).

VII. მძიმე განკერძოებულ განსაზღვრებასთან:

განკერძოებულია განსაზღვრება, რომელიც მნიშვნელობის გა-
ძლიერების მიზნით წინადადების წევრებისგან გამოიყოფა აზრობრი-
ვად და ინტონაციურად. იგი უმთავრესად გამოიხატება სიტყვათა
ჯგუფით და იხმარება წინადადებაში ან მის ბოლოს, იშვიათად—წი-
ნადადების თავში.

1) განკერძოებული განსაზღვრება წინადადებაში

წინადადებაში გამოყენებული განსაზღვრება მძიმით გამოიყოფა
ორივე მხრიდან, მაგალითად:

მე, შეშინებული, ტყეში გადავხტი (ე. ფშავ.).

ბესარიონმა, სასახლეში ბესიკად წოდებულმა, რამდენიმე საოხუნ-
ჯო ლექსი გამოუთქვა მოურავს (ა. ბელ.).

ქესოს ყვავილების ბალი, გეგმაზე გაკეთებული, მოირთო, მოიკაზმა
(ი. ქავჭ.).

2) განკერძოებული განსაზღვრება წინადადების ბოლოს

წინადადების ბოლოს დასმული განკერძოებული განსაზღვრება მძი-
მით გამოიყოფა წინამავალი სიტყვისგან, მაგალითად:

ურემზე ეღო ტომრები, სავე მშვენიერი ვარიანული ფქვილითა
(ი. გოგ.).

გიორგი მთელი წიგნი იყო, ხიდგაღმა დაწერილი (ი. ქავჭ.).

მსურს დაეინახო ცის მნათობი, ცეცხლის მფრქვეველი (ა.აბაშ.).

3) განკერძოებული განსაზღვრება წინადადების წინ

წინადადების წინ დასმული განკერძოებული განსაზღვრება მძიმით
გამოიყოფა მომდევნო სიტყვისგან, მაგალითად:

თვალისთვის უხილავი, იგი იგრძნობოდა სუნით (კ. ლორთქ.).

სისხლისაგან გაგიჟებულმა, მე დაეკალ დედა შვილსა (დ. კონქ.).

როგორც ტყეში მოსიარულე, ის თითქმის შეუცდომლად ატყობდა ვარსკვლავების მსვლელობაზე დროსა და მხარეებს (ე. ნინ.).

მძიმით გამოიყოფა განკერძოებული განსაზღვრება მაშინაც, როდესაც საზღვრული, რომელსაც იგი უნდა ახლდეს, წინადადებაში გამოტოვებულია, მაგალითად:

...მასპინძლისაგან დატუქსული, კუდამოძუებული გაიქცა საჩეხისაკენ (მ. მრეველ.).

წინადადებაში გამოტოვებულია საზღვრული „თოლია“.

VIII. მძიმე განკერძოებულ გარემოებასთან:

განკერძოებულია გარემოება, რომელიც ამხსნელად ახლავს წინადადებაში თავის შესატყვის წევრს და აზუსტებს მის მნიშვნელობას. განკერძოებულად იხმარება უმთავრესად ადგილის, დროისა და ვითარების გარემოებები. გამოყენების ადგილის მიხედვით განკერძოებული გარემოება შუათანა ან მომდევნოა. შუათანა მძიმით გამოიყოფა ორივე მხრიდან, მომდევნო კი მძიმით გამოიყოფა წინამავალი წევრისგან. მაგალითად:

1) განკერძოებული ადგილის გარემოება:

გ ა ნ კ ე რ ძ ო ე ბ უ ლ ი ა დ გ ი ლ ი ს გ ა რ ე მ ო ე ბ ა
წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა შ ი

აქ. თბილისში, ზეიშია (რ. მარგ.).

იქვე, სულ ახლოს, ექსკავატორს გაჰქონდა გუგუნის (ო. ჩხ.).

აქ, ამ პატარა ახმეტაში, ყოველიფერი მალამოდ ეცხება ჩემს გრძნობა-გონებას (ა. წერ.).

აქ, ესე იგი ჩვენს უკან. გარაჟია (დ. შენგ.).

იმავე მხარეს, დასავლეთით, დარბაზს ჰქონდა ერთი ფანჯარა (რ. ვვეტ.).

გ ა ნ კ ე რ ძ ო ე ბ უ ლ ი ა დ გ ი ლ ი ს გ ა რ ე მ ო ე ბ ა
წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ი ს ბ ო ლ ო ს

განა ასე მღერიან იქ, საქართველოში? (გ. შატბ.).

ქართველი ჯარი მას გადაელობა გზაზე თბილისს ქვევით. მარაბდის სამხრეთით (ი. გოგ.).

გზა მიდიოდა უდაბურ ტყეში, ჭენჭყ ადგილებში (დ. კლდ.).

2) განკერძოებული დროის გარემოება:

გ ა ნ კ ე რ ძ ო ე ბ უ ლ ი დ რ ო ი ს გ ა რ ე მ ო ე ბ ა
წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა შ ი

მეორე დღეს, დილით ადრე, გამოსულიყო ზაალ აივანზე და ქალებს გადაჰყურებდა (ა. წერ.).

დილას, კარგა მზის ამოსვლამდე, ეზოს მახლობელ ყანაში იმუშავებდა (ე. ნინ.).

დანიშნულ დროს, ესე იგი რვა საათის ნახევარზე, მივედი თეატრში...
(ლ. არდ.).

გ ა ნ კ ე რ ძ ო ე ბ უ ლ ი დ რ ო ი ს გ ა რ ე მ ო ე ბ ა
წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ი ს ბ ო ლ ო ს

ეს იყო სამსონასთან შეთანხმების მეორე დღესვე, ნაშუაღამევს.
(ლ. ქიაჩ.).

აქ... ელოდა მათ მოსვლას კვირას, ე. ი. სამი დღის შემდეგ (ი. ევდ.).
აი ამ სახლში დავბადებულვარ მე 9 ივნისს, განთიადისას, 1840 წელს (ა. წერ.).

ამ უკანასკნელ მაგალითში გვაქვს ორი განკერძოებული დროის გარემოება: „განთიადისას“ და „1840 წელს“, რომლებიც ერთმანეთისგან მძიმით გამოიყოფა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: არ არის სწორი, როდესაც განკერძოებულად ხმარობენ სულ სხვა წევრს, ვიდრე ასახსნელ წევრთან შესატყვისს და მას გამოყოფენ მძიმეებით, მაგალითად:

ერთხელ, მანგლისის გზაზე, შეხვდნენ ერთმანეთს მოლალატე ყორღანაშვილი და საინო ბარათაშვილი (ი. გოგ.).

აქ უკულებელყოფილია წინადადების აღნაგობა და მძიმე დასმულია პაუზის მიხედვით, რაც ამ შემთხვევაში არ არის სწორი, რადგანაც დროის გარემოებასთან განკერძოებულ წევრად გამოყოფილია ადგილის გარემოება. ნამდვილად კი ადგილის გარემოება განკერძოებული შეიძლება იყოს მხოლოდ შესატყვისის გარემოებასთან, ამიტომ მისი მძიმეებით გამოყოფა დროის გარემოებისაგან. უდავოდ, უხეზი შეედომება.

8) განკერძოებული ვითარების გარემოება:

გ ა ნ კ ე რ ძ ო ე ბ უ ლ ი ვ ი თ ა რ ე ბ ი ს გ ა რ ე მ ო ე ბ ა
წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა შ ი:

ის სწრაფად, მოხერხებულად, შევიდა რჩევის ზალაში (გ. წერ.).

თუ ბატონები არ მიუთითებდნენ, ისე. თავისთავად, ხელს არაფერსაჰკიდებდნენ (ა. წერ.).

რკინისავე ვადასა და ბურნუკს აქა-იქ ხაწყვეტებად, გვირისტის ნაკვალევით, თეთრი წინწკლები ეყარა... (ლ. ქიაჩ.).

ამგვარად, ჩვენთვის სრულიად შეუნიშნავად, გადაედოდი ერთი ადგილიდან მეორეზე... (ნ. ლომ.).

პალტო მოიგლიჯა, იქით გადააგდო და მამაკაცურად. ე. ი. უღამაზოდ, აზლუქუნდა (დ. შენგ.).

გ ა ნ კ ე რ ძ ო ე ბ უ ლ ი ვ ი თ ა რ ე ბ ი ს გ ა რ ე მ ო ე ბ ა წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ი ს ბ ო ლ ო ს

სკოლაში დადის კოხტად მორთული, ლამაზად (პ. ლორ.).

შენ ასე შეგარქვეს ოჯახში, ჩვენებურად (რ. ქორქ.).

შ ე ნ ი შ ე ნ ა :

1. ასევე მძიმით გამოიყოფა გ ა ნ კ ე რ ძ ო ე ბ უ ლ ი შ ი ზ ე ზ ი ს ა და შ ი ზ ნ ი ს გ ა რ ე მ ო ე ბ ე ბ ი, რომელნიც ხშირად არ გვხვდება, მაგალითად:

გიტა მეზურიშვილს ამდენი ხნის ოცნება, სწავლა განეგრძო, ამ ერთი ნიშნის გამო, ამ ერთი ოთხიანის გამო, უნდა ჩაფუშოდა (ბ. ჩხ.)

შენ კი სამგორში რაღაც მიზეზით, კერძოდ ფეხის ტკივილის გამო, ვერ მიდიხარ (ა. ლომ.).

2. მძიმით გამოიყოფა აგრეთვე შიგვიებელკავშირიანი გ ა ნ კ ე რ ძ ო ე ბ უ ლ ი მ ა ზ ს ტ ე ბ ე ლ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა, მაგალითად:

ის იზრდებოდა, ანუ სწავლობდა, გიმნაზიაში (ლ. არღაზ.).

ლოცვის შემდეგ პირს გაეისველებლით, ე. ი. ცოტა რასმე ვისაუზმებდით (ა. წერ.).

IX. მძიმე რამდენიმე ერთგვარ განკერძოებულ წევრთან:

წინადადებაში ასახსნელი წევრის მნიშვნელობის უფრო დაზუსტების მიზნით ხშირად გვაქვს რამდენიმე ერთგვარი განკერძოებული წევრი, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში უკავშიროდ (ე. ი. და კავშირის გარეშე) იხმარება და როგორც წინადადების სხვა წევრებისგან. ისე ერთმანეთისგანაც მძიმით გამოიყოფა, მაგალითად:

1) რამდენიმე დანართი

I დ ა ნ ა რ თ ი

II დ ა ნ ა რ თ ი

მე, როგორც ვეჭილს, როგორც დამცველს ყოველთვის გაჭირვებულისა და დამნაშავისა, არ მწამს დანაშაულობა (გ. წერ.).

I დ ა ნ ა რ თ ი

მაშ სალამს გიძღვნი, სამშობლო მხარეც, აკვანო ჩემი ყმაწვილობისა.

II დ ა ნ ა რ თ ი III დ ა ნ ა რ თ ი

IV დ ა ნ ა რ თ ი

ერთგული ძუძუ, უბადლო სატრფო, ჩანგო წარსულის მოგონებისა!
(ი. ევდ.)

2) რამდენიმე განკერძოებული განსაზღვრება

გ ა ნ კ ე რ ძ ო ე ბ უ ლ ი გ ა ნ ს ა ზ დ ე რ ე ბ ა

ბავშვი, დედ-მამის უსაშვალობის გამო შორს გაბარებული, ვიგინდარად

და უპატრონოდ მიგდებული, გამოდის ან ზნეობით მახინჯი, ან აღრევს ესპობა სიცოცხლე (გ. წერ.).

I განკ. განს. II განკ. განს. III განკ. განს.
გორო, ქართლის შუაგულო, მეთაურო ქართლისაო, ადრე ღირსად წა-
IV განკ. განს.

მებულო, დღესაც მთქმელო მართლისაო! (ა. წერ.).

მ) რამდენიმე განკერძოებული გარემოება

I განკ. გარემოება

II განკ. გარ.

იქვე, მუხაზე ცოტა დაშორებით, მდინარისაკენ, ობლად იღვა ნაზი ტირიფი (ლ. ქიაჩ.).

გასაოცარი მოხერხებით მან პირველმა ჩადგა ფეხი ეგრეთ წოდე-

I განკ. გარ.

II განკ. გარ.

ბულ „მწვანე კონცხში“, ბათუმის მახლობლად, გვირაბთან (დ. კლდ.).

X. მძიმე რამდენიმე სხვადასხვა განკერძოებულ სიტყვასთან:

ერთმანეთისგან მძიმით გამოიყოფა წინადადებაში გამოყენებული სხვადასხვა ტიპის განკერძოებული სიტყვებიც, მაგალითად, განკერძოებული განსაზღვრება და ჩართული თქმა, ჩართული თქმა და მიპართვა, დანართი და მიმართვა, შორისდებული და მიმართვა. ნაწილაკი და მიმართვა და ა. შ.

მაგალითები:

განკერძ. განს.

ჩართ. თქმა

თქვენ, როგორც ყველა უცხო და შორეული, რა თქმა უნდა, ვერ გაიგებთ ჩემს გულისტკივილს (ს. კლდ.).

შენმა გაზრდამ, გიორგი, არ არის კარგი, რომ კაცმა კაცი უსაბუთოდ ლანძღოს (ა. ყაზ.).

დილა მშვიდობისა, დათიკო, რას დაგიშვია მკლავები? (მ. მიქ.).

მე, თქვენს ძე, ქართველებო, გამარჯვებით დაგიბრუნდით! (რ. მარგ.).

ეჰ, შე დალოცვილო, როგორ იქნება? (ნ. ლომ.)

ჰო, შენმა მზემ, ეხლა ჩვენი ვედრება ეგ არის, ქალბატონო (ი. ქავჭ.).

ეჰ, მთაო, შემოგწყრომიო, როგორცა ვხედავ, ქვეყანა (ვ. ფშავ.).

არა, ბათუ, ვახშამს არ ვკვამ (ა. წერ.).

კი, მამიდა, თამამად უნდა იყო ყველგან (დ. კლდ.).

ოჰ, შენი ჭირიმე, დედავ, რამოდენებია! (ვ. ფშავ.).

XI. მძიმე ისეთ განკერძოებულ სიტყვებთან, რომელთაც თანდებულიებად ახლავთ სიტყვები: გარდა, ნაცვლად, მიუხედავად, შედეგად, თანახმად, მსგავსად, წინააღმდეგ და სხვა მისთ.

ამ ტიპის განკერძოებული სიტყვები უმთავრესად დაისმის წინადადების თავში, წინადადების შუაში ან ბოლოში. თუ იგი წინადადების შუაშია, გამოიყოფა ორი მძიმით, სხვა შემთხვევაში — ერთით, შინაარსის თვალსაზრისით ისინი აღნიშნავენ: გამორიცხვას, მიმატებას, შენაცვლებას, დანიშნულებას, დათმობას, მიზეზს, შესატყვისობას და სხვ.

1) გამორიცხვის გამოხატველია:

გარდა ერთი კარისა, დუღაბით ნაშენ ქარვასლას ბელელივით არსად არა ჰქონდა ფანჯრები (ა. ბელ.).

ყველამ, გარდა სიმონისა, ბესიას დასდო ბრალი (ე. ნინ.).

კაცის სიკვდილი არ გამართლდება, სამშობლოსათვის სიკვდილის გარდა (გ. აბაშ.).

ყველას ეძინა, ქრისტინეს გარდა, (ე. ნინ.).

2) შენაცვლების გამოხატველია:

ნაცვლად ამ ჯავრისა, ბაეშვის გულში დაიბადა და აენთო უძლიერესი სიხარული (ი. გოგ.).

ნაცვლად ჩემი უბრალო სურვილის დაკმაყოფილებისა, ისინი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, გაოცებით დამცინოდნენ (ნ. ლომ.).

3) დანიშნულების აღმნიშვნელია:

ლომმა შეება იგრძნო და ანდროს დაუწყო ლოკვა და ლაქუცი, ნიშნად მადლობისა (ი. გოგ.).

ხალხიკ ფულს უხვად აძლევდა მას და ლომსაც ყვავილებს აყრიდა, ნიშნად გულითადი პატივისცემისა (ი. გოგ.).

4) დათმობის აღმნიშვნელია:

მიუხედავად მისი ახირებულობისა, გარეშეებსაც ძალიან უყვარდათ მამაჩემი (ა. წერ.).

„გიმნასტიკის“ დროს კი, წინააღმდეგ ჩემი მოთხოვნისა, უნდა მხოლოდ სხვისი ბრძანებით ვიმოძრაო (ა. წერ.).

5) მიზეზის აღმნიშვნელია:

შედგად ამისა, წარსულში ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა ერთ-ერთ მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნად გადაიქცა.

6) შესატყვისობის აღმნიშვნელია:

...ითხოვენ შენგან ღორის ფასს და ჭარიმას, ახალმოსული სანადირო კანონის თანახმად, სულ ორმოცდაჩვიდმეტ მანეთს (ე. ნინ.).

ამრიგად, მძიმე და ისმის მაშინ, როდესაც აღნიშნული ტიპის თანდებულნი სიტყვა წინადადებაში გამოიყენება შედარებით დამოუკიდებელი მნიშვნელობით, გამოიყოფა აზრობრივად და მეტყვე-

ლების დროს გამოითქმის ლოგიკური მახვილითა და პაუზით, მაგრამ სხვა შემთხვევაში იგი შეიძლება არ იყოს განკერძოებული.

მძიმე არ დაისმის მაშინ, როდესაც ეს თანდებულებანი სიტყვა წინადადებისგან არ გამოიყოფა აზრობრივად, არ გამოითქმის ლოგიკური მახვილითა და პაუზით და გამოიყენება წინადადების წევრად.

ლოგიკური მახვილით გამოყოფისას მნიშვნელობა აქვს სიტყვათა წყობასაც. ამ შემთხვევაში თანდებული უმთავრესად სახელის წინაა (ძველი ქართულის მიხედვით), მაგალითად:

გარდა ამისა, ნაცვლად ამისა, მიუხედავად ამისა, შედეგად ამისა, თანახმად ამისა, მსგავსად ამისა, წინააღმდეგ ამისა და სხვა (მნიშვნელობა აქვს აგრეთვე წინადადებაში მისი გამოყენების ადგილსაც. იგი უმთავრესად იხმარება წინადადების თავში, იშვიათად—ბოლოს, მაგრამ, როცა განკერძოებულად არ არის გამოყენებული, მაშინ წყობა ჩვეულებრივია (ახალი) — თანდებული სახელის შემდეგაა, მაგალითად, ასე:

ამის გარდა, ამის ნაცვლად, ამის მიუხედავად, ამის შედეგად, ამის თანახმად, ამის მსგავსად, ამის წინააღმდეგ*, ასეთ შემთხვევაში ის მძიმით არ გამოიყოფა, მაგალითად:

მან ამის გარდა სხვა ხელობაც იცოდა.

ამის ნაცვლად ნუნუმ ახალი წიგნი მოიტანა.

ღრმა ჭრილობის მიუხედავად ისევ განაგრძობდა ბრძოლას.

ამის შედეგად მათ ბევრი კარგი საქმე გააკეთეს.

ის განკარგულების თანახმად უნდა მოქცეულიყო.

მანანას ამის მსგავსად უნდა ჩაეცვა.

ამის წინააღმდეგ მოკამათეს არაფერი არ უნდა ეთქვა:

* შენიშვნა: თანდებულებთან ზემოთ გამოყენებულია მხოლოდ ნაცვალ-სახელი, მაგრამ ხშირად სხვა სახელებიც გვხვდება (ამხანაგის გარდა, პურის ნაცვლად...).

მძიმე შერწყმულ წინადადებაში

ერთგვარწევრებიანი წინადადება არის უკავშირო და კავშირიანი. ერთგვარ წევრებად იხმარება: რამდენიმე ქვემდებარე, რამდენიმე შემასმენელი, რამდენიმე დამატება, რამდენიმე განსაზღვრება და რამდენიმე გარემოება (ადგილის, დროის, მიზეზის, მიზნისა და ვითარების).

ერთგვარ წევრებს ჩვეულებრივ აქვს ჩამოთვლის სახე და, თუ ისინი

ერთმანეთთან დაკავშირებული არაა მაჭგუფებელი კავშირით და ან ამ მნიშვნელობით გამოყენებული თუ კავშირით, ან კიდევ ერთხელ გამოყენებული მაცალკეებელი ან კავშირით, გამოიყოფა ერთმანეთისგან მძიმით და დაისმის იმდენი მძიმე, რამდენი ერთგვარი წევრიცაა ერთის გამოკლებით.

XII. მძიმე უკავშირო ერთგვარწევრებიან წინადადებაში

1) რამდენიმე ქვემდებარეან წინადადებაში:

ჩვენი ხუმრობა, მღერა, სიცილი ხეზედა მძინარ ფრინველს აფრთხოვდა (ი. ჭავჭავ.).

ქალი, კაცი, გოგო, ბიჭი ეზიდება ზამთრის სარჩოს (რ. ერისთ.).

მინდორნი, ტყენი, ნახნავნი, ველნი შენის ლხენითა განიხარებენ (ი. ჭავჭავ.).

დილამღე ისმის სიმღერა, დავლი, დაირა, ცეკვა, თამაში (ე. ნინ.).

ვის არ იტაცებს შენი მშვენება, შენი ხეხილი, შენი ზვარები (კ. ბობ.).

2) რამდენიმე შემასმენლიან წინადადებაში:

იფრენენ, იჭიკჭიკებენ ლალად დღესა თუ ხვალეო (ვ. ფშავ.).

ეხლაც წავედით, შევეუდექით ველისპირებს, გავსწიეთ მზისკენ (ვ. ფშავ.).

ჩვენ წინ მივდივართ ძლევამოსილნი, მზით განათებულ ქედებს გაფურებთ (ა. აბაშ.).

ვაუკაცურად დაუხვდი, არ მოუშვა, დააკარი! (ა. აბაშ.).

მაისმა შემობრძანება ყაყაჩოს შუქით გვახარა, ბულბულის ენა აიდგა, პირს ვარდი შემოგვაყარა (ი. ნონ.).

3) რამდენიმე დამატებიან წინადადებაში:

ახლაც ბევრს ახსოვს მისი ზრდილობა, მშვენიერება, გულკეთილობა (ნ. ბარათ.).

ხერხსა, ხელეჩოს, სატეხსა, ნაჯახს, ცულს ვენაცვალები (ა. წერ.).

ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა (შ. რუსთაველი).

ძლიერ ოჯახს ყოველთვის შეეძლო (რომ) ხელი გაეწყო ხარით, ურმით, მუშით (ნ. ლომ.).

თქმულებად, ზღაპრად, სიმღერად იქცა დედაქალაქის დიდი წარსული (ი. ნონ.).

[ცოტა ხანი და] ფრთხილად გაიკრეს ხელი თოფებზე, ნაჯახებზე, წალღებზე, შუბზე (ვ. ფშავ.).

4) რამდენიმე განსაზღვრებიან წინადადებაში:

მშვიდი, მზიანი ამინდები დადგა (ა. ბელ.).

ტახტზე იჯდა თამარ მეფე მომხიბლავი, ემზიანი (ა. წერ.).

თქვენგან გმობილი, თქვენგნით ლტოლვილი ენა ჩვენს ქოხში ჩვენ შეეაფარეთ (ი. ჭავჭავ.).

ჩამწერივებულ, ლეჩაქგადაფარებულ, მომღიმარ, ხანშიშესულ მანდილოსნებს ხელში ეჭირათ კრიალოსნები (ან. ერისთ.).

მშვიდობიანი, გრილ-სითბოიანი, მშრალი, უნესტო, უღრუბლო საღამო შემოდგომისა კუტსაც კი ფეხს აადგმევიენებლა და გარეთ გამოახედებდა (ი. ჭავჭავ.).

მაძლევედა ორს, სამს ოთხს, ხუთს კოდსა (ლ. არღაზ.).

6) რამდენიმე გარემოებიან წინადადებაში:

ა დ გ ი ლ ი ს:

სოფლის ყოველ ქუჩაზე, ყოველ შესახვევში სროლის ხმა ისმოდა (ნ. კაკაბ.).

დ. ყოველ კუთხეში, ყოველ ფერდობზე, საფეხურებით ჩამოლაგებულ ბანებზე, ვიწრო შუკვებში, საყდართა ბჭებთან, აბანოებთან ისმოდა მხიარული მასლაათი (ა. ბელ.).

აღსდექე ფერფლიდან, ნანგრევებიდან განახლებული, დამშვენებული (გ. ტაბ.).

დ რ ო ი ს:

ეს ხეები შარშან, შარშანწინაც შრიალეზუნენ ღია ფანჯარასთან (ა. ლომ.).

სულ ლოცულობენ დილას, შუადღეს, საღამოს (ა. ბელ.).

პოგელით ყოველ საათს, წუთს, წამს და უფრო მალეც (ლ. ქიაჩ.).

მე ეს ცხოვრება მიტაცებდა, ეს ქვეყანა მიყვარდა ზამთარში, ზაფხულში, შემოდგომით (დ. შენგ.).

მ ი ზ ე ზ ი ს:

ამგვარი ფორმალისმის გამო, ამ უღმრთო სასტიკობის გამო ბევრი... იჩაგრებოდა (დ. კლდ., „ჩემი ცხოვრების გზაზე“).

ცხენი მოკვდომოდა ქორწილში გაღახულობით, მომეტებული ჭიმვარგრეხით (გ. წერ.).

გაჭირვებისაგან, შიშისაგან ილაჭგაწყვეტილი ადამიანები დღითი დღე კარგავენ იმედს (ა. გორკი).

მ ი ზ ნ ი ს:

აქ ყვავილები გაშლილა ჩემს საზრდოდ, საწუწუნელად (ა. წერ.).

ასეთი მეთოდი გასაქანს აძლევს მწერალს ფართო ისტორიული განზოგადების მისაღწევად, წარსული მოვლენების დასანახავად (ბ. ჟღენტა.).

მესამე ლექსი კარგია სანადიმოდ, სამღერელად, სააშვირდ, საღაღობოდ, ამხანაგთა სათრეველად (შ. რუსთაველი).

კაცი, რომელიც გონებითა ცხოვრობს, მოვალეა... შეხედეს განათლებულს კაცს საბაასოდ, გონების გასაფხიზლებლად (ი. ქავკ.).

ვ ი თ ა რ ე ბ ი ს:

ისინი წყნარად, ფრთხილად მიიპარებოდნენ ბუჩქებში (ა. ყაზბ.).

ქალი უძრავად, წარბშეუხრელად იჯდა მაინც (ვ. ფშავ.).

ძამო, რა ტკბილად, რა უღარდელად ჩემი ღღეები იქ მიდიოდნენ (ი. ქავკ.).

დაღის ამყად, დარბაისლურად, თავმოწონებით (ი. ქავკ.).

ლხენით, სიმღერით, ხელგადახვევით ნაკადულები მიიჩქარიან! (კ. კალ.).

თვითონ კი ერთი ოთხად, ხუთად, ათად ჰყილდა (ლ. არდ.).

XIII. მძიმე სხვა უკავშირო და კავშირიან ერთგვარწევრებთან წინადადებაში

1) მძიმე განმეორებული ნაწილაკით ან რთული მაჭგუფებელი კავშირით შეერთებულ ერთგვარ წევრებს შორის

ც-ც:

მოუტანიათ ღვინოც, არაყიც (ა. მირცხ.).

გვფარავდა ომშიც, შრომაშიც წითლად გაშლილი კალთები (ი. ნონ.).

სააკაძეც გვეყავს, არსენაც, ცხრა ძმა-ცხრა ხერხეულიძეც (ი. ნონ.).

დღეცა ვფიქრობდი, ღამეცა (ვ. ფშავ.).

ა რ ც-ა რ ც:

არც გავიქეცი, არც წავიქეცი (ანდაზა).

ავი ძალი არც თვითონ ჰამს, არც სხვას აქმევს (ანდაზა).

ზღვას არც დასაწყისი უჩანს, არც დასასრული (ა. ბელ.).

ჩემს სახლკარზედა არც დღე არც ღამე აღარ ვფიქრობდი, არ ევლონდებოდი (ი. ქავკ.).

ჩვენ კი აღარც იქით, აღარც აქეთ (ი. ქავკ.).

აღარც თავი უჩანდა, აღარც ფეხები (ი. ევლ.).

ვ ე რ ც-ვ ე რ ც:

ვერც ნუგეში ვეცი, ვერც იმედი ნოვუმატე (ი. ქავკ.).

ვერც მოკლა ხარი, ვერც ფური, ვერცა ბოროლა რქიანი (ხალხური):

ვერც შენ გაგტეხეს, ციხეო, ვერც ხეს დაახლეს ხელია (ხალხური).

ოჯახის პატრონი კაცი ვერ დაკარგავს ვერც ნათესავს, ვერც კეთილს, ვერც მოყვარეს (დ. კლდ.).

ნ უ რ ც-ნ უ რ ც:

ნურც წიგნზედ ინალვლი, ნურც არაფერზედ (ი. ქავკ.).

ნურც იფიცებ, ნურც აფიცებ (ანდაზა).

ნურც ეშმაკს დაინახავ, ნურც პირჯვარს დაიწერ (ანდაზა).

ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს, ზედ კალთა დამაფარეო
(ა. წერ.)

ნუ მისცემ ამისთანა კაცს ნურც სახლს, ნურც თავშესაფარს, ნურც
კერას (ა. ყაზბ.).

კ ი დ ე ც-კ ი დ ე ც:

...კიდევ ვლხინობდი, კიდევ ვმღეროდი (ი. ჭავჭავაძე).

...კიდევ კერავს, კიდევ არღვევს (ანდაზა).

კიდევ ჭრის, კიდევ კერავს (ანდაზა).

კაცი პატივს გიდევს აიყრის, კიდევ დაიყრის (ანდაზა).

კიდევ შეტყვემალეობდა, კიდევ ვჭამე ტყვემალეო (ანდაზა).

თ ა ნ-თ ა ნ:

ჩვენ თან მარწყვს შევექცეოდით, თან მათ ვუგდებდით ყურს (ი. ევდ.).

[ალექსი] თან შევექცეოდა საუზმეს, თან უყურებდა ძირს ახმაურებულ
პინდორს (ი. ევდ.).

[კურდღელი] თან წინა ფეხებს ათამაშებდა, თან ყურებს აწკაპუნებდა
(ი. ევდ.).

ჩვენ, ბავშვებს, თან გვეშინოდა, ბიცოლა ელისაბედის, თან გვიყვარ-
და ღრმასიყვარულით (დ. კლდ.).

თან პირს აცმაცუნებდა, თან მტრედებს ეტანებოდა დასაქერად
(დ. კლდ.).

შ ე ნ ი შ ე ნ ა: გამეორებულნაწილაკიანი ერთგვარი წევრების შეერთება უკავ-
შიროა, თუ მათ შორის და კავშირი არ არის გამოყენებული. ნაწილაკები იხმარება
შოლოდ ჩამოთვლის დანიშნულებით.

ა რ ა მ ა რ ტ ო-ა რ ა მ ე დ:

უეჭველად აქ არის ცენტრი არა მარტო ამ სოფლის, არამედ მთელი
ქვეყნის (ი. ხინგ.).

...იგი არსებობს არა მარტო ცალკე კაცის სარგებლობისათვის...
არამედ საზოგადოების სარგებლობისათვისაც (ი. ჭავჭავაძე, „ხინგების
საქმე“).

აქ იყვნენ არამარტო ექიმები, არამედ ნათელას მოკეთებები და მეგო-
ბრებიც (ი. ლის.).

ამ სახით დაიელიტნენ არა მარტო დედლები, არამედ მამლებიცა
(ი. გოგ.).

საუკუნეთა მანძილზე წარმოებულმა განუწყვეტელმა შემოსევებმა
არა მარტო შემუსრა თბილისი, არამედ ფლორისა და ფაუნის მხრი-
ვაც გაალარიბა (კ. გამსახ.).

ა რ ა თ უ-ა რ ა მ ე დ || ა რ ა მ ც თ უ-ა რ ა მ ე დ:

...ტარსაიძე და მისგან ჩადენილი მადლი არათუ არ ავიწყდებოდა

არავის, არამედ უფრო ბრწყინვალე სახიერებას იღებდა, ზღაპრული თვისებებით იმოსებოდა (ნ. ლომ.).

მამალი სირაქლემა არამცთუ იბრძვის, არამედ თავის მტერს მარჯვედ ჩაკრული წიხლით კიდევს კლავს (ი. გოგ.).

ჩვენ არამცთუ არას ვაშავებდით, არამედ თავაზიანად და მეგობრულად ვექცეოდით (ი. გოგ.).

ამ საშინელი წამის დროს ძმანი ხერხეულიძენი არამცთუ არ შედრკენ, არამედ ლომებად გადაიქცნენ და უფრო მომეტებული თავის განწირვით იბრძოდნენ (ი. გოგ.).

ზოგჯერ ამ ტიპის წინადადებებში კავშირის მეორე ნაწილი გამოტოვებულია, მაგრამ მძიმე მიანიც დაოსმის, მაგალითად:

არამცთუ კალმახის დაქერაზე, თვით თევზაობაზედაც ხელი ამაღებინა (ი. გოგ.).

მაიას არამცთუ ჭავრობა, უბრალო ლაპარაკიც კი სოფლის ერთი კუთხიდან მეორეში ისმოდა ხოლმე (ი. ევდ.).

არამცთუ მიწყინა, გამიღიმილა კიდევ (ი. ჭავჭ.).

რ ო გ ო რ ც-ი ს ე:

როგორც ვაგონებში, ისე სადგურში საშინელი ხმაური იყო (რ. გვეტ.).

საიდუმლოების ფარდა ახადეს როგორც გვირაბს, ისე მის ხშიანობას (ლ. ქიაჩ.).

გამჭირახთვალეებიანი პირისახე გამომეტყველებდა პატრონის როგორც მალალ კეუ-გონებას, ისე იმის სიბოროტეს (ე. ნინ.).

ივანე ჭერ გაჩუმებული იჯდა და... თვალებით სინჯავდა როგორც ბეგს, ისე თავის ამხანაგს, დათას (ე. ნინ.).

2) მძიმე მაცალკევებელი კავშირით შეერთებულ ერთგვარ წევრებს შორის

მაცალკევებელი კავშირის წინ, გარდა პირველად ხმარებულისა, მძიმე აუცილებელია (იგი საჭირო არ არის მაშინ, თუ მაცალკევებელ კავშირთან ერთად ნახმარია და კავშირი).

ხ ა ნ-ხ ა ნ:

ხან ერთ მოწაფეს ეკითხებოდა, ხან მეორეს (ი. ევდ.).

ხან კლდის წვერზე ასვენებს ფრთებს, ხან ჰაერში დასრიალებს (შ. მღვიმ..)

მელანო ხან ამათ აწყნარებდა, ხან პლატონს უძახოდა (დ. კლდ.).

შაშვი ხან მაყვლიანში ჩაფრინდებოდა სტვენით, ხან მოსწურავდა ფრთებს და მიქროდა ჰაერში (ი. ევდ.).

ხ ა ნ ა ქ, ხ ა ნ ი ქ ის დაქროლავს ზღვის ნიავსავით (ი. ევდ.).

ა ნ - ა ნ:

ან მოკლავს, ან შეაკვდება ქვეყნის მტერს ვაჟკაცურადა (ა. წერ.).

ან მოგიყვან იმ ცხენს, ან თავს შევესწირავ შენს მეგობრობას (ა. წერ.).

მის მუდამი ნატვრა იყო ან სახელი, ან სიკვდილი (ი. ჭავჭავ.).

ან არის დევი, ლომ-გმირი, ან არის რკინის მკენეტელა (ხალხ.).

ანა ხარ თოვლის ნამქერი, ან ფიქრი ჩამონაყარი, ანა ხარ ბროლი,
ან ლალი, ყირმიზი ჩამონათალი (ხალხ.).

გ ი ნ დ-გ ი ნ დ:

გინდ რეგვენისთვის გისწავლებია, გინდ მკვდრისთვის გიწამლებია
(ანდაზა).

მიირთმევთ სადილს და წაბრძანდებით გინდ ამ სალამოსვე, გინდ
დილაადრიანად (დ. კლდ.).

ახლა გინდა დღე იარე, გინდა ღამე (ე. ნინ.).

გინდა ჰკითხეთ მეზობლებსა, გინდ მოყვარეს, გინდა მტერსა

(რ. ერისთ.).

თ უ ნ დ-თ უ ნ დ:

მერე თუნდ წადი, თუნდ დაიძინე (ი. ევდ.).

მერე თუნდ შენი იყოს, თუნდა სხვისა (ი. ჭავჭავ.).

თუნდა კარები გააღე, თუნდა გაუგდე ურდული (ვ. ფშავ.).

თუნდა მზეში სანთელი აგინთია, თუნდა უგუნურისთვის კეთილი
გითქვამს (ანდაზა).

მ) მძიმე მაპირისპირებელი კავშირით შეერთებულ ერთგვარ წევრებს შორის:

მაპირისპირებელი კავშირების წინ (მაგ.: მაგრამ, ხოლო, ოღონდ.
ვიდრე, ან რთული კავშირის მეორე ნაწილი — არამედ), რომელნიც
იწყებენ უკანასკნელ დასაპირისპირებელ ერთგვარ წევრს, მძიმე აუცი-
ლებელია, მაგალითად:

მ ა გ რ ა მ:

დედისერთა მყავს, მაგრამ შენთვის მე მას ვშორდები (ი. ჭავჭავ.).

ჯერ არ მენახე, მაგრამ გიცნობდი... (ი. ჭავჭავ.).

საუზმეს კი უჯდა გოგია ზეინკალი, მაგრამ საჭმელს არ ეკარებოდა
(ლ. ქიაჩ.).

დათია ერთხანს უგზავნიდა ბეჟან უქმაძესა და მის შვილს მოცი-
ქულეს, მაგრამ ვერაფერი კმაყოფილება გამოიტანა აქედან (ე. ნინ.).

ხ ო ლ ო:

გული მკერდში მაქვს ტალადა, ხოლო გონება კვესადა (ვ. ფშავ.).

პატარა ორაგულები დიდი სიამოვნებით ისვენებდნენ მივარდნილ
ადგილას, ხოლო დიდსა და კრიალა თვალებს ერთ წამსაც არ ხუჭავდნენ

(ი. გოგ.).

ბავშვობიდან უსაქმურობას, ხოლო ქაბუკობიდან ღროსტარებას
მიეჩვია (ე. ზედგ.).

კ ი:

გამოყენების ადგილის მიხედვით, კი დასაპირისპირებელი წევრის

მომდევნოა, ამის გამო მის წინ მძიმე არ დაისმის. იგი დაისმის მისი წინამავალი წევრის ან მისი მხლებელი სიტყვის წინ, მაგალითად:

მცირე ნაწილი ქერისა თავის ცხენს შეუნახა, დიდი ნაწილი კი მექარხნებს მიჰყიდა (ი. გოგ.).

[არწივი] ფრინავს მშვენივრად, მიწაზე კი სიარული უშნოდ იცის (ი. გოგ.).

მაყურებელთ აქამომდეც ძლივს ეკირათ სული კბილითა, ახლა კი ევლარ შეიკავეს თავი (ნ. ლომ.).

სიზარმაცე, უსაქმოზა და ეშმაკობა ჭირივით შეიძულა, ბეჭითობა კი სულითა და გულით შეიყვარა (ი. გოგ.).

ო ლ ო ნ დ:

ერთბაშად, ოღონდ უფრო მეგობრულად შეხედეს მას (რ. ჯაფ.).

უჩვენე, ოღონდ ახლა კი გაჩუმდი... (ი. ევდ.).

რამდენიც გინდა, იმდენი იხუმრე, ოღონდ ნუ მოიწყენ (პ. ლორ.).

ღიტოს მეტი ბედნიერება აღარ უნდოდა რა ქვეყნიერებაზე, ოღონდაც ამ მშვენიერი ბუნების ყვავილისთვის ეყურებინა (გ. წერ.).

ვ ი დ რ ე:

ერთმა მაშომ უფრო მეტი ფოთოლი მოკრიფა, ვიდრე სამმა მამაკაცმა (პ. ლორ.).

თან უფრო მეტი ტყუილები გაურია თავის ჩივილში, ვიდრე მართალი (ი. ევდ.).

ჭირი უფრო ელანდება, ვიდრე ლხინი... (ი. ჭავჭ.).

მინდორს უნდათ ძოვდინონ უფრო ადრე, ვიდრე გვიან (შ. მღვიმ.).

ა რ ა რ ა მ ე დ:

ახლა სავანეში იყვნენ არა განდგეგილები, არამედ ადამიანები, [რომლებსაც ცხოვრების ხალისი ჰქონდათ] (ს. კლდ.).

ხანდისხან ტოტს თუ მოლოკავს ხენეშა-კენესით, მაგრამ არა საქიროების გულისათვის, არამედ სიამოვნებისათვის (ვ. ფშავ.).

კ ი ა რ ა რ ა მ ე დ:

თითქოს გაიცინა მთის მწვერვალზე კი არა, არამედ მიწის წიაღშია... (ი. ევდ.).

ჩვენ უკან კი არ დავებრუნებულვართ, არამედ გზა განვაგრძეთ...

(ლ. ქიაჩ.).

ჩვენ ახლა სარდაფში კი არ ვიყავით, არამედ პატარა, მიყრუებულ ოთახში (ი. ევდ.).

ხშირად ამ რთული კავშირის მეორე ნაწილი არ გვხვდება, მაგრამ მძიმე აუცილებელია, მაგალითად:

კიტა მისი მოთაყვანე კი არა, მისი შეუთრეგებელი მტერია (დ. კლდ.).

მენახირე კი არა, ფერმის გამგეა (რ. ჯაფ.).

არა, ეს ოთახი კი არა, მინდორია (რ. ჭავჭ.).

მძიმე არ დაისმის

თუ ორი ერთგვარი წვერის ერთმანეთთან დასაკავშირებლად გამოყენებულია მაჭგუფებული კავშირი და ან ამ დანიშნულებით გამოყენებული კავშირი თუ, ან კიდევ გაუმეორებლად დასმული მაცალკეებელი კავშირი ან:

ამოიღო წვეილი ვაშლი და ცალ-ცალკე გაუგორა (შ. შვიმ.).

სკოლაში თუ სკოლის გარეთ მუდამ ისმის მისი ქება (გ. კაჭახ.).

ციყვი აყეთებს საეუკნაოს ნაძვის ან სხვა ხის ტოტებზე (ი. გოგ.).

მძიმე მარჯივი ან შერწყმული წინადადება ის ერთმა ნათესებან გამოსაყოფად ათად თანყოზილ წინადადებაში

რთულ თანწყობილ წინადადებაში შემავალი მარტივი ან შერწყმული წინადადებები ერთმანეთისგან მძიმით გამოიყოფა იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი შედარებით მოკლეა და მათ შორის გვაქვს მკიდრო აზრობრივი კავშირი. მძიმე დაისმის როგორც უკავშირო, ისე კავშირიან რთულ თანწყობილ წინადადებაში, თუ გამოყენებული არ არის კავშირი და. და კავშირთან კი მძიმე აქაც არ დაისმის.

XIV. მძიმე უკავშირო რთულ თანწყობილ წინადადებაში

რთულ თანწყობილ წინადადებაში დაისმის იმდენი მძიმე, რამდენიც შიგ გვაქვს მარტივი ან შერწყმული წინადადება ერთის გამოკლებით.

მაგალითები: ო რ წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ი ა ნ ი

ქარს გაზაფხულის მოაქვს სურნელი, მიწას დაეტყო გამოფხიზლება (ე. ბობ.).

ყმაწვილმა ხელი გაუშვა, გაფრინდა კრელი პეპელა (ა. წერ.).

მათ ლომთა ნახეს ქალაქი, მთვარე დგას მუნ ნათელია (შოთა რუსთაველი).

ხიდან ცურვით ჩამოდის ხილით ზავსე გიდელი, უხვ მოსაველს ზე-იმობს ველი ნაჭობბარი (ა. აბაშ.).

მორბის არაგვი არაგვიანი, თან მოსძახიან მთანი ტყიანი (ნ. ბარათ.).

ო რ ზ ე მ ე ტ წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ი ა ნ ი

ტყემ მოისხა ფოთოლი, აგერ მერცხალი ჭყვივის, ბაღში ვაზი ობოლი მეტის ლხენითა სტირის (ი. ჭავჭ.).

ზეცამ გიგზავნოს ცვარ-ნაბი, მზემ შუქი გფინოს თანაო, ქარმა გაღელვოს ზღვასავით, მწყრებმა მოგძახონ ნანაო (ი. დავით.).

ღამეა, მთვარე ქათქათებს, ვარსკვლავნი კრთიან ცაზედა, ურემი მიდის კრიალით გატყეცილ შარავზაზედა (გ. ქუჩ.).

თოვლი ღნება, თოვლი ლხევა. პირს იბანენ მთები. დარი დგება, ია ჩნდება, ისმის სიმღერები (გ. ქუჩ.).

XV. მძიმე სხვა უკავშირო და კავშირიან რთულ თანწყობილ წინადადებაში

კავშირიან რთულ თანწყობილ წინადადებაშიც მძიმე დაისრის იქ. სადაც თავდება მასში შემავალი ერთი წინადადება და იწყება მეორე, თუ მათ შორის არ არის კავშირი დ ა.

1) მძიმე განმეორებული ნაწილაკით ან რთული მაჩაფხვებელი კავშირით შეერთებულ წინადადებაში

ც-ც:

მას ავდარიც ვერ ჩააქრობს, უანგიც აღარ ეკიდება (ა. მირცხ.).

ჰა, მერცხალიც გადმოფრინდა, ცეკქ ნიაგმაც გადმობერა!

(შ. მღვიმ.).

ეხლა მეც ვეძებ ინდუსტრიის ქარს, მეც მინდა ძველი ქვეყნის დალევვა (გ. ტაბ.).

არ ც-არ ც:

არც ლხინი ვარგა უჩემოდ, არც ქირი ითქმის ქირადო (ა. წერ.).

არცა ვიყავი რძალი კარგი, არცა შემხვდა ქმარი კარგი (ანდაზა).

ღამის სიბნელეში, არც ცხენების ფრუტუნი ისმოდა, არც ბავშვები ხმაურობდნენ (ბ. ჩხ.).

ქათამს არც მჭრელი ნისკარტი აქვს, არც ბასრი ბრწყალები ასხია, არც ღონიერი ფრთების პატრონია (ი. გოგ.).

ვერ ც-ვერ ც:

ვერც გაქრა ხმაღმა ფრანგულმა, ვერც შუაშინა დანამა (ხალხური).

ვერც მთვარის სხივების ზოლს ხედავდა გარკვევით, ვერც ზღვის მოკამკამე ქავლებმა მიიქციეს მისი ყურადღება (ს. თავ.).

ვერც ტყვია მომკლავს, ვერც ჭავრი მომხრის (აბაშ.).

ურმის გამო ვერც გიორგი დაინახვდა არჩილსა და კესოს, ვერც ესენი—გიორგის (ი. ჭავჭ.).

ზღვას ვერც სოფელი შეედრება, ვერც ქალაქი გაუტოლდება

(ლ. ქიჩ.).

არ ც-ვერ ც:

არც ხმალი მოდის გმირთანა, ვერც თვითონ სწვდება იმასა (ვ. ფშავ.).

არ ისმოდა არც ფრინველების სასიამოვნო ქიკვიკ-გალობაც, ვერც მათ სიციცხლით სავსე ფრენას მოჰკრავდით საღმე თვალსა (ნ. ლომ.).

ნ უ რ ც-ნ უ რ ც || ნ უ მ ც-ნ უ მ ც:

ნურც პეტრე დაიზარებს მოსელას, ნურც ვანო იტყვის უარს დახმარებაზე.

ნუ შეგვაშინებს ეელი ბრძოლისა, ნურც გავეშქვეით ზელჩართულ ომსა! (ი. ევლ.).

მაგ ჭავრს შენ გულთან ნურც გაიკარებ, ნურც ის მიაქცევს მას ყურადღებას.

ნუმც გაჯავრდება პირიმზე, ნუმც დამწყველიან იანი (ვ. ფშავ.).

ნუმც დაგეკარგვის ამაგი, საქმე ნუმც დაიფუშაო (ვ. ფშავ.).

ნუმც მატირებენ დედანი, ნუმც მიმესვლება ჯარზედა (ხალხური)

ნუმც მოგერევის მტერია, ნუმც გაგიტყდება ილბალი (ხალხური).

ა რ ა მ ა რ ტ ო - ა რ ა მ ე დ :

არა მართო ნატყვიარი იყო ამოსაწმენდი და ამოსაქრელი, არამედ მსხვა ნაწილების ამოცვეთაც აუცილებელი იყო (პ. ლორ.).

არა მართო სიტყვათა სიმრავლე იხსნის სულსა განსაცდელისაგან, არამედ გულისა სიწმინდე განანათებს გზასა უფსკრულსა ჭურღმულისაჲ (ა. ყაზბ.).

ა რ ა თ უ || ა რ ა მ ც თ უ - ა რ ა მ ე დ :

მისგან ჩადენილი მადლი არათუ არ ავიწყდებოდა არავის, არამედ უფრო ბრწყინვალე სახიერებას იღებდა (ნ. ლომ.).

ის არამცთუ დამნაშავე იყო ვისთანმე, არამედ იმასთან იყენენ დამნაშავენი (ა. ყაზბ.).

მაგას არამცთუ ყმაწვილების თვალყურის დაქვერა არ შეუძლიან, არამედ ჭერ თვითონვე ეკირებება ყურისმგდებელი (ა. ყაზბ.).

ელისოს არამცთუ ვაჟიაზე გათხოვების ნებას მისცემდნენ, არამედ ლაპარაკსაც ვერვინ ბედავდა ამ საგანზედ (ა. ყაზბ.).

მის დასჯას არამცთუ ჩემს დასაკმაყოფილებლად გთხოვთ, არამედ სამართლიანობა მოითხოვს (ა. ყაზბ.).

შ ე ნ ი შ ე ნ ა : 1) შეიძლება ამ რთული კავშირის მეორე ნაწილი (ა რ ა მ ე დ) გამოტოვებული იყოს, მაგრამ მძიმე შაინც არის საჭირო, შავალითად:

მძლავრი არწივისა ა რ ა მ ც თ უ პატარა ფრინველებს ეშინიათ, გარეული ბატებიც დიდ ზარალში არიან იმისგან. (ი. გოგ.)

2) ა რ ა მ ც თ უ - ს ნაცვლად უმჯობესია ვიხმართ ა რ ა თ უ, მაგალითად: ...ტარსაიძე და მისგან ჩადენილი მადლი ა რ ა თ უ არ ავიწყდებოდა არავის, ა რ ა მ ე დ უფრო ბრწყინვალე სახიერებას იღებდა, ზღაპრული თვისებებით იმოსებოდა.

(ნ. ლომ.).

2) მძიმე მაცალკევებელი კავშირით შეერთებულ წინადადებებს შორის:

ესეთი მაცალკევებელი კავშირის წინ, რომელიც იწყებს მეორე წინადადებას მაგ.: ა ნ - ა ნ, ხ ა ნ - ხ ა ნ, თ უ ნ დ - თ უ ნ დ, კ ი დ ე ც - კ ი დ ე ც, გ ი ნ დ - გ ი ნ დ. მძიმე აუცილებელია, მაგალითად:

ა ნ - ა ნ :

ან მე თვითონ მოგიტან, ან სანდო კაცი გამატანეთ (გ. წერ.).

ან რა მოსაწონია, ან გასაჭაერებელი აქ რა არის (ვ. ბარნ.).

ან თვითონ დამცეს დასტური, ან მოვიტაცებ ძალაღა! (ი. ევლ.).

ან შენ გვეწვიე შენი ჩარეკით და ტაბაკით, ან ჩვენ გეწვევით ჩვენი თუნგითა და ხონჩითა (ლ. არღაზ.).

საბრალო შველი ან მგლების კერძი უნდა გამხდარიყო, ან ჰელატურები შექამდნენ, ან მთიდან დაქანებული ზეაფი მოიტანდა ქვეშ, ან კიდეც საღმე გადაიჩხებოდა და ყვავ-ყორნების საჭიჯგნი შეიქნებოდა (ვ. ფშავ.).

ხ ა ნ - ხ ა ნ:

ხან წითლდებოდა, ხან ისევ ფერი უკრთებოდა (ა. ყაზბ.).

ხან ის შემომხედავდა მე, ხან მე იმას შევხედავდი... (ი. ქავჭ.).

ხან თავგუნა გამოძვრა, ხან ბელურა მოფრინდა (გ. აბაშ.).

ხან ჩამობნელდება ხოლმე, ხანაც რძისფერი შუქი გადაედვრება მთელ მიდამოს (დ. ბაქრ.).

ხან ქროდა და წვიმდა, ხან ხოშკაკალას ყრიდა, ხან თოვლსაც ურევდა (ე. ნინ.).

თ უ ნ დ - თ უ ნ დ:

თუნდ ათას კაცს შემახვედრე პირდაპირ, თუნდ ვეფხვსაც ხელდახელ შეეებმი! (ა. ბელ.).

თუნდ ია-ვარდი ეფინოს მასზე, თუნდ კაცის სისხლით იყოს მოსვრილი (ვ. ფშავ.).

მკვლარი თუნდ მგლებმა შემკამონ, თუნდა მათრიონ მელათა (ვ. ფშავ.).

თუნდ ქარიშხალი დაჰქროდეს, თუნდ წვიმდეს კოკისპირულად, თუნდაც ყინავდეს, თუნდ თოვდეს, მიწას რისხავდეს ცა მტრულად... (ს. ეული).

შ ე ნ ი შ ე ნ ა: რთულ თანწყობილ წინადადებაში მაჯგუფებელი კავშირის დანიშნულებით კ ი დ ე უ - კ ი დ ე ე და მაძალკეებელი კავშირი გინდ-გინდ იშვითად გეხდება.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

ერთი პირიდან კიდეც ცოვა, კიდეც თბილა (ანღაზ.).

გინდა აქ გააშენე ვენახი, გინდა ამის საბაღოდ გაშენებულ ვენახს მოგცემო. (რ. ჭაფ.).

8) მძიმე მაპირისპირებელი კავშირით შეერთებულ წინადადებებს შორის:

მაპირისპირებელი კავშირების წინ (მაგ.: მაგრამ, ხოლო, ოღონდ, თუ), რომელნიც იწყებენ უკანასკნელ წინადადებას, ყოველთვის დაიძმის მძიმე. კავშირი კი არასოდეს არ იწყებს წინადადებას, ამიტომ

მძიმე დასმის არა მის წინ, არამედ პირველი წინადადების მეორე წინადადებისგან გამოსაყოფად, მაგრამ კი კავშირთან ერთად და კავშირიც არის გამოყენებული, მაშინ წინადადებები ერთმანეთისგან მძიმით აღარ გამოიყოფა.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

მ ა გ რ ა მ :

იმ დღიდან მოკიდებული გავიდა წლები, მაგრამ ბეჟანას სანადიროდ შინიდან ფეხი არ გადაუდგამს (ვ. ფშავ.).

ღამე ილეოდა. მაგრამ ის კვლავ იჯდა ფრიალოს მწვერვალზე (ი. ევლ.).

ტარიელმა გადასძახა ძაღლს, მაგრამ მურა მაინც არ წამოვიდა (ლ. ქიაჩ.).

ჭერ ზამთარი არ დამდგარა, მაგრამ მისი წინამორბედი თრთვილით მთლად გადაპენტილია მთელი სოფელი ზედაშენი (ე. გაბ.).

ისინი აგერ მეორე ბოლოშიაც გავიდნენ, მაგრამ მოხვევე არსად ჩანდა (ა. ყაზბ.).

ალექსიმ კომბალი ასწია, მაგრამ მამამ შეაყენა.. (ი. ევლ.).

ხ ო ლ ო :

ერთი მხრიდან მოქროდა მინდვრის ნიავი, ხოლო მეორე მხრით პატარა გიემაე მდინარეს გაჰქონდა მხიარული ჩხრიალი (ნ. ლომ.).

მელა ისარივით მიელავდა, ხოლო მწვევარი ერთიორად უფრო დიდ ნახტომებს აკეთებდა და თანდათან ეწეოდა თავის მსხვერპლსა (ი. გოგ.).

ქვემო სართულში ქვაბულებია მოთავსებული. ხოლო ზედა ნაწილი ქვითკირით ნაშენები ციხისა თუ რომელიმე სხვა შენობის დანგრეულ კედელსა და გალავანს უჭირავს (ლ. ქიაჩ.).

შრომა, აწ ქვეყნად ტყვედა პყრობილი, მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ვნებულა, ხოლო რღვეულა მისი ბორკილი და დასამსხვრეველად გამზადებულა (ი. ჭავჭ.).

ქვეყანა უფრო გაჩუმდა, უფრო გამუხჭდა, ხოლო თავი ისევ ცოდვილობდა კიდობანთან (ი. ჭავჭ.).

ჰაერშივე, შიგადაშიგ, ხომლივით დაეკიდებოდა მამუქი მამხალა, ხოლო წითელი ტყვიები ელვიან გზას ტოვებდნენ (რ. ქორქ.).

კ ი :

სიკო შედგა, მოხუცმა კი გაიარა კარი (ა. ყაზბ.).

ელგუჯამ ქალი წაიყვანა, გავი კი მახამეთას გაუძღვა სასტუმროში (ა. ყაზბ.).

ეს ვენახები საესეა ვაზებითა, ხილი კი მათში ნაკლებად არის დარგული (ი. გოგ.).

ლხინი გაგვიმრავლდა ქართველებს, ლხინის დამლოცავი მესტერეები კი გადაგვიშენდაო (ა. გეწ.).

ეს წინათ მე წმინდა ჭორად მიმაჩნდა, ახლა კი ლამის მართალად გამოდგეს (ი. გოგ.).

ძამიავ, შენ მარტო შენი თავისთვის ზრუნავ, ჩემი შრომა კი ადამიანისთვისაც სასარგებლოა (ი. გოგ.).

ამ ხუმრობამ ჩვენ ყველანი გაგვაცინა, ლოყებაწითლებული მარო კი თავჩაღუნული გაიქცა შინისკენ (ნ. ლომ.).

ო ღ ო ნ დ:

მე შეგიდგენ მოხსენებას მთლად, ოღონდ შენ წაიკითხე კარგად (დ. კლდ.).

შენც გაქმევ, ოღონდ ერთი კაქანათი მეც გამოიკეთე (ი. ვედ.).

იყოს ასე, ოღონდ კი ანდრო გაათავისუფლებინოს (ლ. ქიაჩ.).

ამაზეც სულაც არ წუხდა, ოღონდ კი მაძღრები და უვნებლები ყოფილიყვნენ მისი წიწილები (ი. გოგ.).

არ მინდა შენი შრეშიო, ოღონდ ნუ შემომხვნიე (ანდაზა).

ბატონიშვილო, ერთ საიდუმლოს გეტყვი, ოღონდ არ გამამხილო (ა. ბელ.).

თუ (დაპირისპირებისა და კითხვის გამოხატვისას):

ეს თოვლია, თუ მიმინომ დააფეთა მტრედები? (გ. ლეონ.).

ეს ლექსია, თუ მღერის განვლილ დღეთა კრებული (გ. ლეონ.).

ეს ცრემლია, თუ გულმა დასძრა ლექსის მტრედები? (გ. ლეონ.).

ყურმა მომატყუა, თუ მართალს ამბობ? (კ. ლორთქ.).

მძიმე არ იხმარება კავშირის წინ

თუ რთულ თანწყობილ წინადადებაში შემავალი მარტივი ან შერწყმული წინადადებები ერთმანეთთან შეერთებულია კავშირით და, მაგალითად:

კაცი მუდამ მხიარული უნდა იყო და სხევისაც ეამება შენი შეხედვა (დ. კლდ.).

ბალახმა ცხვარი ამოიტყუა და მეც ამოვეყე ფარასა ცხვრისას (ი. ჭავჭ.).

დაკრეს ნაღარა და უეცრად ხმალამოწვდილი დაეშვა ველზე საბრძოლველად ქართველთა ჯარი (ვ. ვაბისკ.).

ნელა მოღელავს მოღულუნე მტკვარი ანკარა და მის ზვირთებში კრთის ლავარდი ცისა კამარა (ნ. ბარათ.).

ამასობაში დაბინდდა და მთელი ბუნება საძილოდ განეშალა (ვ. ფშავ.).

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში შემავალი მთავარი და დამოკიდებული წინადადება ერთმანეთისგან ჩვეულებრივ გამოიყოფა მძიმით მიუხედავად იმისა, უკავშიროა იგი, თუ კავშირიანი.

XVI. მძიმე უკავშირო რთულ ქვეწყობილ წინადადებაში

უკავშირო რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებს შორის დაისმის მძიმე, თუ მათ შორის გამოტოვებულია მაქვემდებარებელი კავშირი რომ ან თუ.

1) როცა გამოტოვებულია კავშირი „რომ“

ისეთი კაცია, რწყილს კამეჩად მოგაჩვენებსო (ანდაზა).

იმიტომ ვუხნავ ალოსა, ხარები გამოლალოსა (ანდაზა).

აქ ისეთი სიჩუმე იღვა, კოდალას ნისკარტის ჩქამიც კი არსაიდან ისმოდა (ვ. ფშავ.).

მაგაში ისე ვარ გაწაფული, ვერ დამიკერო (ა. ბელ.).

ვინ მომაცლიდა იმდენსა, გლეხსა მესწავლა ანზანი (ხალხური).

დიღხანს ოცნებობდა გიგა, ფარახეთელ მესტვირეებს ახლო გაცნობოდა (ა. გეწ.).

ეტყობოდათ შორი გზიდან ბრუნდებოდნენ შინ (ა. გეწ.).

2) როცა გამოტოვებულია კავშირი „თუ“

გულმა იცის, რა ქნას (ი. ქავკ.).

ვინ იცის, რა ილბალი მოელის (ა. ყაზბ.).

რა ვიცი, ვინ შეგვხვდება ბილიჯზე (ლ. ქიაჩ.).

მე მიკვირდა, დედაჩემმა რად არ წაგვიყვანა ფშავისაკენ (დ. ქონქ.).

შ ე ნ ი შ ე ნ ა: თუ უკავშირო რთული ქვეწყობილი წინადადება მოკლე წინადადებებს შეიცავს (უმთავრესად, თუ მთავარი წინადადება მოკლე), მაშინ მძიმე არ იხმარება, მაგალითად:

გ თ ხ ო ვ თ მობრძანდეთ. უ თ ხ ა რ ი წაიღოს.

თ ქ ე ე ნ გ გ ო ნ ი ა თ ატირდა ჩვენი გოგო ცქრიალა? (ხ. ბერ.).

ასეთია შემდეგი წინადადებებიც:

უ ნ დ ო ლ ა გ ა ე გ ო საიდან მოდიოდა ეს სიტყვები (ე. ზედგ.).

პირველ მაგალითში მთავარი წინადადებაა „უნდოდა“, მასზე დამოკიდებულია „გაეგო“, ამ დამოკიდებულზე დამოკიდებული კი — „საიდან მოდიოდა ეს სიტყვები“. ორივე დამოკიდებული წინადადება უკავშიროა, თუმცა ერთთან იგულისხმება „რომ“ კავშირი, მეორესთან „თუ“, მაგრამ მძიმე დასმული არ არის. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მოკლე ასახსნელ წინადადებებთან და მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებს (ან თვით დამოკიდებულ წინადადებებს) შორის ისეთი აზრობრივი მჭიდრო კავშირი იგრძნობა, რომ შესვენება ანუ პაუზაც კი არ შეინიშნება და ამის გამო მძიმის დასმა საჭირო არ არის, ასეთივე სურათი გვაქვს მეორე მაგალითშიც.

XVII. მძიმე კავშირიან რთულ ქვეწყობილ წინადადებაში:

კავშირიან რთულ ქვეწყობილ წინადადებაშიც მთავარი დამოუკიდებელი წინადადებები ერთმანეთისგან უმთავრესად მძიმით გამო-

იყოფა. მძიმე იხმარება თვით დამოკიდებულ წინადადებებს შორისაც, თუ ისინი და კავშირით არ არის შეერთებული.

ამ ტიპის წინადადებაში მაქვემდებარებელ კავშირებად იხმარება შემდეგი სიტყვები:

რომ, რათა, თუ, თუ არა, თუკი, თუნდ, თუნდა, თუნდაც, თუმცა, თორემ, გინდ, რაგინდ, თუგინდ, რა რაკი, ვიდრე...

ვინ, რაც, რომელიც, როგორიც, რანაირიც, რამდენიც...

სად, სადაც, საიდანაც საითკენაც, საითაც; როს, როცა, როდესაც; სანამ, სანამდის, სანამდისაც, რაწამს; როგორც, როგორც კი, რამდენად, რამდენადაც, რამდენჯერ, რამდენჯერაც, რაც უფრო; რადგან. რადგანაც, ამიტომ, ამიტომაც, ამის გამო, ასე რომ, რის გამო, რის გამოც; ამისათვის და სხვ.

დამოკიდებული წინადადება დაისმის მთავრის შემდეგ, წინ და შუაში.

1) მძიმე, როცა დამოკიდებული წინადადება არის მთავრის მომდევნო:

მთავრის მომდევნო დამოკიდებულ წინადადებაზე რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მძიმე დაისმის მთავარი წინადადების შემდეგ.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

რ თ მ :

ის ურჩევნია მამულსა, რომ შეილი სჯობდეს მამასა (ანდაზა).

ისეთი ხიდი გადუ, რომ შენმა შეილიშვილმაც ზედ გაიაროსო (ანდაზა).

მე ჩანგური მისთვის მინდა, რომ სიმართლეს მსახურებდეს (ა. წერ.).

რ ა თ ა :

ღამე იქ დავრჩი, რათა თვალი გამეძლო მშვენიერი სანახავეების ხილვითა (ი. ჭავჭავ.).

თითქოს გარბოდა, რათა ღამისთვის დაესწრო და სახლში დროზე დაბრუნებულიყო (ლ. ქიაჩ.).

მთელ მუშაობას ის ეწეოდა ხელების შეუქვენებლად, რათა დაღლილი და დასუსტებული ტარიელი მოესვენებინა (ლ. ქიაჩ.).

თ უ (პირობით დამოკიდებულ წინადადებასთან):

სოფელი ღონიერია, თუ კაცი გონიერია (ანდაზა).

ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა (ანდაზა).

კლდესაც გაარღვევს წყლის წვეთი, თუ ერთ ადგილას სცემს მარად (ანდაზა).

კოლოც კი წააქცევს ცხენს, თუ დიდი მგელი მიეშველებაო (ანდაზა).

თუკი:

ბელნიერი იქნება ფეფიკო, თუკი რამე თქვენი სასიამოვნო შეიძლო
(ე. ნინ.).

რა ოხრად გინდათ ის შეძლება და ფულები, თუკი დედაჩემიც თქვენ
შეგაშინებთ (ე. ნინ.).

თუნდა || თუნდა:

სიმართლის ნერგი იხარებს, დარგო თუნდ სიპსა ქვაზედა (ანდაზა).

იმათ ველარა დაიჭერს, თუნდ რკინის დახედეს კარები (ვ. ფშავ.).

მაგრამ შენ მაინც კერე და კერე, თუნდ გათენება გამცნოს ვარ-
სკვლავმა (ი. ევდ.).

გოგრა არ გახდება შირაზის შუშა, თუნდა მალლა თაროზე შეღვაო
(ანდაზა).

ხელს არ იღებს გუთანზე, თუნდა გაკაფო ორადა (ვ. ფშავ.).

ვინ დააბრუნებს იმას უკანა, თუნდა დააბან ასი თოკითა?! (ვ. ფშავ.).

თუმცა:

ელგუჯა შეუეროდა თავის ამხანაგებს, თუმცა ამ შეერთებამ ბევრი
ალარა უშველა რა (ა. ყაზბ.).

მთელი ღამე არ მძინებია, თუმცა ძალიან დაღლილი ვიყავ (ი. ჭავჭ.).

ღამე იყო ცივი და ნისლიანი, თუმცა თოვლის გამო საკმაოდ განა-
თებულიყო (ა. ყაზბ.).

თორემ:

ნურც დაანახებ შენს ქურანს ცხენსა, თორემ ის ბიჭი განანებს
ბევრსა! (ი. ჭავჭ.).

გამიჭერ, თორემ ამ მთისა გათიბვა გამიჭირდება (ბაჩანა).

ჩქარა, თორემ მელაკუდა ხოხობს ვერ დაეწევა! (ი. მოს.).

გინდ || გინდა:

ველარავინ ველარ დახრის, გინდ იხმაროს მთელი ძალა (ი. ქუჩ.).

უკეთეს ბინას ვერ ნახავ, გინდ მოვლო კიდი-კიდეო (ა. წერ.).

არ შედრკება ჩემი გული, გინდა ქვითაც დავიქოლო! (ა. წერ.).

სჯობს ნუ დასცინებ ხელჯოხიანებს, გინდა შიგ თავშიც უფერენდეს
მწყერი (ა. წერ.).

რაგინდ:

უცეცხლოს მაინც შესცივა, რაგინდ პატარა ითოვოს (ანდაზა).

ხურმის მოკლული მე არ მინახავს, რაგინდ რომ ხურმა იყოს ძვე-
ლია (რ. ერისთ.).

თუგინდ:

მოგელოდები გრძნობანაგუბი, თუგინდ შეხვედრა იყოს გვიანიც
(ნ. ბარათ.).

სჯულს ხომ ვერ შეაცვლევიანებ, თუგინდ დამდულრო ნავთითა
(რ. ერისთ.).

რ ა:

აგერ ვაჭარიც ცბიერის ღიმით მოძმეთ ატყუებს, რა ჰყიდის ნიეთსა
(ი. ჭავჭავ.)

მაშინ ლხინი ამო არის, რა გარდხდის კაცი ჭირსა (რუსთაველი).

აღივსო კვალად ერთი ტფილისი, რა მობრძანება სცნეს ირაკლისი
(ნ. ბარათ.).

რ ა კ ი:

მე არ ვუშლი, რაკი თითონ არ იშლის (ი. ჭავჭავ.).

შეიღს ველოდი შორი გზიდან, რაკი გათბა, გაზაფხულდა (შ. მღვიმ.).

ოთარაანთ ქვრივი მაშინვე გამოიცვალა და ისევ საქმიან. დედაკა-
ცად იქცა, რაკი სიტყვა საქმეზედ მიდგა (ი. ჭავჭავ.).

ვ ი დ რ ე:

აქ ისვენებდნენ ჩეროში, ვიდრე არ აგრილდებოდა (შ. მღვიმ.).

ვერას დამაკლებ, ვიდრე მზე დამყურებს თბილი შუქითა (შ. მღვიმ.).

მოხუცი კი იმავე ადგილიდან თვალს ადევნებდა იმ დრომდე, ვიდრე
შეიღი სახლის კედლებს მოეფარებოდა (ა. ყაზბ.).

ვ ი ნ ც:

გამარჯვებული მხოლოდ ის არის, ვინც საბოლოოდ გაიმარჯვებსო
(ა. წერ.).

დიდება იმას, ვინც ქაჩეთის ციხეს კარები შემოალეწა და მშვიდო-
ბა მისცა ქვეყანას (ა. გომ.).

ყველაზე მეტად თვალს იმას აკლია, ვინც თავს იქებსო (ანდაზა).

რ ა ც:

ის აღარა ხარ, რაც იყავ წინათ (გ. ქუჩ.).

ბოლოსა მომკა წესია, რაც წინათ დაგიოესია (ანდაზა).

რ თ მ ე ლ ი ც:

იმ მეზობლის ჭირიმე, რომელიც კვერცხზე მარილს შომიყრისო
(ანდაზა).

ისეთმა ფურმა დამწიხლოს, რომელიც ჩემზე მეტს იწველიდესო
(ანდაზა).

ყველანი სიხარულით მიეგებნენ ონისეს, რომელიც მოსვლის შემდეგ
ყველაზე მეტს მხიარულობდა (ა. ყაზბ.).

რ თ გ ო რ ი ც:

იმნაირი ნაღირი გამორბოდა, როგორიც ტყე იყო (ანდაზა).

მთელი ექვსი თვის განმავლობაში ისეთ პატივში ჰყავდა, როგორიც
ეკადრებოდა (ი. გომ.).

მისთვის ძნელია წინასწარ ისეთი დასკვნების გამოტანა, როგორიც
ოქვენ გამოგაქვთ (ა. ბელ.).

რამდენიც:

პირველს ოთხს ქისაში იმდენს ჩააწყობდა, რამდენიც საჭირო იყო (ი. ჭავჭავ.).

შენი ღიაბეგი წამოაქცევინა და იმდენი მოარტყა, რამდენიც მის ყმასა ღიაბეგმა (ს. მგალ.).

სადაც:

გონების შუქი იქ უფრო გასჭრის და გაანათებს, სადაც ბნელია (ა. წერ.).

იქ ვარდს და ის ვინ მოკრეფს, სადაც ეკალი თესია (ა. წერ.).

ალექსანდრემ დამანახა ის ადგილი, სადაც უნდა მივსულიყავი (ს. კლდ.).

აგერა მცხეთაც—სავეანე გმირთა, დიდი აკლდამა დიდის ცხოვრებისა, სად პირველ ქართველის მორკმულთა შვილთა ღრმად ჩაგრეს ძირი თავისუფლების (ი. ჭავჭავ.).

საიდანაც:

ნათელამ სახე იბრუნა იქითკენ, საიდანაც თავისი სახელი მოესმა (ს. კლდ.).

გიგო სწრაფად გატრიალდა იქით, საიდანაც მოესმა ეს ხმა (ნ. ლომ.). ისეთ ადგილას ნუ შეხვალ, საიდანაც გამოგაგდებენო (ანდაზა).

საითკენაც:

ისინი მიჰყვებოდნენ იმ გზას, საითკენაც იხრებოდა ნათელას სიტყვათუ ღიმილი (ი. ლის.).

მარცხენა ხელი იქით გაიშვირა, საითკენაც უნდა წასულიყვნენ (ა. ბელ.).

ყარამანი კი ისეთი გზით წავიდოდა, საითკენაც მდევარი ვერასოდეს ვერ მოიფიქრებდა დადევნებას (ა. ბელ.).

საითაც:

იქითკენ უნდა ეცადო, საითაც წყალი დგებაო (ანდაზა).

ნუნუმ წყნარად ამოიოხრა და გაიხედა იმ მხარეს, საითაც იაგო მიეფარა კედლებს (ა. ყაზბ.).

— აგრე! — მოკლედ უპასუხა ელგუჯამ და დაიწყო იქითკენ ცქერა, საითაც გიორგიმ ცხენიანები უჩვენა (ა. ყაზბ.).

როდესაც:

გაიარა რამდენიმე წუთმა ამ მდგომარეობაში, როდესაც ერთი ცხენოსანი გამოჩნდა (ა. ყაზბ.).

ჭერ კიდევ სამს ოცი წუთი აკლდა, როდესაც აპოლონი შევიდა ბაღში... (ა. ბელ.).

ის იყო აივანზე მეც გამოვედი, როდესაც მათ ამ უკანასკნელ სიტყვებს უფრო მოვკარი (ა. ბელ.).

როცა:

ლუკმა მაშინაა ტკბილი, როცა კაი კაცობითაა ნაშოვნი (ი. ჭავჭავაძე).

ვერ შეაჩერებს ძალით ზამთარი, როცა გაზაფხულს ეღება კარი (ა. წერ.).

უცდიდა იმ დროს, როცა ყველანი გაივლიდნენ და ისიც მოშორდებოდა იქაურობას (ლ. ქიაჩ.).

როს:

მართალი არის ხვალი ზღვევისა, როს ხელს ჰკიდებს მას მამულის ტრფობა (ი. ჭავჭავაძე).

დაენატრი დღეთა, როს აქენდათ ტრფობა მამულისადმი გულს აღბეჭდილად (გ. ორბ.).

სანამ:

ამ ყოფაში იყვენენ, სანამ კითხვას ისწავლიდნენ (ა. წერ.).

მანამც გიკვენესიათ, სანამ ცოცხალ ვაჟიას იარაღი არ დააყრევინოთ (ა. ყაზბ.).

აღბათ ესეც არასოდეს არ ჰყვება გულისთქმას მანამდე, სანამ ყველაფერს ათასჯერ არ ასწონის და დასწონის (ს. კლდ.).

სანამდის:

უწინამც მიწა დაჰყრია შენს დედას, სანამდის შენ მოგშორდებოდეს (გ. წერ.).

ის ცოლ-შვილის მოკიდებას არ აპირებდა, სანამდის წერეთელი არ მოკვდა და ერისთავიც არ მიიცვალა (ა. წერ.).

რაწამს:

მე კარებთან გელი — გამოდი, რაწამს გირგოლას დაეძინოს

(ა. ყაზბ.).

— ბარაქა შენს ცხორსა! — წამოიძახეს იმათ, რაწამს გამისწორდნენ (ა. ყაზბ.).

შვილო, იცოდე მანდა ვარ, რაწამს ყინული დადნება (შ. მღვიმ.).

როგორც:

საქმის დროს ისე უნდა მოიქცე, როგორც თვითონ საქმე მოითხოვს (ა. ყაზბ.).

ეს პირველი თოვლი ისე გამიხარდა, როგორც გუშინ მიხაროდა გაზაფხული (გ. აბაშ.).

იმისმა გულმაც დაიწყო დღევა ისე, როგორც დღეადა მის გარშემო მწვანე ჭეჭილი (ი. ევდ.).

რამდენადაც:

ახლა კი იმდენად შორს არის, რამდენადაც ახლო იყო მასთან

(ი. ლის.).

ვახშამზე პლატონი იმდენად თავის საინს არ დასჩერებოდა, რამდენადაც თვალი ღედინაცვლისაყენ ჰქონდა (დ. კლდ.).

გამაგრდნენ იმდენად, რამდენადაც შესაძლებელი იყო ორი კაციანგან (ა. ყაზბ.).

რ ა ღ გ ა ნ ა ც:

მეც შენთან ვივახშამებ, რადგანაც პური არ მიქამია (ა. ყაზბ.).

სვიმონს პასუხი ვერ გადაეწყვიტა, რადგანაც ქართლა მოსაფიქრებელი იყო მოსვლა აჯანყებულ მთიულებთან (ა. ყაზბ.).

ხევისა და მთიულეთს ვერ გავიდოდა, რადგანაც თემს მოშორებული იყო და არ მიიქარებდნენ (ა. ყაზბ.).

რ ა ღ გ ა ნ:

მამულისათვის იბრძოდა, რადგან მამულის შვილია (რ. ერისთ.).

უყვარდა ეს მთა, რადგან ყოველი ნაპრალი ნაცნობი იყო მისთვის... (ა. ბელ.).

მოკლედ უპასუხა ონისემ და თავი დაღუნა, რადგან მამის ცქერისათვის ვერ გაეძლო (ა. ყაზბ.).

ა მ ი ტ ო მ:

გზა არსად ჩანდა, ამიტომ იძულებული შევიქენით გაჩერებულიყავით (ა. ბელ.).

ახლა იქ ცოტა წყალი მოედინება, ამიტომ შხუილი არ ისმოდა

(თ. გოგოლ.).

ის გარემოება არ გამოპარვია ელენეს, ამიტომ ჩამოაგდო მან ლაპარაკი ეფემიაზე (ლალიონი).

ა მ ი ტ ო მ ა ც:

მირზამ იცოდა, თუ რა პირობებში უხდებოდა ბრძოლა, ამიტომაც დირექტივებს უფარდებდა ხალხის სულისკვეთებასა და ყოფას

(რ. გვეტ.).

ამ მეცნიერის მოწმობა მეტად გრძელია, ამიტომაც ამის აზრს იმგვარ მიწათმფლობელობაზედ... შემდეგს ნომერში მოვიყვანთ (ი. ჭავჭავ.).

ასეთ წინადადებებში გვხვდება კავშირებად „იმიტომ“ და „იმიტომაც“, მაგალითად:

საწყალს სიკვდილი აშინებს, იმიტომ არის მწუხარი (ვ. ფშავ.).

ახლა კი ხეთისაგან, როგორცა ვთქვი, გონება დაბნეული ჰქონდა, იმიტომაც მაინც კიდევ შეჰყვირა (ი. ჭავჭავ.).

ა მ ი ს გ ა მ ო:

სადგურიდან გამოაული ბაკა ერთბაშად გააოცა ღამის სისპეტაკემ, ამის გამო მან კაეშანი იგრძნო (რ. გვეტ.).

ნება არა აქვთ ვენახების გაცვლისა, ამის გამო ერთ ადგილას მოგროვება ვენახებისა თითქმის შეუძლებელი ხდება (ი. ჭავჭავ.).

რის გამო:

იმა ისევე შეუსვენებლად განაგრძობდა სიარულს და ტაშტზე ჯონის ცემას, რის გამოც კესოს ძახილი დიდხანს არავის გაუგონია (რ. გვეტ.).

ამნაირად დავიშრეთ ტანისამოსი და დავებით, რის გამოც გულის დარდიც ცოტათი ჩანელდა, შესუსტდა (ნ. ლომ.).

რის გამოც:

მას ახლაც მამაკაცის ტანისამოსი ეცვა, რის გამოც კიდევ უკეთესი შესახედავი იყო გოლიათის მსგავსი ქალი (რ. გვეტ.).

ცეცხლი კი ოდნავ ბეუტავდა კერაზე და ღრწოლავდა, რის გამოც ისეც ბნელი ფარები კვამლით იბურებოდა (შ. არაგვ.).

ასე რომ:

მშენიერი სალამო იყო, ასე რომ იმ დამეს იქ დავრჩი... (ი. ჭავჭავ.).

შეიქნა ერთი ჭექა-ჭუხილი და თავსხმა, ასე რომ სტუმარი უნდა დარჩენილიყო მელანოსთან (ა. წერ.).

2) მძიმე, როცა დამოკიდებული წინადადება არის მთავრის წინ

მთავრის წინა დამოკიდებულ წინადადებას რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მძიმე დაისმის დამოკიდებული წინადადების შემდეგ.

მაგალითები:

რომ:

რომ მოვიდა ასაღებად, ნადირი უცბად წამოვარდა ზეზე და ბარბაციტ გაუდგა გზას! (ა. წერ.).

ბოძი რომ წაიქცევა, სახლ-კარიც დაიქცევაო (ანდაზა).

თუ:

თუ მეზობელი კარგად გყავს, შენც კარგად ხარო (ანდაზა).

თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი (დ. გურ.).

ბავშვი თუ არ იტირებს, ძუძუს არ მოაწოვებენო (ანდაზა).

თუ არა:

ინათებდა თუ არა, ქიტესა მაშინვე ფეხზე წამოდგებოდა (ა. ბელ.).

გამოყო თუ არა სახლიდან თავი, მის წინ გამოჩნდა ლამაზად ამწვანებული ფართო მოედანი (ნ. ლომ.).

გამზრდელმა ცელქებს საჩქაროდ კარი გაუღო თუ არა, მოხუცს სახეზე ალერსის ღიმილმა გადაუარა (შ. მღვიმ.).

თუკი:

თუკი გშია ზაქარია, ცივი მქადიც შაქარია (ანდაზა).

თუკი რამ შეგხვდა მინდვრალა ან იქვე სოფლის პირალა, მაშინვე დაისაკუთრებ. ხელით წაგივა ძვირალა (ვ. ფშავ.).

თუკი რამ ღარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით,

რომ მე სოფელში ვიყავი გაბარებული და გლეხის შეილებთან ერთად ვიზრდებოდი (ა. წერ.).

თ უ ნ დ:

თუნდ ეგეც არ ყოფილიყო, გული გიორგისკენ უწევდა... (ი. ჭავჭავ.).

თუნდ ეგ არ იყო, შინისაკენ მე გული არ მიმიწევდა (ი. ჭავჭავ.).

მე ახლა თუნდა შენს კალთაში სული დავლიო, მაგდენს არას ვინადელი (ი. ჭავჭავ.).

თ უ მ ც ა:

თუმცა თვითონაც ჯერ ისევ ბარტყი იყო, მაგრამ საოცარი დედობილობა გამოიჩინა (ი. გოგ.).

თუმცა ამ ბრძოლა-ჭიდილში ზღვა სისხლიც დაიღვარაო, მაგრამ მტერს დედა ეტირა, საფლავი გაეთხარაო! (გ. ქუჩ.).

თუმცა ერთი ხისგან ბარიც გამოვა და ნიჩაბიც, მაგრამ ორივეს ტარიკი ერთიანად (ანდაზა).

გ ი ნ დ:

გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ! (გ. ორბ.).

გინდ ეგ არ იყო, ახლა აღარაფრისა მეშინია... (ი. ჭავჭავ.).

რ ა გ ი ნ დ:

რაგინდ კაცმა ჭირი მალოს, ჭირმა თავი არ დამალოს (ანდაზა).

რაგინდა ბედმა მიმტყუნოს, რაგინდ ვარამმა მკბინოსა, კიდევ შავ-მღერებ ერთხელა, რომ გულმა მოილხინოსა (ვ. ფშავ.).

რ ა კ ი:

რაკი თავის მოპირდაპირეს შეხვდა, სიტყვა ჩაუწყდა (ა. ყაზბ.).

რაკი გავჩნდები, ბაღები ცას სიხარულით სწვდებიან (შ. მღვიმ.).

რაკი ყუთს თავს ახდიდა, ბუხები მაშინვე ამოფრინდებოდნენ (ი. ჭავჭავ.).

რ ა:

რა განქრეს მისი სიტურფე, სიხარულს ნულარ მოელი (გ. ორბ.).

რა თაახის კარი ნოიხურა, ელგუჯა ფეხზე წამოვარდა და გაშმაგებული თვალებით დაუწყო სარკმლიდან ყურება (ა. ყაზბ.).

რა დღეს მზე არ ანათებს, ის დღე ღამის დარია (ანდაზა).

ვ ი დ რ ე:

ვიდრე ჭკვიანი დაფიქრდება, გიყი ზიდს გადაირბენსო (ანდაზა).

ვიდრე არ გასცემ სწორედ ხმას, მანამ არ შეგირიგდება (შ. მღვიმ.).

ვიდრე დავითი ცოცხალი იყო, რუსულანს მისი სიკვდილი შარბათივით სწყუროდა (ი. გოგ.).

ვ ი ნ ც:

ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია (ანდაზა).

ვინც ქარს თესავს, ის ქარიშხალს ჰოიმკისო (ანდაზა).

ვინც პატარა რამეს არ დააფასებს, ის ვერც ღიძის ფასს მიხვდებაო (ანდაზა).

რ ა ც:

რაც არ მერგება, არ შემერგება (ანდაზა).

რაც ჩემი შრომის არ არის, სახლში არ შემიტანია (ა. წერ.).

რაც სიძონა საპატიმროდან დაბრუნდა, მას შექვევ ღავითს აღარ სძინებია (ე. ნინ.).

რ ო მ ე ლ ი (ც):

რომელი წყალიც დამახრჩობს, ის ჩემთვის ოკეანეა (ანდაზა).

რომელ თითსაც მოვიჭრი, ყველა მეტკინებაო (ანდაზა).

რომელმაც უარი გითხრას, იმისი იმედი გქონდესო (ანდაზა).

რ ო გ ო რ ი ც:

როგორც ტყე იყო, ნადირიც იმისთანა გამოდიოდა (ანდაზა).

როგორც არის ქარხანაო, ისეთი ხარ თარხანაო (ანდაზა).

როგორც პაპა იყავიო, ისეთი ტაბლა გიყავიო (ანდაზა).

რ ა მ დ ე ნ ი ც:

რამდენიც ქოთნიაო, იმდენი სარქველიაო (ანდაზა).

რამდენი ვირიც ვიყიდე, ყველა ყროყინა გამომაღგაო (ანდაზა).

ს ა დ ა ც:

სადაც შევარდენი ბუდობს, მტრედი ვერ გაიხარებსო (ანდაზა).

სადაც ხეს გათლიან, ნაფოტიც იქ დაცვივაო (ანდაზა).

სადაც სიყვარული არ არის, იქ არც სიხარულია (ანდაზა).

ს ა ი თ კ ე ნ ა ც:

საითყენაც გერჩის გული, შენც იქითყენ გადაფრინდი (შ. მღვიმ.).

საითყენაც გული გაიწევს, ის იქით გაგვათრევს უგზო-უკვლოდ (ა. ყაზბ.).

საითაც გავიქეცი, იქით წავიქეცი (ანდაზა).

რ ო დ ე ს ა ც:

როდესაც აივანზე გამოვდივარ დილითა, გული ნათლით მეცხება და სახე ღიმილითა (შ. მღვიმ.).

როდესაც გელა განათავისუფლდა და მარტოკა დარჩა, გამობრუნდა სახლისკენ და შესვლის უმალ მზადება დაიწყო (ა. ყაზბ.).

რ ო ც ა:

როცა სიტყვა ხშირდებაო, მაშინ საქმე მცირდებაო (ანდაზა).

როცა სურვილი გახელმწიფდება, გონებაც გრძნობას დაემონება (ა. წერ.).

როცა ცოდნით ავსრულდებით, სიტყბოებით დავებრდებით (ანდაზა).

ო დ ე ს:

ოდეს მაშვრალს მოსწყურდების, მაშინ წყალი ღვინოდ ღირსი:
(ანდაზა).

ოდეს ტურფა გაიაფდეს, აღარ ღირდეს არცა ჩირად (ანდაზა).

ოდეს უღაბნოს გასწვრივ მთის წვერზედ მზე სხივგაფენით ამოვი-
დოდა, იმ საკმლით სხივი მისი სენაკში სვეტად ბრწყინვალედ ჩაე-
შვებოდა (ი. ქაევ.).

ს ა ნ ა მ:

სანამ თონე ცხელია, ლავაში ჩააკარო (ანდაზა).

სანამ ყმაწვილი არ იტირებს, ძუძუს არ მოაწოვებენო (ანდაზა).

სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძვრესო (ანდაზა).

რ ა წ ა მ ს:

რაწამს ქალმა თვალი მოჰკრა, სიხარულით იმისკენ გაექანა (ა. ყაზბ.).

რაწამს დაინახეს ეს ადგილი, სიხარულით გაექანენ (ა. ყაზბ.).

რაწამს ნაიბმა და მისმა ცოლმა ეს ბავშვი დაინახეს. მაშინვე გული
ზედ შეუვარდათ (ი. გოგ.).

რ ო გ ო რ ც:

როგორც ყველაფერი არ იქმება, ისე ყველაფერი არ ითქმებაო
(ანდაზა).

როგორც დაიგებ, ისე მოისვენებო (ანდაზა).

როგორც ძუნწი ოქროთი ვერ გაძლება, ისე სწავლის მწყურველი—
სწავლითაო (ანდაზა).

რ ო გ ო რ ც კ ი:

როგორც კი ჩამოვა, მაშინვე მოხდება გადარჩევა (ა. ბელ.).

როგორც კი გათენდა, მაგდანა გაუდგა ქალაქის გზას (ე. გაბ.).

ჩვენი უცნობი ქალიშვილი როგორც კი შევიდა ზღვაში, დათიკო
მხარდამხარ მიჰყვა (ა. ბელ.).

რ ა მ დ ე ნ ა დ:

რამდენად შენ ხარ თავის ბატონი, იმდენად იყავ სინდისის მონა!
(ა. მირცხ.).

ლარი რამდენად გაიჭიმება, იმდენად მალე გაწყდებაო (ანდაზა).

რ ა მ დ ე ნ ა დ ა ც:

რამდენადაც თოვლის მოსვლის წინა დღეები-მთაში საძაგელია, იმ-
დენად სასიხარულო და სასიამოვნოა პირველი თოვლი (ა. ყაზბ.).

რამდენადაც გაგი აქ იტანჯებოდა, იმდენად გორაზე მყოფთ ნუგეში
ეძლეოდათ (ა. ყაზბ.).

რ ა მ დ ე ნ ჯ ე რ:

რამდენჯერ ქარი შეარხევს საროს, იმდენჯერ მტკვარი უმეტეს ოხ-
რავს (ნ. ბარათ.).

რამდენჯერ შენი მოსვლა უნატრია, იმდენი სიხარული მიეცა ჩემს შვილებს (ს. კლდ.).

რ ა მ დ ე ნ ჯ ე რ ა ც :

რამდენჯერაც ფეხს გადადგამდა, იმდენჯერვე წელზე შემოკრული ქამარი შეიფრთხილებდა (ი. ლის.).

მას აქეთ რამდენჯერაც შემოაღებდნენ სასამართლოს დარბაზის კარს, იმდენჯერ კიკოლა იჭით მიიხედავდა (გ. წერ.).

რ ა დ გ ა ნ ა ც :

რადგანაც ცოტათი გრილოდა, გიორგი შალში გახვეულიყო (ე. ნინ.).

რადგანაც ძალით კაქკაჭი ქათმებს ვერასგზით ვერ მოერეოდა, ამიტომ ლონის მაგივრად ხერხი იხმარა (ი. გოგ.).

ა) მძიმე, როცა დამოკიდებული წინადადება არის მთავარში.

მთავარ წინადადებაში მოთავსებული დამოკიდებული წინადადება მძიმით გამოიყოფა ორივე მხრიდან, ე. ი. მძიმე დაისმის როგორც მის წინ, ისე შემდეგ:

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

რ ო მ :

დროს არჩევდა, რომ უხერხული არ გამომდგარიყო მასთან მისვლა, და შვილის მეგობარს თვალს არ აშორებდა (ლ. ქიან.).

დედ-მამამ ქეთოს შეუქერა ისეთი მშვენიერი ქართული ტანისამოსი, რომ ყველა ყმაწვილ ქალს თვალი ზედ დარჩებოდა, მაგრამ ქეთომ ახლოც არ მიიქარა (ი. გოგ.).

რ ა კ ი :

სპილო რაკი გაშინაურდება, კიდეც უფრო ჰკვიანდება (ი. გოგ.).

ფიქრი, რაკი ერთხელ ასე თუ ისე მოიკვანძა, თოვლის გუნდასა ჰგავს... (ი. ჭავჭ.).

თ უ კ ი :

ამას, თუკი კაცი მეცადინეობას არ დაიზარებს, ადვილად მოექრება კბილი (ე. ნინ.).

გლეხები, თუკი შემთხვევას ნახავდნენ, ამოიყრიდნენ ჯაერს თავიანთ შემავიწროებელ ბატონებზე (ე. ნინ.).

რ ა :

ხალხმა, რა გაიგონა ეს ხმა, იბრუნა პირი (ე. ნინ.).

მანც ეს მოხუცი რუსები, რა ერთმანეთს შეხვდებიან და თავის სტუდენტობას მოიგონებენ, მაშინვე გაიხსენებენ ერთ დროს ამათ საიმედო ამხანაგადა და მეგობრად მყოფ ნიჭით სავსე გიორგის (ე. ნინ.).

ვ ი ნ ც :

— იარე, წამომყევი და, ვინც წინ დაგვიდგება, იმასაც ვნახავთ

(ა. ყაზბ.).

უწინ იარაღი გვეჭირა ხელშიდა და, ვინც ჩვენზე ძალის მოტანას მოისურვებდა, იარაღით გავცემდით პასუხს (ა. ყაზბ.).

რ ა ც:

ზღვის ორთქლი და ოხშივარი, რაც ცას დღისით აწურა, ცვარნამებად გარდაქმნილი იას გულზე დაეპკურა (შ. მღვიმ.).

...იქნებ, რაც შენ ვერ მოახერხე, მე მოვახერხო! (ე. გაბ.).

რ ო მ ე ლ ი ც:

ამ ამბავმა, რომელიც ჩვენ ყველამ კრინტის დაუძვრელად მოვისმინეთ, მარტო გაოცება როდი გამოიწვია (ი. გოგ.).

ერთადერთი ოჯახი, რომელმაც დაიცვა ძველი სახელი, იყო ოჯახი თონიკესი (ნ. ლომ.).

ს ა დ ა ც:

მივიდა იმ ადგილამდის, სადაც ელგუჯა იწვა, შედგა ცოტა ხანს და ყური დაუგდო (ა. ყაზბ.).

ზედ კლდის პირზე, სადაც მინდორი თავდებოდა, გაგი რამდენიმე ცხენოსანთან ერთად ქვეშეთისაკენ მიაქენებდა (ა. ყაზბ.).

ს ა ი დ ა ნ ა ც:

დაბას, საიდანაც ჩვენ გამოვდიოდით, ამ ორიოდე კვირის წინ ეს ხეობა მტკიცედ იცავდა (დ. შენგ.).

გიგო სწრაფად გატრიალდა იქით, საიდანაც მოესმა ეს ხმა, წასდგა რამდენიმე ნაბიჯი წინ და უცებ შედგა (ნ. ლომ.).

რ ო ც ა:

იმ დროს, როცა ჩვენს მოთხრობას ვიწყებთ, ოთარაანთ ქვრივის შვილი გიორგი ოცდაერთი წლის ბიჭი იყო (ი. ჭავჭ.).

მხოლოდ ქეთევანი კი, როცა ყურადღება კარგად მიაქცია შვილის საქციელს, თავგანწირულების შიშმა შეიბჰყო (ე. ნინ.).

ს ა ნ ა მ:

რა ექნა, სანამ სწავლას არ დავასრულებ უნივერსიტეტში, მანამ არ შემიძლია წამოვიდე გურიაში (ე. ნინ.).

ბუმბულს, სანამ ქარი არ დაუბერავს, თავისი თავი მძიმე ჰგონიაო (ანდაზა).

რ ა წ ა მ ს:

ამის სამაგიეროდ, რაწამს გადასავალს გადასცდებით, თვალწინ მთელი ედემი გადაგეშლებათ (ა. ყაზბ.).

თვალყური ჩვენკენ გქონდეს, მზად იყავ და, რაწამს საქმე ხერხად მოვა, მე მაშინვე შეგატყობინებ (ა. ყაზბ.).

რ ა დ გ ა ნ ა ც :

ხალხმა ბევრი ეტება ნინო, რადგანაც ის სახლში აღარ იყო, ბევრს ეცადა, მაგრამ თითქოს ღამის უფსკრულს ჩაენთქა (ა. ყაზბ.).

ლეომ ოდნავი ღიმილით მოუთათუნა მხარზე ხელი ილარიონს და, რადგანაც ამ საკითხში ბრძოლა მართლა წაგებულად მიაჩნდა, მძიმედ ამოიოხრა... (ა. ბელ.).

რთული ქვეწყობილი წინადადების დასაწყისში, დამოკიდებული წინადადების წინ, ხშირად იხმარება ქვემდებარე, რომელიც განეკუთვნება როგორც მომდევნო დამოკიდებულ წინადადებას, ისე მთავარს, ე. ი. იგი არის მთავარი და დამოკიდებული წინადადებების საერთო წევრი. სწორი არ იქნება, თუ დასახელებული ქვემდებარე დამოკიდებულ წინადადებასთან დავტოვეთ, მთავარ წინადადებაში კი ვიგულისხმეთ. იგი აზრობრივად, უპირველეს ყოვლისა, მთავარ წინადადებასთან უნდა იყოს დაკავშირებული და ამის გამო დამოკიდებული წინადადებისგან მძიმით უნდა გამოიყოს.

ამის მაგალითებია:

რაიონის ქალაქი, რაც უფრო დაშორებულია რკინიგზას, მით უფრო თავისებური იერით შემკულა (ს. კლდ.).

ლარი, რამდენიც მალე გაიქიმება, იმდენად მალე გაწყდებაო (ანდაზა).
ნუნუ და მისი მეგობარი, რამდენადაც შეიძლებოდა იმათ მღვთმარებაში, დამშვიდდნენ (ა. ყაზბ.).

4) მძიმე, როცა მთავარ წინადადებას ახლავს რამდენიმე დამოკიდებული წინადადება

დამოკიდებული წინადადებები როგორც მთავარი წინადადებისგან, ისე ერთმანეთისგან გამოიყოფა მძიმით (თუ ერთგვაროვან დამოკიდებულ წინადადებებს შორის გამოყენებული არ არის კავშირი „და“).

ა. როცა მთავარ წინადადებას ბოლოს ახლავს რამდენიმე თანადადამოკიდებული წინადადება. ვიცი, რასაც ამბობენ, რასაც შემომჩივიან (შ. მღვიმ.).

მე ის ვარ, ვისაც სატრფო მოელის, ვისთვისაც ღამეს ათევეს მშობელი, ვინც შინ ბრუნდება ძღვევამოსილი, ვინც ბოლო მისცა ცრემლებს და გლოვას... (გ. აბაშ.).

მე მოვფრინდები ჭიკჭიკ-გალობით თქვენთან, როდესაც გაზაფხულდება, როცა მინდვრებში დადნება თოვლი და მთის ნაკადიკ ახმაურდება (შ. მღვიმ.).

მტერს შეაკვდა მამულისთვის, რომ თქვენ ტკბილად დაგეძინათ, რომ შეეშროთ თქვენს ლოყებზე მოკამკამე ცრემლთა დენა, რომ დაცვათ თქვენი გაზრდა, თქვენი კარგი დღეა (ი. გრიშ.).

ბ. როცა მთავარ წინადადებას წინ უძღვის. რამდენიმე თანადაამოკიდებულ წინადადება:

როდესაც ესენი ამ მდგომარეობაში იყვნენ, როდესაც სვიმონის გული თითქმის დამონებოდა მზალვეს ცრემლს, ამ ღროს ჭიშკარიანთკარს, ნინიას სახლის დერეფანში, ერთი ავადმყოფი იწვა (ა. ყაზბ., „ელგუჯა“).

სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა ორბნი, არწივნი ვერ შეჰხეზიან, სად წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილნი, მზისგან აროდეს არადნებიან, სად უღაბურსა მას მყუდროებას კაცთ ჟრიაბული ვერ შესწვდენია, სად მეუფება ქექა-ქუხილსა, ყინულს და ქართა მხოლოდ ჰშთენია,—უწინდელს დროში ღვთისა მოსავთა გამოუქვაბავთ მუნ მონასტერი (ი. ქავჭ.).

გ. როცა მთავარ წინადადებას წინ და ბოლოს ახლავს რამდენიმე არათანადაამოკიდებულ წინადადება:

ვისაც არ უნდა, რიყუზე ისე გაივლის, რომ ქვას არ დაინახავსო (ანდაზა).

ძელი რომ წყალში ჩააგდო, იცოდე, რომ არ დასძირავსო (ანდაზა).

მამალი რომ ფრთას შემოკრავს, იცოდე, რომ დაიყვლებსო (ანდაზა).

რაკი ბიჭები გაგზავნ-გამოგზავნა, სახლის პატრონმა გამოსწია იმ „საწოლისაკენ“, სადაც ტყვე იყო დამწყვდეული. (ა. ყაზბ.).

რადგანაც ამ სიტყვებში ტირილის კილო ისმოდა და თან ნაცნობ ხმად ეჩვენა, სიმონა მაშინვე გადახტა იქით, საიდანაც ხმა შემოესმა (ე. ნინ.).

დ. როცა ერთი დამოკიდებულ წინადადება მთავარშია, მეორე მთავრის მომდევნოა:

ბატონის კაცს ჯერ ნუ გალახავ, თუ გალახავ, ისე გალახე, რომ გალახვა ერქვასო (ანდაზა).

დიდი ხანი იყო, რაც კობას ამგვარი სურათები აღარ ენახა, და მით უფრო ტკბილი იყო, რომ მისი შეჩვეული ბუნება ითხოვდა ამგვარ გართობას, თვალისა და გრძნობის დატკობას (ა. ყაზბ.).

ვიწრო დარიალის ხეობაში, სადაც ახლა მშვენიერი გზატკეცილი მიდის და შავ კლდეებს შუა გველსავით იკლავება, უწინ მხოლოდ ბილიკები იყო, რომელზედაც ცხენების ქარავეანი ძლივს დადიოდა (ა. ყაზბ.).

ე. როცა მთავარ წინადადებას ბოლოს ახლავს

რამდენიმე სხვადასხვა სახის დამოკიდებული წინადადება:

ყველანი ცდილობდნენ, რომ მგზავრებში წინ მოქცეულიყვნენ. რადგანაც ბურსაქირის გასასვლელი ვიწრო იყო (ა. ყაზბ.).

უმჯობესია, რომ მოკვდეს კაცი, ვიდრე ცოცხლობდეს ვით ცოცხალ-მკვდარი (ა. წერ.).

ამ ლაპარაკში იმათ მიაღწიეს გორის თავს, სადაც გამაგრდნენ იმდენად, რამდენადაც შესაძლებელი იყო ორი კაცისაგან (ა. ყაზბ.).

ამ ლაპარაკში მოუახლოვდა გორას გაგი თავისი ხალხით, რომელთაც გადაწყვიტეს, რომ ელგუჯა აქ უნდა შეფარებულიყო, რადგანაც ველ-ტყიანებში ვერსად იპოვეს (ა. ყაზბ.).

3. როცა მთავარ წინადადებას წინ უძღვის რამდენიმე სხვადასხვა სახის დამოკიდებული წინადადება:

კაცმა რომ მარილი გთხოვოს, თუ მარილი არ გაქვს, მარილიანი სიტყვა მაინც უთხარიო (ანდაზა).

თუ სარკე არ გაქვს, რომ ჩაიხედო, ქვეყანა ხომ სარკეაო (ანდაზა).

ვაშლი რომ მაღლა შეაგდო, სანამ ჩამოვარდება, იმაში დრო გაივლისო (ანდაზა).

რამდენადაც ძნელია მდგომარეობა, როდესაც გულს ნაღველი ვერ ამოუღვრია, იმდენად დამამშვიდებელ ნექტარად შეერგო უბედურ მაცვალას ახლად გაღვიძებული გრძნობა (ა. ყაზბ.).

5) მძიმე, როცა რთულ ქვეწყობილ წინადადებაში ორი კავშირი ხვდება ერთმანეთს

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში ერთად ნახმარი ორი კავშირი, მაგალითად, ან მაერთებელი და მაქვემდებარებელი, ან ორივე მაქვემდებარებელი, როგორც სხვადასხვა წინადადების კავშირები, ერთმანეთისგან მძიმით უნდა გამოიყოს.

ა) როცა ერთმანეთს ხვდება მაერთებელი და მაქვემდებარებელი კავშირები:

მზალე შეაგდეს საპყრობილეში და, როდესაც ის მარტოკა დარჩა. მხოლოდ მაშინ შეიძლო თავისუფლად მწუხარებას მისცემოდა

(ა. ყაზბ.).

ინალიფა მის ბელაურს არ დაუთმობს ნებით გამჩენს და, თუ ვინმე ძალას იხმარს, შეაკვდება, არ შეარჩენს (ა. წერ.).

პირველში ერთი ყრუდ ყელში წამოიყეფა და, რაკი დაინახა პატრონია და სხვა არავინ, წინანდებურად წაპყო კუდის ბოლოში ცხვირი და არხეინად ისევ ძილს მიეცა (ი. ქავჭ.).

უნდოდა დამშვიდებული სიტყვა ეთქვა, მაგრამ ენა არ იცოდა და, თუნდა სკოდნოდა კიდეც, აწელად შეეძლო სიტყვის წარმოთქმა (ა. ყაზბ.).

ჩვენი მხრის ქალებს ძნელად შეუყვარდებათ, მაგრამ, ვინც შეუყვარდებათ, ის იმის მბრძანებელია (ა. ყაზბ.).

ელგუჯას მოსვლაზე ქალმა წამოყო თავი, მაგრამ, რაჟი იცნო, ხმა გაკმინდა (ა. ყაზბ.).

ყველანი წავიდ-წამოვიდნენ, მაგრამ, რაწამს ფეხის ხმა მიწყნარდა, ტყიდან გამოვიდა ერთი მოხუცებული, ქალარამერეული კაცი და რამდენიმე ყმაწვილი შეიარაღებული მთიელი (ა. ყაზბ.).

იმან გადასწყვიტა, რომ საშუალებოდ ქვეშეთიდან ჯარი მოეშველებოდა, მაგრამ, სანამ ისინი მოვიდოდნენ, ამას დაწვრილებით უნდოდა ადგილის დათვლიერება (ა. ყაზბ.).

ბაგრატამ მაშინვე ჯიბეზე მოისვა ხელი, მაგრამ, რაგორც კი იგრძნო ჩითის ნაქერში გაკრული ფული, დამშვიდდა და არხეინად გაიზმორა (ა. ბელ.).

ბ. როცა ერთმანეთს ხედება ორი მაქვემდებარებელი კავშირი:

თავი იმად მომიცია, რომ, საცა გინდა, იქ წამიყვანო (ა. ყაზბ.).

ელგუჯას ძალიან კარგად ესმოდა, რომ, თუ გაგიმ შეიტყო ქალის მოტაცება და იმათი აქ ყოფნა, მაშინ საქმე უსისხლოდ აღარ გათავდებოდა (ა. ყაზბ.).

...გადაიცვა ახალი კაბა, რომელიც, რაც სიმონა დააბატიმრეს, მერე ზანდუკში ჰქონდა შენახული (ე. ნინ.).

აქ ვწყვეტ ამ წერილებს, რადგანაც, რაც ვნახე და გავიგონე, როგორც ეს ყველა ჩავისმინე და გავიგე, გადავწყვიტე მოთხრობებად გადმოგცეო (ა. ყაზბ.).

ეს კი სათქმელია, რომ, როცა ბაღში მუშაობდა და ქეიფზე მოვიდოდა, სულ ერთსა და იმავე სიმღერას ლიდინებდა ხოლმე ხმამაღლა (ი. ჭავჭ.).

წინ მოსაფიქრებლად დიდი დრო მქონდა, ამიტომაც, რამდენადაც ჩემს ფიცზე ვფიქრობდი, იმდენად ვიტანჯებოდი (ი. ჭავჭ.).

ხალხი სულგაკმენდილი ყურს უგდებდა იმის ლაპარაკს, მაგრამ, რაწამს გაათავა, ყველა ერთბაშად აყაყანდა, ყველას უნდოდა პასუხი მიეცა (ა. ყაზბ.).

ზოგ ასეთ წინადადებაში ავტორის მიერ ერთად დასმული კავშირები ერთმანეთისგან მძიმით გამოყოფილი არ არის, რაც, უდავოდ, შეცდომაა, რადგანაც ისინი ერთ დამოკიდებულ წინადადებასთან გამოყენებული რთული კავშირი კი არ არის, არამედ თითოეული მათ-

განი ცალკეული მარტივი წინადადების კავშირია (მათ შორის პირველი კავშირი შეიძლება იყოს ცალკე წევრის მაერთებელიც). მაგალითად, რთული ქვეწყობილი წინადადება:

ტოლ-ამხანაგობას აგრერიგად არ ეწყობოდა და, თუ როგორმე ჩაერეოდა, პირველობას ყველგან ამას უთმობდნენ (ი. ჰავცი.).

ასე დაიშლება: 1. „ტოლ-ამხანაგობას აგრერიგად არ ეწყობოდა და პირველობას ყველგან ამას უთმობდნენ“ — მთავარი წინადადებაა. რომელშიც მაერთებელი კავშირი და აკავშირებს ორ მარტივ წინადადებას; 2. „თუ როგორმე ჩაერეოდა“ — დამოკიდებული წინადადებაა. მაქვემდებარებელი კავშირი თუ ახლავს ამ დამოკიდებულ წინადადებას და აკავშირებს მას მთავარ წინადადებასთან.

აღმოჩნდა, რომ, როდესაც მტერი მოხვევთა ბინაზედ იერიშით მოდიოდა, გუგუა მას წინ მოუძლოდა... (ა. ყაზბ.).

მაქვემდებარებელი კავშირი რომ, და საკავშირებელი სიტყვა როდესაც ახლავთ სხვადასხვა დამოკიდებულ წინადადებას:

1. „რომ გუგუა მას წინ მოუძლოდა“. 2. „როდესაც მტერი მოხვევთა ბინაზედ იერიშით მოდიოდა“.

ასეთ შემთხვევაში მომდევნო დამოკიდებული წინადადება წინა დამოკიდებული წინადადების შიგნითაა გამოყენებული, მაშასადამე; იგი მისგან ორივე მხრით უნდა გამოიყოს მძიმეებით. ამის შედეგად აღნიშნული ორი კავშირი ერთმანეთისგან მძიმით უნდა განცალკევდეს.

XVII. მძიმე ახსნა-განმარტებისათვის გამოყენებული მაიგივებელ-კავშირიანი სიტყვის ან წინადადების გამოსაყოფად

წინადადებაში მაიგივებელკავშირიანი ნაწილიც მძიმით გამოიყოფა. მაგალითები:

ახალთაობა, ანუ სტუდენტობა, როგორც მაშინ ეძახდნენ. ეხეიადრობას... (ა. წერ.).

კოდი ბური, ანუ რუა ჩანახი, ფასობდა ექვს აბაზად (ს. მგალ.).

მესამე მოწაფედ, ესე იგი უკანასკნელ მაჩანჩაღად, მე გამაყოლეს... (ა. წერ.).

დაიბადება თუ არა, ე. ი. თავს იჩენს თუ არა სადმე შივარდნილ მთის კალთაზე, მაშინვე იწყებს უონვას ნელნელა (ა. წერ.).

XIX. მძიმე ქვემდებარესა და შემასმენელს შორის

ქვემდებარე შემასმენლისგან მძიმით საერთოდ არ გამოიყოფა. გამონაკლისს წარმოადგენს ისეთი შემთხვევა, როდესაც ქვემდებარის ფუნქცია ეკისრება განსაზღვრების როლში მოსალოდნელ ზედსარ-

თავ სახელს ან მიმღეობას და მომდევნო შემასპენლისგან მძიმით გამოიყოფა, ვინაიდან მძიმის გარეშე აზრი ასეთი წინადადებით შეიძლება სწორად ვერ გადმოიციეს. მაგალითად, წინადადებაში:

უცნობი, ქალი აღმოჩნდა. ზედსართავი სახელი „უცნობი“ გამოყენებულია ქვემდებარედ. მის შემდეგ რომ მძიმე არ იყოს დასმული, ის მომდევნო სიტყვის — „ქალის“ განსაზღვრებად გაიგებოდა და წინადადების აზრი სხვა იქნებოდა. ასევე წინადადებაში:

...მოულოდნელი ბედნიერებით გულშემოყრილი, მშობლის გაშლილ ხელელებში ჩაეარდა (ე. გაბ.).

სიტყვა „გულშემოყრილი“ ავტორს ქვემდებარედ აქვს გააზრებული და ის რომ „მშობლის“ განსაზღვრებად არ გაეგო მკითხველს, მძიმით გამოყო.

მსგავსი მაგალითებია:

ონისე, რომელიც იყო მაყვალას გრძნობის საგანი, ქალის გათხოვების შემდეგ თავს მოტყუებულად თვლიდა და გულმოკლული, ცხვირიდან შინ აღარ შემოდისოდა (ა. ყაზბ.).

როგორც ამ უკანასკნელი მაგალითიდან ჩანს, წინადადების ასე აგება უმეტესად მაშინ ხდება, როდესაც გამოტოვებული ქვემდებარის სინტაქსური ფუნქცია ეკისრება მასთან გამოსაყენებელ განკერძოებულ განსაზღვრებას, მაგალითად, ასე:

ღამე გარეთ გატარებას დაჩვეული, მიწვა ერთ მინდორზე და დახუჭა თვალები (ა. ყაზბ.).

ფერმკრთალი და ათრთოლებული, აღვირს ძლივს იპერდა ხელში (ს. კლდ.).

§ 8. წერტილ-მძიმე (;)

როგორც ვ. რამიშვილი აღნიშნავს, წერტილ-მძიმე დაისმის წინადადების ბოლოს და აღნიშნავს ისეთ შესვენებას (პაუზას), რომელიც წერტილით აღსანიშნავზე ნაკლებია და მძიმით აღსანიშნავზე მეტი*. ასეთია წერტილ-მძიმის ფუნქციის ზოგადი ახსნა.

წერტილ-მძიმე გამოიყენება სხვადასხვა ტიპის წინადადებაში.

I. წერტილ-მძიმე დაისმის შერწყმულ წინადადებაში გავრცობილი სახის უკავშირო ერთგვარი წევრების ერთმანეთისგან გამოსაყოფად უმთავრესად მაშინ, როცა მასში მძიმეები არის დასმული.

მაგალითები:

ჩემს ყოფას მალე შევეჩვიე მე, კიდევ ვლხინობდი, კიდევ ვმღე-

* ვ. რამიშვილი, პუნქტუაციის სწავლების მეთოდთა, 1954 წ., გვ. 71.

როდს; ჩემს სახლ-კარზედა არც დღე, არც ღამე აღარ ვფიქრობდი, არ ვლონდებოდი (ი. ქავჭ.).

მთებს ჩაუცვიათ შავები, კმუნვით დასცქერენ ხეებებსა;

ცივს ნიავს შესთავაზობენ უფსკრულს მოარულს დევებსა;

ტყისთვისაც ძაძა ჩაუცვამს სიბნელეს დანატევებსა (ე. ფშავ.).

ის ბიჭი თავაუღებლივ კითხულობდა; ხან ჩაიცინებდა, ხან ისევ გაუცინებლივ დასცქეროდა მუხლებზე გადაშლილ ნაწერსა (ი. ქავჭ.).

მწვანე, ქოჩორა ტყიდან დაიძრა გრილი და წმინდა ნიავი, ჩამოურბინა მთის ფერდობს და მასზე მოფენილ ყვავილებს გაუთამაშ-გამოუთამაშა; ყოველ მათგანს მოსტაცა სურნელება, აურია იგინი ერთმანეთში და, საოცნებოდ შეზავებული, გამოაქროლა მინდვრისაკენ (ნ. ლომ.).

დედობილმა და მამობილმა მცირე მიწის მქონებელ შვილობილს ცოლის მოყვანაზე საჩუქრად თავს გადააგდეს ოთხ ქცევამღე მიწა, სამოსახლო და საყანე; მზითვად აღებული ფულის ნაწილით აყიდვინეს კიდევ ადგილი, აყიდვინეს სახლი, მოუტანეს და დაუდგეს ნაჩუქარ ადგილში; მოუწყვეს ხულა, ბედელი, სამზარეულო, საბძელი—ერთი სიტყვით, ყველაფრით გაუმართეს ხელი (დ. კლდ.).

II. წერტილ-მძიმით გამოიყოფა ერთმანეთისგან შერწყმული წინადადების ერთგვარი წევრები თავიანთი დამოკიდებული წინადადებებით, მაგალითად:

საბჭოთა ადამიანის განკარგულებაშია უახლესი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საწარმოები, სადაც იგი ქმნის სახალხო დოვლათს; თვალუწვდენი მინდვრები, სადაც იგი იმორჩილებს ბუნებას; სამეცნიერო დაწესებულებანი, სადაც იგი წინ წევს მეცნიერებას; ულამაზესი კურორტები, სადაც იგი ისვენებს; თეატრები და კულტურის სახლები. სადაც იგი ერთობა.

ამის მსგავსად წერტილ-მძიმით გამოიყოფა ერთმანეთისგან თავიანთი დამოკიდებული წინადადებებითურთ მთავარ წინადადებაში განმეორებულ შემასმენლებიც, რომლებიც აზრობრივი თანმიმდევრობის გამოსახატავად იხმარება, მაგალითად:

ვადღეგრძელოთ, ვინც გუშაგობს დიდ სამშობლოს კართან;
ვადღეგრძელოთ, ვინც მინდორში რკინის გუთანს მართავს!
ვადღეგრძელოთ, ვინც განაგებს მართალ ხალხის სინდისს;
ვადღეგრძელოთ, ვინც მზისაკენ შეუპოვრად მიდის (მ. მიქ.).

შენიშვნა: მეორედ გამოცემულ ვარიანტში ავტორს წერტილ-მძიმის ადგილი ნაწილობრივ შეცვლილი აქვს.

III. წერტილ-მძიმე დაისმის უკავშირო რთულ თანწყობილ წინადადებაში შემავალი გავრცობილი წინადადეგების ერთმანეთისგან გამოსაყოფად, თუ მასში გამოყენებულია მძიმეები, ან ისეთი წინადადეგების გამოსაყოფად, რომელნიც ერთმანეთთან აზრობრივად მჭიდროდ არ არის დაკავშირებული.

მაგალითები:

იქ შენი მზეა, შენი თოვლია, შენი გვარ-ტომის გასახარები; ევფრატის წყლამდე გაფანტულია ჩვენი ქვითკირის ნასახლარები (ი. აბაშ.).

რა სავსეა ჩვენი მხარე, რას არ ნახავს კაცის თვალი; ყოველ მხრიდან დაბრუნდები სილამაზის ეშხით მთვრალი (ი. აბაშ.).

რა დამღლის, რა დამაბერებს ჰანგთა საუნჯის მფლობელსა; ხალხმა მშვა, ხალხი მამლერებს, მარად გულგაუქრობელსა (გ. ქუჩ.).

პატარა ბუხრიან ოთახში ერთ კედელთან საწოლი იყო, მეორე კედელს ჩაყოლებული იყო ვიწრო ჩამოსაჯდომი ტახტი; სინათლე შემოდოდა პატარა, მაღლად დატანებული ფანჯრიდან (დ. კლდ.).

სადამოკემური ბინდბუნდი ნელ-ნელა ეხეცოდა ბარ ალაგს, თოვლით მოსილი მაღალი მთის წვეროები კი აქ დროს მზიარულად კაშკაშებდნენ: დამავალი მზის სხეადასხვა ფეროვანი სხივები უხვად მოკფენოდნენ მათ და ბადებდნენ რაღაც საოცარ ელვარებას (ნ. ლომ.).

შენიშვნა:

შეიძლება ერთ და იმავე წინადადებაში წერტილ-მძიმე გამოყენებული იყოს სხვადასხვა დანიშნულებით: როგორც ერთგვარი წერტილების, ისე წინადადეგების ერთმანეთისაგან გამოსაყოფად, მაგალითად:

ამას მოყვებოდა საქათმე, საბატე, სალოკე; იქით თორნე, მარანი და სანადირო ძაღლების სახლი; განაპირაზე იდგა ორი ორ-ორსართულიანი ხულა, მუდამ სავსე სიმინდით, ღომით, პურით და ფეტვით; ეზოს შორეულ კუთხეულში მოზრდილი შენობა—კამეჩების სადგომი (დ. კლდ.).

იმას აუ-რ-ჩაუარა ემაწვილებს, ვის სახელი ჰკითხა, ვის გვარი; ზოგს გაეხუმრა, ზოგს ოასცინა; თვითონაც ჩამდენჯერმე გადაიხარხარა; მერე გაიყვანა დიტო... (გ. წერ.).

IV. წერტილ-მძიმე იხმარება გავრცობილი სახის ერთგვაროვანი ანუ თანადამოკიდებული წინადადეგების ერთმანეთისგან გამოსაყოფად რთულ ქვეწყობილ წინადადებაში.

შ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

მისთვის მიყვარხარ, რომ შენ ხარ ქალი, ქეშმარიტების გოდნობით აღვსილი;

რომ აასრულე მშობლობის ვალი და გამოზარდე მამულიშვილი
(ა. წერ.).

ვაუკაც იგია, ვინც მართალს ეტყვის ქვეყანას მცდომსაო;
ვინც არ შეუდრკა მრავალსა, ხშირად მართლისთვის მწყრომსაო;
ვინც კრავს უმანკოს ეკრძალვის და პირში უდგას ლომსაო

(ი. ჭავჭ.).

განშორებია ვით ცოდვის სადგურს, ვით სამეუფოს ბოროტისასა,
სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს განსაცდელსა მას ეშმაკისასა;
სად ცოდვა კაცსა სდევნის დღე-და-ღამ. ვითა მპარავი და მტაცებელი;

სად, რასაც ჰხადის მართალი მართლად, მას უმართლობად ჰქმნის ცოდვის ხელი;

სად რყვნა, წაწყმედა და ღალატია, სადაც ძმა ჰხარბობს სისხლსა ძმისასა... (ი. ჭავჭ.).

ზემთ დავასახელეთ ისეთი მაგალითები, სადაც დამოკიდებული წინადადებები არის მთავრის მომდევნო, მაგრამ შეიძლება ისინი მთავარი წინადადების წინაც იყოს დასმული, მაგალითად:

რაც ბავშვობის გარიყრაუზე ზღაპრად გამიგონია,
რაც ოდითვე ამშვენებდა ახალგაზრდულ სიზმარეთს;
რაც ქუხილით მალაღ მთიდან ქარს მოჰქონდა გოლიათს,
რაც მზესავით მახარებდა ყოველდღე და ცისმარე;
რაც ჰკვიანურ წიგნებს უთქვამთ მზეფერილი ფურცლებით,
ჩვენი ყოფნის კალაპოტში რაც მდინარე მოღელავს;
რაც სიცოცხლეს სხივად ახლავს უქნობი და უცვლელი,
რაც გულიდან მოხეთქილა მორაკრაკე სიმღერად;
რაც თან დაჰყვა ფოთოლთ შრიალს, რაც ყვავილში აღმურებს
ეს შენია, ეს შენია, საყვარელი მამულო! (მ. მიქ.).

ამ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში ავტორს წერტილ-მძიმით ორ-ორი დამოკიდებული წინადადება აქვს გამოყოფილი და ეს ბუნებრივია, რადგანაც თითოეულ მათგანში მძიმე არ არის და ამის გამო მათი ცალ-ცალკე წერტილ-მძიმით გამოყოფა სწორი არ იქნებოდა.

ზოგჯერ რთული ქვეწყობილი წინადადება ასეა აგებული: დამოკიდებული წინადადებები დასმულია მთავარი წინადადებების წინ და შუა. ასეთი წინადადებების წაკითხვისას აზრის გაგების გასაადვი-

ლებლად მეორე დამოკიდებულის წინ საჭიროა წერტილ-მძიმის დასმა, მაგალითად:

თუ მონადირეებს დააგვიანდებოდათ ნანადირევის მოტანა, მღვიმეში დარჩენილნი მიდიოდნენ ბალახის ძირებისა და ჭიადუის საძებნელად; რასაც იშოვიდნენ, ჭამდნენ (ნ. ნაკაშ.).

V. წერტილ-მძიმე დაისმის გავრცობილი სახით წარმოდგენილი ერთგვარი წევრების ან წინადადებებად მოცემული საკითხების ჩამოთვლის დროს (უმათავრესად გეგმასა და თეზისებში)

მაგალითები:

— ეის მოგილოცოთ სახელი, ვინა ხართ სახელიანი?

— პირველ — ობოლი კვირია, სახე აქვს ნათელიანი;

მეორე — ლელა ბაჩლელი, ქალი ხელ-ფარტენიანი;

მესამე — ბერი ლუხუმი, კურთხეულ გამდელიანი;

მეოთხე — ხოშარეული, არწივი მხარ-კვერიანი;

მეხუთე — გივი სუმელჯი, მოგვყავის ნაჭრევიანი (ვ. ფშავ.).

§ 9. ორწარბილი (:)

I. ორწერტილი დაისმის შერწყმულ წინადადებაში შემკრები ანუ განმაზოგადებელი სიტყვის შემდეგ, როცა ამ უკანასკნელს მოსდევს ერთგვარი წევრების ჩამოთვლა:

შემკრებ სიტყვად იხმარება სრულმნიშვნელოვანი ყველა მეტყველების ნაწილი. მისი დანიშნულებაა განზოგადებულად, გაერთიანებულად გამოხატოს მომდევნო ან ნამდვილი ერთგვარი წევრებით გადმოცემული მნიშვნელობანი. შემკრები სიტყვებია:

ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი: ყველა, ყველანი, ყოველი, ყველაფერი, ... ჩვენ, თქვენ, ისინი... არავინ, ვერავინ, ნურავინ;

მრავლობითში დასმული გვარობის აღმნიშვნელად გამოყენებული საზოგადო არსებითი (ან გაარსებითებული) სახელები: კაცები, ქალები, ბავშვები, ექიმები... ქალაქები, სოფლები, მთები, ტბები, მდინარეები, მცენარეები, ლითონები, ცხოველები, მწერები... მასწავლებლები, მოსწავლეები, მშენებლები, გამყიდველები...

კ რ ე ბ ი თ ი ა რ ს ე ბ ი თ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი: გუნდი, ჯოგი... მცენარეულობა, ბოსტნეული, ავეჯი, იარაღი, ხეხილი...

გ ა ნ ს ა ნ დ ე რ ე ბ ა დ გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი რ ი ც ხ ე თ - ს ა ხ ე ლ ი ა ნ ი ან ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი ა ნ ი ა რ ს ე ბ ი თ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი: ხუთი კაცი, ყველა მოსწავლე, სხვადასხვა შენობა...

რ ი ც ხ ე თ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი: ორი, სამი, ხუთი... ორნი, სამნი, ხუთნი... ორივე, სამივე, ხუთივე...

ნაცვალსახელური მნიშვნელობის ზმნიზებები: ყველგან, ყოველთვის, არსად, ვერსად, ნურსად, არასდროს, ერასდროს, ნურასდროს...

შემკრებ სიტყვას შეიძლება ახლდეს მეშველი ზმნა, მაგალითად: ოსტნეულია, იარაღია, ავეჯია... მცენარეებია, ნივთებია, ხელსაწყო-ია... ორია, ხუთია... ყველაფერია, ესაა... ყველგანაა, ყოველთვისაა; ტუდენტები არიან, მოსწავლეები არიან... ესენი არიან, ყველანი არიან და სხვ.

მაგალითები:

1) როცა შემკრები სიტყვა ნაცვალსახელია:

ყველა ლექსოს აქებდა, ყველა მას შეჰხაროდა: დიდი და პატარა, ალი და კაცი... (ი. გოგ.).

უპ, ყველანი მოსულან: ნიკა, ჯაჭუ, თამრიკო, ნუცა (ნ. ნაკაშ.).

ყველაფერი მოეწონა ეთერიკოს: პურიც, ფლავიც (ნ. ნაკაშ.).

აქ, ამ პატარა ახმეტაში, ყოველიფერი მალამოდ ეცხება ჩემს გრძნო-ა-გონებას: მიწა, წყალი, მთა, კლდე, ტყე და ველი... (ა. წერ.).

(ახლა ვამბობთ: ყველაფერი და არა: ყოველიფერი).

სოფელი ძალა იმიტომ იყო, რომ ყველაფერი ხელს უწყობდა, უმარ-იავდა: მთა, ტყე, წყალი, თვით მისნი წვევრნი და თვით გარს შემორ-ცმულნი მტერნი (ვ. ფშავ.).

1) როცა შემკრები სიტყვა მრავლობითში დასმული ან კრებითი არსებითი სა-ლია:

მე თანა მყვანან რკინისა ძმები: ჩემი სიათა, დამბაჩა, ხმალი (ი. ქავჭ.).

(ახლა ვამბობთ: მყავს და არა: მყვანან).

არა, ხეები: არყი, წიფელი, თხილი, თხმელი, დუდგულა გარშემო ხევეიან და მყარაულობენ... (ვ. ფშავ.).

მოსკლოდნენ მოკეთებები: კრუხნი, მამლები, ვარია, ნათესაეები ზუხისა, მთელი იმისი გვარია (ვ. ფშავ.).

ამას იძახდნენ სტუმრად მოწვეულნი ფრინველნი: ჩხიკენი, ქერო-ები, წიპრიები, ნიბლიები, კაკბები, გნოლები, ღობემძვარალები, ბო-ოცეცხლები, ჭივჭაენი, კოდალები, გვრიტნი და სხვანი მრავალნი (ვ. ფშავ.).

ნათელ გვირგვინად მოჩანან კახეთის მხსნელი გმირები: ელიზბარ, ალვა, ბიძინა, მტარელისგან დატანჯულები! (გ. ორბ.).

კოლხეთის ტყეებისათვის დამახასიათებელია შემდეგი ჯიშები: ცხილა, მუხა, წიფელი, წაბლი, მურყანი და სხვ.

მოვიდა ჯოგი ნადირთა ანგარიშმიუწოთმელი: ირემი, თხა და კანკარი. ჭურციკი მალლა მხტომელი (რუსთაველი).

მ) როცა შემკრებ სიტყვად გამოყენებულ არსებით სახელს მსაზღვრელად ახლავ ჩაოდენობის აღმნიშვნელი სახელი:

მოვიდა ორი ცხენოსანი: ერთი ქალი და ერთი კაცი (ე. ნინ.).

ამ სასიქაღულო ქვეყნის სამსახურში ყველაზე მეტად დაწინაურებულია ორი მნათობი: ცისკარი და ხარისთვალა (ი. გოგ.).

სამი რამ უნდა მიყვარდეს: სწავლა, შრომა და გმირობა (ი. გრიშ.). წინააღმდეგ ამისა, იგი დაყოფილი იყო რვა ნაწილად: სამ სამეფოდ და ხუთ დამოუკიდებელ სამთავროდ (ი. გოგ.).

რამდენიმე ლამაზი ადგილი იყო სოფელში: კატისწვერას გადასახედი, თამარის ციხის ნანგრევები, ლეხემურას წიფლნარი (კ. ლორთქ.).

სამი კუთხით სხვადასხვა შენობა ერტყა: სამოახლო, საფარეში სახაბაზო, სამხარეულო, ბელღები, საბძღები, სასიმინდეები, მარან და სხვადასხვა ხულა (ა. წერ.).

ეს ვაჟკაცი იყვნენ: ალაბაბ ერისთავი, სვიმონ მუხრანბატონი და ხუდია ბორჩალოელი (ი. გოგ.).

4) როცა შემკრებ სიტყვად გამოყენებულია რიცხვითი სახელი:

ყოველ დილას, ჩაის შემდეგ, სამივენი: არიშკა, ბიჭიკო და მე მივდიოდით ბაზარში სანოვაგის საყიდლად (ნ. ნაკაში).

ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე: მე და ღამე, მე და ღამე! (გ. ტაბ.).

5) ორწერტილი დაისმის სიტყვების: „როგორიცაა“, „მაგალითად“, „ესე იგი“ „სახელდობრ“—შემდეგ, როცა ამ სიტყვებს მოსდევს ჩამოთვლა:

ტყეებში მოიპოვება ისეთი ძვირფასი ხის ჯიშები, როგორიცაა: ბზწაბლი, უთხოვარი (წითელი ხე), წიფელი და სხვ.

არის აგრეთვე სამკურნალო მცენარეებიც, როგორიცაა: შხამფუტკარა, წითელი გვირილა და სხვ.

დააწყო შიგ გასაყიდად ისეთი რამეები, რაც სოფლისთვის მიუცლებელ საჭიროებას შეადგენს, მაგალითად: ხმელი თევზი, მარილნავთი, საპონი, სანთელი და სხვ... (ე. ნინ.).

ჩვენ უკვე გავეცანით ქართული ენის ძირითად კილოებს, ესე იგი კახურს, ქართლურს, იმერულსა და გურულს.

შარშან დავათვალიერეთ აღმოსავლეთი საქართველო, სახელდობრ ფშავ-ხევსურეთი, კახეთი და ქართლი.

6) ორწერტილი დაისმის ჩამოთვლილი ერთგვარი წევრების წინ, როცა შემკრებ სიტყვად გამოყენებულია ზმნიშვალი:

წელს ყველგან: კახეთში, ქართლში, იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში კარგი მოსავეალი გვაქვს.

ისინი ყოველთვის: გაზაფხულზე, ზაფხულში, შემოდგომაზე და ზამთარში დაუღალავად შრომობდნენ.

იგი ავადმყოფობის გამო არსად არ დადიოდა: არც ბაღში, არც ხლევაზე, არც კინოში.

II. ორწერტილი ზოგჯერ იხმარება ერთგვარი წევრების წინ დასჯული შემასმენლის ბოლოსაც, თუ ეს შემასმენელი მრ. რიცხვშია და ამოთვლილი წევრებისგან შედარებით ხანგრძლივი პაუზითაა გაქოსაყოფი.

მაგალითები:

საზამთროდ თავს გვანებებენ: გუგული, ბულბული, მერცხალი, გაჩეული იხვი, მწყერი, ტროლოა, წერო, გარეული ბატი, შროშანი და ილდე სხვანი (ი. გოგ.).

ჩვენთან ზამთარში რჩებიან: არწივი, ჩიტი ალალი, ბუ, კოტი, ყვავი, აქკაქი, კირკიტა და სხვები (ი. გოგ.).

მაგრამ, საერთოდ, ერთგვარი წევრების წინ დასმულ შემასმენელთან, როცა შემკრები სიტყვა არ გვაქვს, ორწერტილი არ იხმარება.

ასევე ორწერტილით გამოიყოფა ოქმში სახმაო-ის სიტყვა „დაადგინეს“. სიტყვა „მოისმინეს“ უშუალოდ უკავშირდება მომდევნო სიტყვებს შემასმენლად და ორწერტილი მის შემდეგ არ დისმის. დაადგინეს შემასმენლის ბოლოს ი ორწერტილის დასმა აუცილებელია.

III. ორწერტილი დაისმის უკავშირო რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მოუბრის სიტყვების შემდეგ, როცა მას მოსდევს სხვისი ათქვაში (ან ციტატი):

ლადო ამბობს: „ჩვენს დიდ ბაღში გაიკეთა შაშვმა ბინა“ (ი. გრიშ.).

რეზომ უთხრა: „მე კი მიყვარს ჩიტუნების მოძახილი“ (ი. გრიშ.).

მეკივლა: „მითხარ, ვინა ხარ შენა?!“ (ი. ჭავჭ.).

ხალხს უთქვამს: „ხშირად გვეწვიოს მთის შვილი, ბარის ძმობილი“ (გ. სამხ.).

მე კი დავრუმებულვარ და გამიფიქრია: „კმაყოფილება კაცის მომაკვინებელი სენია“ (ი. ჭავჭ.).

გულისფანცქალით ვკითხავდი: „შენ ხომ არა ხარ სულიკო?!“ (ა. წერ.).

შეხვეწა: აბა ჩქარა მოამზადე ვახშამიო (ა. წერ.).

რიტორიკაში წერია: ყველაფერი შესავლით უნდა დაიწყოს კაცმაო (ი. ჭავჭ.).

უთხარიო: ის მიწაა-თქო (შ. არაგვ.).

ჩვენებიანთ თევდორეს გადასძახე: სადილად გვეწვიე-თქო (ნ. ლომ.).

მე გამიკვირდა და ვკითხე: რა გატირებს-მეთქი? (ა. წერ.).

ვთქვი ჩემს გულში: ამ კაცს ეს რა ემართება-მეთქი (ი. ჭავჭავაძე.).

შ ე ნ ი შ ე ნ ა: 1. მოუბრის სიტყვების შემდეგ ორწერტილი არ დაისმის, თუ სხვისი ნათქვამის წინ ვიხმართ მაქვემდებარებელ კავშირს, ე. ი. სხვის ნათქვამიან წინადადებას გადავკეცვით ჩვეულებრივ კავშირიან ქვეწყობილ წინადადებად. ეს ნათლად ჩანს წინადადების შემოღები ორი ფორმის შედარებიდან:

ა) შოთა რუსთაველმა თქვა: ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნელდალო.

ბ) შოთა რუსთაველმა თქვა, რ ო მ ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნელდალო.

2. მოუბრის სიტყვების შემდეგ, თუ სხვისი ნათქვამი ცალკე არ არის მოცემული სხვა სტრიქონზე, ორწერტილის ნაცვლად შეიძლება ვიხმართ მძიმე, მავალითად. დედამაც ხომ თქვა, გაზაფხულზე გააფრინეთო (ლ. ქიაჩ.).

ამბობენ, კეთილიაო! (ლ. ქიაჩ.).

აქი ვითხარი, ზღაპარში იტყვიან-მეთქი (ლ. ქიაჩ.).

IV. ორწერტილი დაისმის უკავშირო რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარი წინადადების შემდეგ, როდესაც მომდევნო წინადადება გამოხატავს მოქმედების მიზეზს, მიზანს ან შედეგს იმისას, რაც ნათქვამია მთავარში

1) როცა დამოკიდებული წინადადება გამოხატავს მიზეზს იმისას, რაც ნათქვამია ასახსნელ ანუ მთავარ წინადადებაში. შეიძლება გამოვიყენოთ მიზეზის აღმნიშვნელი მისათითებელი სიტყვა და კავშირები: „იმით, რომ“, „იმის გამო, რომ“, ან კავშირი „რადგანაც“.

მაგალითები:

სადილმა მეტად უგემურად ჩაიარა: სამაშვლოს დაკარგვის შიშმა მოუსვენრობაში ჩააგდო სოლომანი (დ. კლდ.).

ესენი კმაყოფილნი იყვნენ: ვალი ამათ არ ემართათ და ვახში

(ი. ჭავჭავაძე.).

გოჩა ამ მხრით რაოდენადმე დამშვიდდა: იმისი შვილი ცოცხალი იყო და ვაჟკაცადც ეჩვენებინა თავი (ა. ყაზბ.).

მიწაზე ფეხს აღარ ვაკარებდი: ცა ქუდად არ მიმაჩნდა და დედამიწა ქალამნად! (ა. წერ.).

შორით მოესმათ ქართველთ კიყინა: იცნეს ჯოჯიკის ხმა და იამათ (ა. წერ.).

ტარიელი მაინცდამაინც ვერაფერი მომლხენი იყო: არც სიმღერა იცოდა ხეირიანი და არც ცეკვა (ე. ნინ.).

2) როცა დამოკიდებული წინადადება გამოხატავს მიზანს იმისას, რაც ნათქვამია ასახსნელ ანუ მთავარ წინადადებაში. შეიძლება

გამოვიყენოთ მისათითებელი სიტყვა და კავშირი ი მ ი ს თ ვ ი ს ,
რომ:

წვერხმელი ხეებიც მე დამხარიან ზევიდან, თვითონ თავშიშველნი,
ტოტებს მე მაფარებენ ჩვენს იას არ შეგვიცივდეს ან არაფერმა არ აწყი-
ნოსო (ვ. ფშავ.).

ყვავს ბახალა მოუკვდა, ბუს მიუგდო: თავი დიდი გაქვს, შენ იტი-
რე და თავში იეციო (ანდაზა).

[კულა ხარი] ხან ერთ ხართან მივიდოდა, ხან მეორესთან: ეგების
იმთი გრძელი კული მომხვდეს და ბუზები დამიფრთხოსო (ი. გოგ.).

3) როცა დამოკიდებული წინადადება გამოხატავს შედეგს იმი-
სას, რაც ნათქვამია ასახსნელ ანუ მთავარ წინადადებაში. შეიძლება გა-
მოვიყენოთ კავშირებად—„ამიტომ“, „ამის გამო“; „ასე რომ“, „ამის
შედეგად“:

თურმე ბულბულიც ამას უცდიდა: თავისებურად იწყო მან სტვენა
(ა. წერ.).

საწყალი პეპია გზაზედ ძალიან ავად გახდა: აღარცა ჭამდა, აღარც
სვამდა და აღარც სმას იღებდა (ი. ჭავჭ.).

ალარ უნდოდათ შერცხვენილიყვნენ: თავი შესწირეს ბრძოდნენ გმი-
რულად... (ა. წერ.).

ნახევარი საათის შემდეგ მისი ბუნება უკვე შეეჩვია ახალგარემოე-
ბას: გული დაუმშვიდდა, ტვინში უწყო გამოფხიზლება (ნ. ლომ.).

**V. ორწერტილი დაისმის უკავშირო რთულ ქვეწყობილ წინადადე-
ბაში ისეთი დამოკიდებული წინადადების გამოსაყოფადაც, რომე-
ლიც გამოიყენება ახსნა-განმარტებისათვის, ე. ი. რომელიც გამოხა-
ტავს დამატებით ცნობებს და აზუსტებს წინამავალი მთავარი წინადა-
დების ან მისი წვერის შინაარსს. ასეთ რთულ ქვეწყობილ წინადადე-
ბაში მთავარსა და დამოკიდებულს შორის შეიძლება ვინმაროთ სი-
ტყვა „ესე იგი“ ან „სახელდობრ“.**

1) როცა დამოკიდებული წინადადება ახსნა-განმარტებისთვის ახ-
ლავს წინამავალ მთავარ წინადადებას და ვერცლად გადმოგვცემს მის
შინაარსს: შორს აღარ წავსულვართ: იქვე ახლო ყანის პირად ჩავსხვდით
(ნ. ლომ.).

ორ რიგად დადგნენ ბიჭები: წინა რიგში იდგნენ თოფიანები, უკანაში—
ცულიანები (ნ. ლომ.).

ხალხი გაიფანტა: ზოგი დუქანში მიდიოდა დამის გასათევად, ზოგი კი-
დეე—ნაცნობ მდუქნესთან (ე. ნინ.).

ვანო თამამი და გამბედავი იყო: არც მგლის ეშინოდა, არც ტურისა
არც ძაღლების! (ლ. ქიაჩ.).

შრომაში სპირიტონი მეტად მხნე იყო: თავდადებით შეცადინებოდა სკოლაში (ე. ნინ.).

2) როცა დამოკიდებული წინადადება ახსნა-განმარტებისთვის ახლავს წინამავალი მთავარი წინადადების რომელიმე წევრს და ვრცლად გადმოგვეცემს მის შინაარსს:

ხმამ გაიელვა ფართო ხნულზედა: გაუმარჯვიათ ომში წასულებს (ს. შანშ.).

დადუმებულა მთაწმინდა, ისმენს დუღუნსა მტკერისასა:

მდინარე ნანას უმღერის რაინდსა, ურჩსა მტრისასა (ა. წერ.).

ერთბაშად გაისმა გაგრძელებული სტვენა: ეს რომელსამე მოუსვენარს შურთხს ეგრძნო გათენების სიახლოვე ან სიზმრად ტოლი მოლანდებოდა (ა. ყაზბ.).

მხოლოდ ერთი ჭაერი ედოთ გულშია: შვილი არ ჰყავდათ (ი. ქავკ.).

გაიხედეს შორს მინდვრისკენ და რაღაცას მოჰკრეს თვალი:

ძირს შავად და მალა ღრუბლად მათკენ იყო მომავალი (ა. წერ.).

VI. ორწერტილი დაისმის ისეთი ასახსნელი წევრის შემდეგაც, რომელსაც მისი კონკრეტული შინაარსის გადმოსაცემად მოსდევს იმავე შინაარსის ამხსნელი წინადადება, მაგალითად:

სარღლებს გადასცა მისი ბრძანება: „გზას ნუ შეუკრავთ გაჭირვებულებს! დეე, გაიქნენ, მიეცით ნება“ (ა. წერ.).

მამამ თქვა ანდაზა: „ბედაური ცხენი მათრახს არ დაიკრავსო“.

ახსენით გამოცანა: „დავაბამ—დადის, ავეშვებ და დვას“.

საშინაო დავალება: ამოწერეთ მოთხრობიდან ხუთი მარტივი წინადადება.

შოთა რუსთაველის ერთ-ერთი აფორიზმია: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი“.

შენიშვნა: ზემოთ დასახელებული სახის წინადადებაში ორი წერტილის ნაცვლად ხშირად გვხვდება ტირე, მაგალითად:

გაბურტულან ც ე ლ ქ ე ბ ი — და თ ი კ და მ უ რ ი ა (ი. გრიშ.).

საყვარელო ბავშვებო! ნუ წაბაძავთ ა მ გ ვ ა რ ე ბ ს—მ ე დ ი დ უ რ ე ბ ს, მ ო ჩ ხ უ ბ რ ე ბ ს, ც უ ლ ლ უ ტ ე ბ ს და ც ა ნ გ ა ლ ე ბ ს (ი. გრიშ.).

და სხვა, მაგრამ ასეთ შემთხვევებშიც სჯობს ვიხმაროთ ორწერტილი (იხ. § 86).

VII. ორწერტილი დაისმის ავტორის სიტყვების შემდეგ, რომელსაც მოსდევს ციტატი, მაგალითად:

შოთა რუსთაველი ამბობს:

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის
თავი ჰირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის,
სიყვარული — გზად და ხიდად“.

აკაკი წერეთელი გვასწავლის:

„კაცი მაშინ გრძნობს მხოლოდ სიცოცხლეს,
როცა ისრულებს, რაც ენატრება“.

ვაჟა-ფშაველა ასე ამხნევებდა თანამემამულეებს:

„ვაუკაცს არ შეენის ცრემლის ღვრა,
ტირილი დიაცურადა,
მტერს ხმალი უნდა საფრთხულად,
კვალზე მიყოლა მგლურადა“.

§ 10. ტ ი რ ე (—).

ტირე ხშირად იხმარება წინადადებებში. მისი გამოყენება მრავალფეროვანია განსაკუთრებით იმის გამო, რომ მას უმეტეს შემთხვევაში მძიმის ან ორწერტილის (ზოგჯერ კი ფრჩხილების) ნაცვლად წერენ.

I. ტირე დაისმის ქვემდებარესა და სახელით გამოხატულ შემასმენელს შორის, როცა გამოტოვებულია საერთო ანუ მეშველი ზმნა.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

მ ა რ ტ ი ე წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა შ ი

ჩემი სახელი — დავითი, გვარი — ცაგარული.

ორჯერ ხუთი — ათი.

რუსთავი — ქიმიური მრეწველობის ცენტრი.

მცხეთა — ქართლის მატთანე (ი. აბაშ.).

მცხეთა — ძველი საქართველო (ი. აბაშ.).

დედინაცვალი — თვალში ნაცარი (ანდაზა).

ბევრი ლაპარაკი—ბევრი თავის ტკივილი (ანდაზა).

დედაკაცის შარიო — მოვარდნილი ღვარიო (ანდაზა).

შ ე რ წ ყ მ უ ლ წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა შ ი

ერთობა ჩვენთვის ტანტია, მტრებისთვის—სახრჩობელაო! (ა. წერ.).

ელფერობით ვარდი არის, სინაზით კი—მორცხვი ია (ა. წერ.).

ნათელა ჩემი დეიდაა, გურამისა კი — მკვიდრი და.

ეს ქვეყანა ზოგისთვის დედაა, ზოგისთვის კი — დედინაცვალი (ანდაზა).

რ თ უ ლ თ ა ნ წ ყ ო ბ ი ლ წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა შ ი

სიოჲა თესლია. საქმე — ნაყოფი! (ა. წერ.).

ჩემი ხატია სამშობლო, სახატე—მთელი ქვეყანა.

ავადმყოფობა ბევრაა, ჯანმრთელობა — ერთი (ანდაზა).

ცოონა სინათლეა, უცოდინარობა — სიბნელე (ანდაზა).

საშოვარი კარგია, ნაშოვარი — ძვირფასი (ანდაზა).

თოკი გრძელია კარგი, სიტყვა კი — მოკლე (ანდაზა).

ერთი შვილი — დობეს ჩხირი, ორი შვილი — ვითომ შვილი, სამი შვილი ცოტა შვილი, ოთხი შვილი მართლა შვილი (ანდაზა).

II. ტირე დაისმის წინადადებაში გამოტოვებული შემასმენლის ნაცვლად

1) შერწყმულ წინადადებაში

ჩვენ მტერს მტრულად ვეკიდებით და მეგობარს—მეგობრულად (ი. გრიშ.).

ავს ავად გახსენებენ, კარგს—ქებით და დიდებით (ი. გრიშ.).

ტრფობა გვქონდა გულში აბჯრად და სატეერად — ხმალი ხელში (ი. ჭავჭავაძე).

ვხედავდი მალლა ცას ნათულსა და მშვენიერსა, დაბლა მიწაზედ — ერს მშრომელსა და ბედნიერსა (გ. ორბ.).

ყმაწვილებს სათამაშოებით იტყუებენ, მოზრდილებს—ფიცითაო.

(ანდაზა).

2) რთულ თანწყობილ წინადადებაში

მწყერს მიმინო შეუშინდა, კურდღელს—მწვევარ-მეძებარი (ა. წერ.).

რკინას ცეცხლი აფოლადებს, ადამიანს — განსაცდელი (ა. წერ.).

წინანდალს ვაზი ამშვენებს, ახმეტას — ვაშლი წითელი (გ. ტაბ.).

ამას მოსძახა მეორემ, მეორეს — მესამემ... (ნ. ლომ.).

ზოგი ასო უთოსა ჰგავს, ზოგი კიდევ—ჩიტის ბუდეს და მიყრილი სტრიქონები — ძველი სახლის აბლაბუდებს (ი. გრიშ.).

კატამ — თავვი, თავგმა — მიწა, მიწამ — ჟანგი, ჟანგმა — თოფი, თოფმა — მგელი, მგელმა — თხა, თხამ ვენახი შეჭამა (ხალხური).

შენიშვნა: ტირე შეიძლება გვქონდეს მართვ წინადადებაშიც გამოტოვებული შემასმენლის ნაცვლად, მაგალითად:

„ნ საათზე — აბჯანის გათბობა“ (ლ. შვერ.).

III. ტირე დაისმის ორ ან ორზე მეტ სიტყვას ან რიცხვს შორის, როცა ამ სიტყვებით ან რიცხვებით აღინიშნება მანძილი, დრო ან რაოდენობა და იგულისხმება გავება: იდან-მდის.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

გახსნილია საჰაერო ტრასი სოხუმი—თბილისი.

მისგან განტოტვილი რკინიგზის ხაზები (საჩხერე—შორაპანი, ჭიათურა—ზესტაფონი, ტყიბული—ქუთაისი, ქუთაისი—რიონი, წყალტუბო—ბროწეულა) ხელს უწყობენ ამ ხაზზე მდებარე რაიონების მაგისტრალურ რკინიგზასთან დაკავშირებას.

ამის საუკეთესო მაჩვენებელი იყო ბათუმის 1889—1890 წლების მუშათა გრანდიოზული გაფიცვები (ს. ხუნდ.).

ბამბუკი სწრაფმზარდი მცენარეა, 30—40 დღის განმავლობაში ის 5—15 მეტრის სიმაღლეს აღწევს.

ახალქალაქის ახლოს მდებარეობს ქართული მატერიალური კულტურის მრავალი ძეგლი, რომელთაგან III—I ათასეულ წელს ეკუთვნის ჩვ. წელთაღრიცხვამდე.

ახალციხე სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი ძველი ქალაქთაგანია (X—XI სს.).

შენიშვნა: როცა რაოდენობა ორი ციფრით არის დასაწერი, მაშინ ამ ციფრებს შორის ტირე დაისმის, მაგალითად:

— ფრთხილად, ბიჭებო, აი აქედან მოისმა, თითქოს ვიღაცამ დაიგინაო, — ჩაიჩურჩულა 15—16 წლის ბიჭმა (ა. ხახუტ.).

მაგრამ, თუ ციფრების ნაცვლად რიცხვით სახელებს დაეწერთ, მაშინ გვექნება კომპოზიტი, ანუ რთულფუძიანი სიტყვა და იგი დეფისით (შუახაზით) უნდა დაიწეროს, მაგალითად:

ერთ-ორ თვეს ცალკე დაბმასა და კარგად ქმევას უპირებენ ბაღლები მშალს (ვ. ფშაე.).

ორი-სამი კაცი ძლივს შემოუწოდენდა ხელებსა (ნ. ლომ.).

IV. ტირე დაისმის ჩვენებითი ნაცვალსახელების (ეს, ეგ, ესენი, ასეთი...) ან აი ნაწილაკის წინ, როცა ეს სიტყვები გამოყენებულია წინამავალი ერთი ან რამდენიმე წევრის (უშთავრესად ქვემდებარისა და დამატების) დასაკავშირებლად მომდევნო შემასმენელთან.

მაგალითები:

ძმის სულის მოსვენება — ეს იყო ოჯახის დარდი და ყველაზე უფრო ეს დარდი არ ასვენებდა ილიასას (დ. კლდ.).

მხოლოდ ერთი რამ აწუხებდა როგორც მაროს, ისე მის კეთილისმყოფთ — ეს იყო მარად დახუჭული თვალები (ნ. ლომ.)

მუსიკა, მხატვრობა, პოეზია — ესენი სულ სახეში გამოსთქვამენ იდეას (ი. ქაეჭ.).

შენი ჩქერების თეთრი შხეფები — ეგ ხომ ცრემლების წმინდა ბროლია! (კ. ნადირ.).

ჭურჭლის რეცხვა, ქვაბების ხეხვა, წყლის ზიდვა და ოთახების წმინდა — აი რა შეადგენდა მის მოვალეობას (გ. ქუჩ.).

ან გამარჯვება აურაცხელ მტერზე, ან გმირული სიკედილი მახვილით ხელში! — აი ის აზრი, რამაც გაიღვა ქართველის გონებაში (ს. ქვარ.).

V. ტირე იხმარება დამოკიდებული წინადადების შემდეგაც, როცა მას მოსდევს ისეთი მთავარი წინადადება, რომელიც იწყება ჩვენებითი ნაცვალსახელით „ეს“.

წუხელ რომ გითხარი გაბრიელი — ეს არის (ი. ჭავჭავ.).

ქართულ სასწავლებელში რომ ქართულს არ ასწავლიდნენ — ეს მაინცდამაინც დაუჭერებელია (ი. ჭავჭავ.).

რისთვის, რა მიზეზით, რომლის უფლებით გვთხოვდნენ — ეს ყველა გამოუჩვენებელი დარჩა (ა. ყაზბ.).

მე რომ შენზე ამტანი ვარ და უფრო გამძლე — ეს ექვს გარეშეა (მარიჯანი.).

VI. ტირე დაისმის შერწყმულ წინადადებაში ჩამოთვლილი ერთ-გვარი წევრების შემდეგ, როცა მათ მოსდევს შემკრები სიტყვა (ყველა, ყველანი, ყველაფერი, ყველგან, ორივე...).

მაგალითები:

დიდი და პატარა—ყველა ფოთისკენ გარბოდა (გ. წერ.).

ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო — ყველა ჩემი სამშობლოა, საყვარელი საქართველო (დ. მეგრ.).

აგერ მოდის მეორე, მესამე, მეოთხე—ყველანი თოფ-იარაღებიანი (ვ. ფშავ.).

გორაკების ფერდობებზე შეფენილი ჩაის პლანტაციები, ალაგ ნარინჯის ბაღები, მწვანეში გახვეული შორი სივრცე—ყველაფერი მის აღტაცებას იწვევდა (ს. კლდ.).

ტყეს, მთებს, ცას, დედამიწას — ყველაფერს მადლობას სწირავდა (ვ. ფშავ.).

სოკში, გაგრამი, გუდაუთაში, სოხუმში, ფოთში, ბათუმში—ყველგან თბილი შემოდგომა და ზამთარი იცის.

აღია და ოსმალა—ორივე თათარია! (ა. წერ.).

ტურა და მელია — ორივე ერთ გზას არიან მავალნიო (ანდაზა).

წვიმა მოდიოდა, თუ თოვლი, დარი იყო, თუ ავდარი—იმისთვის სულ ერთი იყო! (ნ. ლომ.).

VII. ტირეს ხშირად ხმარობენ ორწევრიტილის მაგიერ შემკრები სიტყვის შემდეგ, როცა ამ უკანასკნელს მოსდევს ერთგვარი წევრების ჩამოთვლა, მაგალითად:

გაბუტულან ცელქები — დათიკო და მურია (ი. გრიშ.).

ყველა ემეგობრება—ცხოველი და ბავშვები (მ. ბარათ.).

ყველგან—ქარხნებში, მალაროებში, ხალხში თქვენი ხმა მედგარი იყოს (ი. ევდ.).

ციხის ეზოში ორი ხე იდგა—ერთი მუხა და ერთი თელა (ა. ბელ.).

დათრთვილა ქამთა დენამა ორივე—ცოლი, ქმარია (ვ. ფშავ.).

ასეთ წინადადებებში შემკრები სიტყვის შემდეგ უფრო მზანშეწონილია ორწერტილის დასმა.

VIII. ტირე იხმარება ჩამოთვლილი ერთგვარი წევრების ბოლოსაც, თუ მათ მოჰყვება წინადადების გაგრძელება.

მაგალითები:

წიწვიანი ხეები: ნაძვი, ფიქვი, სოქი—ბლომად მოიპოვება საქართველოში.

მე-19 საუკუნის მოღვაწეებმა: ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, იაკობ გოგებაშვილმა—დიდად შეუწყვეს ხელი ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებას მწერლობაში.

მაგრამ ასეთი აგებულების წინადადებებში უფრო გავრცელებულია ორწერტილის ნაცვლად ტირეს დასმა. ამრიგად, წინადადებაში გამოყენებული ერთგვარი წევრები ორივე მხრიდან ტირეთი გამოიყოფა. მაგალითად:

მის კლასში ყველა—დიდი და პატარა— თანასწორად სმენად იყო გადაქცეული (ა. წერ.).

სამ მეგობარს — ლეონს, დავითსა და ბესიკს—კარგა ხანს კრინტი არ დაუძრავს (ა. ბელ.).

IX. ტირე მძიმის ნაცვლად ხშირად იხმარება სიტყვით გადმოცემული რიგობითი რიცხვითი სახელის შემდეგ.

მაგალითები:

ასე, მდინარევე, უცხო მდინარევე, ორი გამოჰყვა ჩემს გულს თან ლალა!

ერთი—ლამაზი სამშობლოს სახე, მეორე—მწარე მისი ფიალა!

(ი. ევდ.)

— ვის მოგილოცოთ სახელი, ვინა ხართ სახელიანი?

პირველ—თბოლი კვირია, სახე აქვს ნათელიანი;

მეორე—ლელა ბაჩლელი, ქალი ხელ-ფარტენიანი;

მესამე—ბერი ლუხუმი, კურთხეულ გამდელიანი;

მეოთხე—ხოშარეული, არწივი მხარ-კვერიანი;

მეხუთე—გივი სუმელჯი, მოგვყავის ნაპრევიანი (ვ. ფშავ.).

X. ტირე მძიმის ნაცვლად გვხვდება განკერძოებული წევრების მკვეთრად გამოსაყოფად, რომლებთანაც ასახსნელი წევრის შემდეგ იგულისხმება მაიგივებელი კანფირი „ანუ“ ან „ესე იგი“, ან სიტყვა „სახელდობრ“.

1) ტირე დანართან:

შვილად ჰყავდა ერთადერთი. ქალი — ქეთო (ი. გოგ.).

აგერა მცხეთაც—საენე გმირთა, დიდი აკლდაძა დიდის ცხოვრების
(ი. ჭავჭავ.).

შენცა გფენია ქვეყნის მადლი—თავისუფლება (ი. გოგ.).

ქერივ მაგდანას—ქარხნის მუშას — ერთადერთი შეილი ჰყავდა
(ი. გრიშ.).

ღე, ერთმა ძალამ—ბავშვების და სამშობლოს ტრფობამ—შეაკავშიროს
თანაგრძნობით თქვენი გულელები (ი. გრიშ.).

2) ტირე განკერძოებულ განსაზღვრებასთან:

ღულუნებს მტრედი—ის უწყინარი (ი. ევდ.).

მაგონებს ყრმობას შენი წყალი—მუდამ ანკარა (ვ. გაფრ.).

თავის ბრწყინვალე სილამაზითა რომ გაიღვიძებს დღე—მზის მპყრო-
ბელი, შემოფრინდება სახლში გაზეთი—ახალ ამბების მახარობელი
(ა. მირცხ.).

ჩენა გეყავს ჯარი—ოთხი სასარდლო (ა. წერ.).

3) ტირე განკერძოებულ გარემოებასთან:

...და წავიდა სხვებთან ერთად, როგორც მგზავრი, იქ—მცხეთაში
(ა. წერ.).

მიყვარხარ მისთვის, რომე ქართველი აქ—შენს კიდესედ დაბადე-
ბულა (ი. ჭავჭავ.).

მეგობრებო, დღეს—ახალ წელს შევიკრიბეთ სულით, გულით
(ი. ევდ.).

4) ტირე ჩართულ სიტუვასთან ან წინადადებასთან:

ისინი არათუ არ ტეხენ განგაშს, არამედ—პირიქით—ცდილობენ
მიჩქმალონ საკითხი.

ბოლოს ხომ—როგორც მოგეხსენებათ—ცოლების მოწყალებით ძმებს
ჩხუბი მოუვიდათ და გაიყარნენ (ი. ჭავჭავ.).

ბევრი ეხარბებოდა ოთარაანთ ქერივის ოჯახში შესვლას, მაგრამ—
თქვენც არ მომიკვდეთ,—არ გათხოვდა და არა (ი. ჭავჭავ.).

ერთჯერ კიდევ—ესეც ბატონყმობის დრო იყო—ზალიკა რამდენიმე
კაცით გზაზე თავს დაესხა ბატონის მოურავს (ე. ნინ.).

XI. ტირე დაისმის ორ ერთგვარ წევრს—შემასმენელს ან ორ წი-
ნადადებას შორის, როცა მეორე სიტუვა ან წინადადება უკავშიროდ
არის შეერთებული პირველთან და წარმოადგენს მკვეთრ დაპირისპი-
რებას.

1) ტირე შერწყმულ წინადადებაში:

აშენებ დარბაზს—სახლი არა გაქვს,

ებრძვი მიწასა—კვდები მშიერი (ი. ევდ.).

შეერთა ზურაბი—ალარა თქვა რა (ა. წერ.).

ლეწაედა—არ იღლებოდა (ი. აბაშ.).

რკინა კი არა—ოქროა! (ა. ბელ.).

2) ტირე უკავშირო რთულ თანწყობილ წინადადებაში:

წელს ნაყოფიც დაასხა—საუცხოო რამ არის! (ი. გრიშ.).

წავიდა დათვთან—შინ არ დაუხვდა (ა. წერ.).

მე ნექტარს გთხოვდი—ნადველს მასმეედი,

მე იას გთხოვდი—ნაცარს მაყრიდი (რ. ერისთ.).

(ეს უკანასკნელი ორი წინადადება შეიძლება უკავშირო რთულ ქვეწყობილადაც ჩაითვალოს. ზოგჯერ მათ სწორად გამოცნობას ასეთი სიძნელე ახლავს).

XII. ტირე დაისმის უკავშირო რთულ ქვეწყობილ წინადადებაში დამოკიდებული წინადადების გამოსაყოფად მთავრისგან მაშინ:

1) როდესაც დამოკიდებული წინადადება გამოხატავს მომდევნო მთავარი წინადადებით გადმოცემული მოქმედების შესრულების პირობას.

მაგალითები:

წავალ—მომკლავს და არ წავალ—ამიოხრებს ქვეყანას (ი. ჭავჭავ.).

მუტელს აქორებ—ქორია, აღორებ—ლორია (ანდაზა).

მიწამ ყანა გაგიკეთოს—ნუ ჩამოეკიდები, მოგიცდინოს—ნუ შემოსწყრები (ანდაზა).

მოუვლი—სიკეთით გადავიხდის, არადა—ნურაფერს ელი, ნურაფერს მოსთხოვ (ს. კლდ.).

ზედაში ახვალ—აგყვები, ჩახვალ—ჩაგყვები უფსკრულსა! ა. წერ.).

ავი იქნება—ავისთვის იქნება, კარგი იქნება—თავისთვის იქნება (ანდაზა).

2) როდესაც მომდევნო დამოკიდებული წინადადება გამოხატავს მთავარი წინადადებით გადმოცემული მოქმედების შესრულების მიზანს.

მაგალითები:

მინდა თვალში გაკოცო—ძილი გქონდეს კეთილი,

მინდა შუბლზე გაკოცო—გქონდეს გადატყევილი,

მინდა ტუჩში გაკოცო—დაგიამო წყურვილი,

ბედნიერი ხმა გქონდეს ბედნიერი სურვილი (ი. გრიშ.).

3) როდესაც დამოკიდებული წინადადება გამოხატავს მომდევნო მთავარი წინადადებით გადმოცემულის მოქმედების ჩადენის დროს.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

შევხედე—მეცნაურა, შემომხედა—მიცნო და თვალი დამარიდა
(ა. წერ.).

წყალში ჩავაგდე—წყალად იქცა, ცეცხლში ჩავაგდე—ხმად გა-
დაიქცა (გამოცანა).

თვალს ავახელ—ზედ წამწამზე მიზიხარ! (გ. ორბ.).

მიედღეარ—მომდეგს, ვმღერი—ისიც მღერის (ი. ევდ.).

გამოიღვიძებს—შუბლს განიგრილებს, ერთს ქართველურად კიდევ
შესძახებს... (ნ. ბარათ.).

დავაბამ—დადის, ავუშვებ—დგას (გამოცანა).

შ ე ნ ი შ ე ნ ა : მძიმის ნაცვლად ტირეს ხშირად ვხვდებით როგორც უკავშირო, ისე კავშირიანი დამოკიდებული წინადადების გამოსაყოფად, როდესაც ამ დამოკი-
დებულ წინადადებას მთავარი ახლავს წინ, მაგალითად:

უ კ ა ვ შ ი რ ო შ ი :

ბაბუცამ გადაწყვიტა — თვითონ მოევლო საქმისთვის (ნ. ლომ.).

ისეთი ციყაუი — დანა პირს არ მიხსნიდა! (ა. ბელ.).

ვილცამ კარებზე დაგვიკაკუნა, გავადე და ვხედავ — არიშკა და მისი პაპა შე-
მოვიდნენ (ნ. ნაკ.).

— შენი კირიშვი, ბაბუცი, კარგად მითხარი — როგორ მოგივიდა ეგ ამბავი!
(ნ. ლომ.).

კ ა ე შ ი რ ი ა ნ შ ი :

იმას რა სჯობს — სამშობლოსთვის მთლად სიცოცხლე რომ დახარჯო (ი. სიხ.).

მშვენიერია ეს გრძნობა ბაღში—უეცარ ძალით რომ შეიქმნება (გ. ტაბ.).

ბედი წყალობს... არაფერში არ აკლია მას წყალობა — თ უ მ ც არ იცის ბულბუ-
ლივით და შაშვივით მან ვალობა (ა. წერ.).

ამრიგად, ამ რთულ ქვეწყობილ წინადადებებში მძიმის ნაცვლად ტირე გამო-
ყენებულია მთავარი წინადადებისგან დამოკიდებული წინადადების მკვეთრად გამო-
საყოფად. ამ მიზნით არის იგი დასმული კავშირიანი დამოკიდებული წინადადების
წინაყ.

4) როდესაც დამოკიდებული წინადადება მთავარი წინადადების
მომდევნოა და გამოხატავს მის ახსნა-განმარტებას ანუ დამატებით
ცნობებს (აქ ტირე გვხვდება ორწერტილის ნაცვლად).

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

მისი წმინდა ვალი არი—მოკვდეს, მაგრამ მკერდით შეკრას ღერბენ-
დი და დარიალი (ი. აბაშ.).

ჩვენ ვალად გვაქვს—მას ეს ამაგი გადავუხადოთ მხოლოდ გმი-
რობით (ს. ფაშ.).

იჭაური უფროსის დეპეშაც მომივიდა—გამოუშვით, არ დააბრკო-
ლოთო (ლ. ქიან.).

მრისხანე იყო—ხანდახან სულ უბრალოზე წყრებოდა (ა. წერ.).

ზვიადი იყო ბატონი—სხვებს თავს არ გაუყადრებდა (ა. წერ.).

XIII. ტირე დაისმის დამოკიდებული წინადადების შემდეგ მთავარ წინადადებაში გამოტოვებული რომელიმე წევრის (ქვემდებარის, დამატების ან გარემოების) ადგილას, მაგალითად:

1) გამოტოვებული ქვემდებარის ადგილას:

რომ გაძლება—მთერალია (ა. წერ.).

ვინც დაიხარაო — არ გაიხარაო (ანდაზა).

ვინც მოკვდება—თავს მოუკვდება (ანდაზა).

რაც გინახავს—სიზმარია... (ა. წერ.).

რაც ჩოხდა—მოხდა!

რაც არ გერგება—არ შეგერგება (ანდაზა).

რასაცა გასცემ — შენია, რას არა — დაკარგულია (რუსთაველი).

2) გამოტოვებული დამატების ადგილას:

ღვთისმშობლის ხედარი საქრისტიანო რომ ამოვარდეს — სწორედ არ მჭერა! (ა. წერ.).

...რაც მკვდლები ვართ—სულ ამოგვწყვიტოს! (ა. წერ.).

ეს რომ გავიგე—მეწყინა.

რაც ითქმოდეს—ქარს მიჰქონდეს (ანდაზა).

3) გამოტოვებული გარემოების ადგილას:

სადაც არა სჯობს—გაცლა სჯობს კარგისა მამაციისაგან (ანდაზა).

სადაც ფული ლაპარაკობს—სიმართლე ღუმს (ანდაზა).

სადაც შეაქრდენი ბუდობს—მტრედი ვერ გაიხარებსო (ანდაზა).

სადაც იგრძნობს უმართლობას—შურისგებოთ იალებდეს (გ. ტაბ.).

ვიდრე ხეს ქერქი ძვრება—უნდა შეაძრო (ანდაზა).

(არა გყავდეს მეგობარი—ეძებე), როცა იპოვნო—ერიდე (ანდაზა).

ასეთ წინადადებებში დამოკიდებულს მთავრისგან მძიმითაც გამოყოფენ, მაგრამ უმჯობესია დაისვას ტირე.

XIV. ტირე დაისმის დამოკიდებული წინადადების შუაში გამოყენებული მთავარი წინადადების გამოსაყოფადაც, მაგალითად:

ყოველ კაცს რომ ჰყავს—ხომ ვიცით— მამა (რ. ერისთ.).

წელს კი—უნდა ვთქვა სულქვეშა—მიწას არ უმტყუნებია

(რ. ერისთ.).

XV. ტირე დაისმის დიალოგის (პირთა შორის საუბრის) დროს აბზაცით გამოყოფილი მოსაუბრეთა სიტყვების წინ.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

— გავალ ერთი, რას მიზამს, მოკვლით ვერ მომკლავს და...

— კრივში გივარჯიშნია?

— არა, კაცო!

— აბა, რას ლაპარაკობ? გაჭობებს!

— ეჰ, მჭობნის მჭობნი ქვეყანაზე არ დაილიაო, გავალ და, თუ დამამარცხებს, უარის თქმას მაინც ეს სჯობია (ა. ბელ.).

XVI. ტირე დაისმის დიალოგის (პირთა შორის საუბრის) დროს იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოსაუბრეთა ნათქვამები ერთმანეთისგან აბზაცით არ არის გამოყოფილი. ამ შემთხვევაში ყოველი პირის ნათქვამი ერთმანეთისგან გამოიყოფა ტირეთი. მაგალითად, ზემოთ აღნიშნული დიალოგი ასე დაიწერება:

— „გავალ ერთი, რას მიზამს, მოკვლით ვერ მომკლავს და“... — „კრივში გივარჯიშნია?“ — „არა, კაცო!“ — „აბა რას ლაპარაკობ? გაჭობებს!“ — „ეჰ, მჭობნის მჭობნი ქვეყანაზე არ დაილიაო. გავალ და, თუ დამამარცხებს, უარის თქმას მაინც ეს სჯობია“.

(ყოველი პირის ნათქვამი ერთმანეთისგან გამოიყოფა ტირეთი და ჩაისმის ბრჭყალებში), მაგრამ ასე დაწერილი დიალოგი ძნელი წასაკითხი და გასაგებია, ამიტომ დიალოგს ჩვეულებრივ აბზაცებით გამოყოფენ.

ტირე იხმარება აგრეთვე ავტორის სიტყვების (რემარკების) გამოსაყოფად პერსონაჟის სიტყვებისგან, თუ ავტორის სიტყვები სხვისი ნათქვამის მომდევნოა ან შუაშია, მაგრამ მას აქ არ აღვნიშნავთ, რადგან ეს საკითხი ვრცლად არის განხილული ქვემოთ სხვის ნათქვამიან წინადადებებთან დაკავშირებით.

შეერთებული სასვენი ნიშნები

წერის დროს ხშირად გვიხდება სხვადასხვა სასვენი ნიშნის შეერთება, რასაც იწვევს წინადადების აგებულება. განსაკუთრებით ეს შეინიშნება სხვის ნათქვამიან წინადადებაში, სადაც სასვენი ნიშნების გამოყენება რთული და მრავალფეროვანი სახისაა. ამ მრავალფეროვნებას განსაკუთრებით ქმნის ტირეს შეხვედრა სხვადასხვა სასვენ ნიშანთან, რის შედეგად გვაქვს შეერთების ანუ რთული სასვენი ნიშნების შემდეგი სახეები:

მძიმე და ტირე (,—), კითხვის ნიშანი და ტირე (? —), ძახილის ნიშანი და ტირე (!—), კითხვისა და ძახილის ნიშნები და ტირე (?!—), წერტილი და ტირე (.—), ორწერტილი და ტირე (:—), მრავალწერტილი და ტირე (... —).

ყველა ამ შემთხვევაში ტირე არის დამატებითი ნიშანი.

I. მძიმე და ტირე ღაისმის სხვის ნათქვამიან წინადადებაში მოუბრის სიტყვებისა და სხვისი ნათქვამის ერთმანეთისგან გამოსაყოფად.

1) როცა მოუბრის სიტყვები დასმულია სხვისი ნათქვამის შემდეგ და ეს სხვისი ნათქვამი კი თხრობითი წინადადებაა.

მაგალითები:

— საღ მიღიხარ, ამაღამ კინო იქნება, — მოესმა ლეოს მომხიბლავი ხმა (ა. ბელ.).

— არც მე ვიცი, — უპასუხა ციციწომ (ა. ბელ.).

— ნახვამდის, ძია სანდრო, --- უპასუხა სახელეწილმა მიტომ და შინისაკენ მოკურცხლა (ა. ბელ.).

2) როცა მოუბრის სიტყვები დასმულია სხვის ნათქვამში და ეს უკანასკნელი ერთი წინადადებაა, გაყოფილი ორ ნაწილად მოუბრის სიტყვების ჩასმის გამო.

მაგალითები:

— არა, ნამყოფი ვარ, — ვუპასუხე, — მაგრამ მას შემდეგ ბევრმა დრომ გაიარა... (ს. კლდ.).

— თუ შეიძლება, მითხარით, — მივმართე სადგურის უფროსს, — ზომ არ გამგზავრებულა ამ თვითმფრინავით ერთი ახალგაზრდა კაცი (ა. ბელ.).

— ამხანაგებო, — დაიწყო ოღნავი ღუმლის შემდეგ ლეომ, — მე ბევრი არა მაქვს სალაპარაკო და ვფიქრობ, აქ ბევრი თავსატეხი არაფერია (ა. ბელ.).

— ასი წლის მეტის ვიქნები, — ასე დაიწყო კიკოღამ, — გამომწვა, გამომაბრძმეღა ამ წუთისოფლის მიყოღამ (ა. წერ.).

II. მძიმე და ტირე ღაისმის მაშინაც, როღესაც ერთ წინადადებაში, სინტაქსური წესის მიხედვით, საჭიროა ორივე ნიშნის დასმა, სახელღობრ:

1) როცა წინადადებაში გამოტოვებული შემასმენღის აღგიღას საჭიროა ტირე და მის წინ გამოყენებულია დამოკიდებული წინადადება ან განკერძოებული სიტყვა, რომელიც მძიმით უნდა გამოიყოს.

მაგალითები:

ზურაბი ექიშია, მისი ამხანაგი კი, რომელიც ახლა სოფელში მუშაობს, — აგროწომი.

ეთერი პეღაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობს, გივი კი, მისი უფროსი ძმა, — უნივერსიტეტში.

მე აქ უნდა ვიცხოვრო, ჩემმა ძმამ კი, ცხადია, — თბიღისში.

წინო ექიში უნდა იქნეს, შენ კი, ჩემო ძმაო, — ინკინერი.

2) როცა წინადადებაში ერთგვარი წევრების შემდეგ, შემკრებო სიტყვის წინ, საჭიროა ტირეს დასმა და უკანასკნელ ერთგვარ წევრს მოსდევს დამოკიდებული წინადადება ან განკერძოებული სიტყვა, რომელიც უნდა გამოიყოს მძიმით.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

აქაც და იქაც, სადაც შრომაა გაჩაღებული, — ყველგან დიდი დოვლათი გვაქვს.

გაზაფხულზე ეზობებსა და ბაღებში, ხეხილით მოშენებულ ადგილებში, — ყველგან ყველაფერს ზურმუხტისფერი ედება.

დიდი და პატარა, ე. ი. მთელი მოსახლეობა, — ყველა თავგამოდებით ზრუნავს სოფლის კეთილმოწყობისთვის.

3) როდესაც დანართის გამოსაყოფად გამოყენებულია ტირე და ამ დანართის წინ მოცემულია დამოკიდებული წინადადება ან განკერძოებული სიტყვა, რომლის ბოლოს უნდა დაისვას მძიმე.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

თვითონ ქალას შუაზე კრიდა ანკარა, მუდამ წმინდა ზამთარ-ზაფხულ, — ფშა (ვ. ფშავ.)..

კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა მასწავლებელი, უდავოდ, — ყველასათვის საყვარელი ადამიანი.

4) როდესაც უკავშირო რთულ თანწყობილ წინადადებაში შემავალ წინადადებათა ერთმანეთისგან გამოსაყოფად გამოყენებულია ტირე და მის წინ კი მოცემულია დამოკიდებული წინადადება, რომლის ბოლოს უნდა დაისვას მძიმე.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

მე მას ვთხოვე, რომ მალე მოსულიყო, — სადამოს 8 საათზე ჩვენ ერთად წავედით თეატრში.

აქ იყო ნუნუ, რომელიც ძმას მოუთმენლად ელოდა, — ნოდარი რატომღაც იგვიანებდა მოსვლას.

ეს წინადადებები შეიძლება რამდენიმე ცალკე წინადადებადაც გამოვიყენოთ და ამის გამო მძიმისა და ტირეს ნაცვლად დავსვათ წერტილი.

5) როდესაც რთულ ქვეწყობილ წინადადებაში უკავშირო დამოკიდებული წინადადება გამოსაყოფია ტირეთი და მის წინ კი კავშირიანი დამოკიდებული წინადადებაა, რომლის ბოლოს უნდა დაისვას მძიმე.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

რა მოაფიქრებდა, თუ მის გულში ერთ-ორ თვეზე დაბერდებოდა სიყვარული, — ასე თავსლაფს დაასხამდა (ვ. ფშავ.)..

მისი ოცნება იყო, რადაც უნდა დაჯდომოდა, — შეილი სასახლო მამულიშვილი გამოსულიყო.

ამგვარი დანიშნულებით მძიმისა და ტირეს გამოყენების შემთხვევა გაცილებით მეტია, ვიდრე აქ გვაქვს აღნიშნული, მაგრამ სხვა მაგალითებს არ ვასახელებთ იმის გამო, რომ წინადადების ასეთი კონსტრუქცია მძიმე სტილისაა და იშვიათად იხმარება.

III. მძიმე და ტირე დაისმის იმ შემთხვევაშიც, როდესაც რაიმე სურათის, მოვლენის ან სულიერი განცდის ასახვა-გადმოცემის დროს მაღალი ტონით გადმოსაცემი პერიოდისგან გამოსაყოფია დაბალი ტონით გადმოსაცემი პერიოდი:

მაგალითები:

ერთი შვილი მყავს, საყვარელი და სანატრელი,

იგია მარტო თავის დედის ნუგეშმცემელი,

იგია ჩემი სიცოცხლეი და სიხარული,

იმითი მიდგა უძლურს ტანში უძლური სული,

ჩემის სიბერის მისაყრდომად ისღა მშთენია, —

მაგრამ, მამულო, წაიყვანე, დღეს ის შენია... (ი. ჭავჭავ.)

არც გვართ, არც ვაჟკაცობით, არც სიმდიდრით. არც ქონებით. —

ჰაჭი-უსუბ ცნობილია მხოლოდ ჭკუით და გონებით (ა. წერ.).

გეყოთ. რაც რომ იპარპაშეთ მაღალ ციდან მიწამდის.

ახლა სამგორს იმსახურეთ,—ამ გვირაბში მობრძანდით! (მ. მიქ.).

ამის საუკეთესო მაგალითია აგრეთვე ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ შესავალი, სადაც მთავარი წინადადების წინ ოთხი თანადამოკიდებული წინადადება წარმოადგენს მაღალი ტონის პერიოდს, მომდევნო მთავარი წინადადება კი—დაბალი ტონისას. რის გამოც ეს უკანასკნელი გამოყოფილია დამოკიდებული წინადადებებისაგან მძიმითა და ტირითი, მაგალითად:

სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა ორბნი, არწიენი ვერ შეჰხვებინ,

სად წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილნი, მზისგან აროდეს არა

დნებინ,

სად უდაბურსა მას მყუდროებას კაცთ ყრიაშული ვერ შესწევდენია,

სად მეუფება ქექა-ქუხილსა, ყინულს და ქართა მხოლოდ ჰშთენია.—

უწინდელს დროში ღვთისა მოსავთა გამოუქებავთ მუნ მონასტერი

და იმ ყინულში შეთხრილს ღვთის ტაძარს ბეთლემს უწოდებს

დღესაცა ერი.

§ 12. კითხვის ნიშანი და ტირე (7—)

კითხვის ნიშანი და ტირე დაისმის სხვისი ნათქვამი კითხვითი წინადადების შემდეგ მომდევნო მოუბრის სიტყვებისგან გამოსაყოფად.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

— ვინ სტუმრებია? — ვკითხე მე (ა. ყაზბ.).

— ქიაკოკონას რად ვანთებთ ხოლმე, დედა? — მიაძახა ქაჯანამ
(ნ. ლომ.).

— რა ამბავია, ქალო, რა ამბავია? — იძახოდნენ აქეთ-იქიდან
(ნ. ლომ.)

— მერე ღამე არ გეშინოდათ, გოგო? — გადმოიძახა. ზემოდან ვი-
დაცამ (ნ. ლომ.).

— ბრმა არის ეგ გოგო, თუ თვალები სტკივა? — იკითხეს კვალად
მადლიდან (ნ. ლომ.).

— შემდეგ ვინლა მიულოცავს? — დაეკითხა მოძღვარი ვანოს
(ვ. ფშავ.).

§ 13. ძახილის ნიშანი და ტირა (I—)

ძახილის ნიშანი და ტირე დაისმის სხვისი ნათქვამი ძახილის ან
ბრძანებითი წინადადების შემდეგ მომდევნო მოუბრის სიტყვების-
გან გამოსაყოფად.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

— ჩემი მამიდაც ვერაზე ცხოვრობს! — წამოიძახა სიხარულით
გატრციალებულმა ბაბუცამ (ნ. ლომ.).

— გმადლობთ, თქვენიანად! — უპასუხებდა დიასახლისი და თან
თავს უკრავდა ყველას (ვ. ფშავ.).

— ვაიმე, შვილო სიმონა! — დაიღრიალა ერთი კაკოლამ და მუხლ-
მოკვეთილი ჩაჭდა იქვე (ნ. ლომ.).

— მე არ მინდა! — გვიპასუხა გიგლამ (შ. არაგვ.).

— გაიყვანეთ ეგ დათვი! — წამოიყვირა მოსამართლემ და თავპირ-
ანთებული ზეზე წამოვარდა (შ. არაგვ.).

— გამოდი, გამოდი! — ყვიროდნენ ცოლი და ქმარი და იმათყენ
მიეშურებოდნენ (შ. არაგვ.).

§ 14. კითხვისა და ძახილის ნიშანი და ტირა (? I—)

კითხვისა და ძახილის ნიშნები და ტირე დაისმის სხვისი ნათქვამი
კითხვით-ძახილის წინადადებების შემდეგ მომდევნო მოუბრის სი-
ტყვებისგან გამოსაყოფად:

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

— ეჰე, როგორ გაიგე, კაცო, მკითხავი ხომ არა ხარ?! — თქვა სიცი-
ლით თევდორემ (ვ. ფშავ.).

— არა, მართლა კბილები სტკივა, გეთაყვა, გიგოლი?! — გამეო-
რებით შეეკითხა ხალხი გიგოლას (ვ. ფშავ.).

— თედო, გენაცვა, ეს რა მოჩვენებაა?! ნუთუ ეს ყველაფერი მართალია?! — სვენებ-სვენებით იძახდა თედო (შ. არაგვ.).

— რა იყო, ჰოო, კარგი, ცხენო?! — თქვა მან გაჩაგრების კილოთი (ვ. ფშავ.).

— ეგაა, რომ აქებენ?!—გაკვირვებით ჩაეკითხა ერთი გლეხი მეორეს და გიორგი „ადეოკატს“ დააკვირდა (შ. არაგვ.).

§ 16. წარბილი და ბირა (—)

წერტილი და ტირე დაისმის სხვის ნათქვამში გამოყენებული მოუბრის სიტყვების შემდეგ, როცა სხვისი ნათქვამის პირველი ნაწილი დასრულებული წინადადება და გამოიყოფა მძიმითა და ტირეთი, ან ძახილის, კითხვის, ან კიდევ კითხვისა და ძახილის ნიშნებითა და ტირეთი, მაგალითად:

— ერთმანეთი შეჩიბრებაში გაუწვევიათ, — შენიშნა ქალარა იასონმა.—ეკვი არაა ერთი ან მეორე ოქროს ვარსკვლავით დაიმშვენებს მკერდს (ა. ბელ.).

— აი სად არის, — ხელით გვანიშნა მან სამუშაოთა ზვიად პანორამაზე. — აქ არის ის უდიდესი განძი, რომელიც ასე სჭირდება ჩვენს სამშობლოს (ა. ბელ.).

— მგონი, მართლა მაგრე იყოს,—თქვა დაღვრემით ოსიკომ და ისევ კლდეს დაუწყო კირკიტი.—მე ან ჩემს ჭკუაზე არა ვარ, ან აქ რაღაც ამბავია (იქვე).

§ 17. ორწერტილი და ბირა (—)

ორწერტილი და ტირე დაისმის სხვის ნათქვამში გამოყენებული მოუბრის სიტყვების შემდეგ, როდესაც მისი პირველი ნაწილი ეხება სხვისი ნათქვამის წინა ნაწილს, მეორე ნაწილი კი—მომდევნოს.

ასეთ შემთხვევაში სხვის ნათქვამში ჩასმული მოუბრის სიტყვები ჩვეულებრივ ბოლოვდება შემდეგი სიტყვებით: დაუმატა, დაატანა, დასძინა, უთხრა, ჰკითხა, შენიშნა, განაგრძო და სხვა, რომელთაც წინ ახლავთ კავშირი და ან ზმნიზედები მერე, შემდეგ. ბოლოს...

მაგალითები:

— არ დაგიმაღავ, ცუდად მეძინა, — თქვა ზაზამ და უცბადვე დაუმატა: — მაგრამ ეს დილა სიხარულით გათენდა ჩემთვის! (ს. კლდ.).

— მე კი დაგიფროხებთ ძილი!—შეწუხდა ქალი ამის გაგონებაზე და მზრუნველობით დაატანა:—ახლავე უნდა დაწვეთ, ახლავე! (ს. კლდ.).

— მოხარული ვარ... ყველას გვიხარია, რომ...—უეცრად ხმა ჩაუწყდა რაფიელს, მერე თავს ძალა დაატანა და ჩუმი მღელვარებით განაგრძო:—ძალიან, ძალიან მოხარული ვარ, რომ მშვიდობით დაბრუნდით... (ს. კლდ.).

— მაშ ასე არა?— ჩაილაპარაკა ტარასიმ და გიორგი ჭიშკარიანს დასძახა:— აბა, გიორგი, ივარგე და გვასახელე! (ჯ. ლორთქ.).

შ ე ნ ი შ ე ნ ა: მძიმის, წერტილის, მრავალწერტილის, ორწერტილისა და სხვა ნიშნების ტირესთან შეხვედრისას ტირე ყოველთვის დაისმის დასახელებული ნიშნების შემდეგ. მაგალითად, ასე:

„ — — — — — : — ! — ? — ?! — მაგრამ, როდესაც მოსდევს მძიმით გამო-საყოფი სიტყვა, მაგ.: მიმართვა, ჩართული თქმა, შორისდებული და სხვა, პირვე-ლი მძიმე უნდა გამოვტოვოთ, მაგალითად:

ჩემი ამხანაგები და მეგობრები — ც ხ ა დ ი ა, ყველა კმაყოფილი დარჩება ამ ლამაზი მხარის დათვალიერებით.

წიგნი და რეველი — ჩ ე მ ო თ ა მ ა რ, ორივე ერთად შეინახე.

ბარი, ნიჩაბი, თოხი, ნაჭახი — ე რ თ ი ს ი ტ ყ ვ ი თ. ყველაფერი ეს აუცილე-ბელია ოჯახისთვის.

§ 17. ფრჩხილები ()

ფრჩხილები იხმარება წინადადებაში ან წინადადების ბოლოს ჩა-ნართად გამოყენებული სიტყვების გამოსაყოფად.

ფრჩხილებში ჩაისმის უმთავრესად ისეთი სიტყვა ან სიტყვათა შე-ნაერთი, რომელიც გამოყენებულია წინადადების მთელი შინაარსის ან მისი რომელიმე წევრის ლექსიკური მნიშვნელობის დასაზუსტებ-ლად, შესავსებად ან ასახსნელად და სხვა, რაც ავტორს საჭიროდ მი-აჩნია აზრის სიტყვადისთვის. მაგრამ არ სურს საგანგებოდ გააძახვი-ლოს მასზე მკითხველის ყურადღება.

ფრჩხილებში უმთავრესად ჩაისმის შემდეგი სიტყვები: დანართი, განკერძობული განსაზღვრება, განკერძობული გარემოება, ჩართუ-ლი წინადადება. შენიშვნა, გამოყენებული ციტატის ან მაგალითის წყარო, რემარკები პიესებში, თარიღი და ა. შ., მაგალითად:

I. დანართი ფრჩხილებში:

ვაჟა-ფშაველა (ლუკა რაზიკაშვილი) დაიბადა 1861 წელს.

იქვე ცეცხლთან იღვა ტაგანი (პატარა კოდი), ლუდით საესე

(ვ. ფშავე.).

ეს ხელობა (მასწავლებლობა) ძლიერ უყვარდა (ე. ნინ.).

ბაბუაჩემი (დედის მამა) თავისი შესახედაობით ქვემო იმერელი აზნაურის ტიპური წარმომადგენელი იყო (დ. კლდ.).

აქ იყვნენ თავმოყრილნი: ს. მესხი, გ. წერეთელი, აკაკი, ანტონ ფურცელაძე (ფსევდონიმით „ზურაბ მოენიძე“), პეტრე უმიკაშვილი

(ს. მგალ.).

ოსების ქიზგები (ქალები) ბავშვებს აჩუქებდნენ (ს. მგალ.).

II. განკერძობული განსაზღვრება და გარემოება ფრჩხილებში:

თეატრი (რუსული) გაიმართა 20 სექტემბერს, 1845 წ. (ი. მეუნარგ.).

ორპირამდე (მარნამდე) ცხენით ვიარე (ა. წერ.).

ვაეა-ფშაველა დაიბადა 1861 წელს სოფ. ჩარგალში (ფშავეში).

ნიკო ლომოური დაიბადა 1852 წელს სოფელ არგოში (გორის რაიონი).

შეიძლება ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები განკერძოებული არ იყოს, მაგრამ გამოხატავდეს ადგილის, თარიღისა და სხვათა მითითებას, მაგალითად:

გიორგი ერისთავის საფლავის ქვაზე (სოფ. იკორთას) აღნიშნულია, რომ ის გარდაიცვალა 1864 წ. 9 სექტემბერს.

ერეკლე ბატონიშვილი (1827—1882) იყო ძე ალექსანდრესი (1769—1844), მეფე ერეკლეს ძისა.

III. ჩართული თქმა ფრჩხილებში:

როგორ მომიწონებს კატო (მოსეს მეუღლეს კატო ერქვა სახელად), როცა ვეტყვი ამ ამბავს! (ე. ნინ.).

— ამ ბიჭს (ჩემზე უჩვენა) სრულებით არ ვიცნობ (ლ. არდაზ.).

ის იყიდა, გადაიკითხავდა, „გამოშავნავდა“ (მისი საყვარელი ზიტყვაა) და შემდეგ გაუზიარებდა სხვასა (ს. მგალ.).

სპირიდონის წიგნები (სპირიდონს ღარიბი კაცის თაობაზე კაი ბიბლიოთეკა ჰქონდა) თითქმის სულ წაიკითხა (ე. ნინ.).

ივანე ხან თეზსაც იქერდა. გარეულ ღორსაც კლავდა (ივანე კარგი მონადირე იყო)... (ე. ნინ.).

აქ ფრჩხილებში მოთავსებული წინადადებები გამოხატავენ დამატებით ცნობებს შენიშვნის სახით.

IV. ციტირებული ავტორის სახელი, გვარი ან ფსევდონიმი და წყაროდ მითითებული ნაწარმოების სახელწოდება ფრჩხილებში:

არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,

იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნეოს (ნ. ბარათ.).

სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი (რუსთაველი).

თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი (დ. გურ.).

„ივერიას“ უკვე გამოუთქვამს ნიშნები ახალის თაობის კაცისა („ივერია“ № 4, გვ. 108) და ვისაც ეგ ნიშნები შუბლზედ არ აწერია, ის ცუდ-უბრალოდ თავს იციებს და ჰალას-ბიჰლას ჰფიცავს, ახალი რაზმის კაცი ვარო (ი. ჰაეჟ.).

ერთ ადგილას (29 გვერდი) ასეთს მუქარას ათქმევინებს გ. თუმანიშვილი ერთს მოქმედს პირს (ი. ჰაეჟ.).

V. პიესებში გამოყენებული რემარკები ფრჩხილებში:

ყველანი. (ერთხმად). ეს რა ამბავია? (წამოდგებიან ფეხზე).

გულქანი. (აქვს დასისხლული პირი, ხელში თოფი უჭირავს)
ვაჰმე, ამომივარდა გული!

შუმანა. (მიეგებება დროშას ქუდმობდილი) გაუმარჯოს ჩვენს ლა-
შარიჯვარს, გაუმარჯოს დროშას! (უხნამს არაყს და ასმევს
ყველას) (ვ. ფშავ.).

VI. სათაურის ახსნა-განმარტება ფრჩხილებში:

ორი ერთნაირი ასოს შემცველი სიტყვების მართლწერა
(კარნახი)

ორი ძმა

(იგავ-არაკი სულხან-საბა ორბელიანისა)

გოგია უიშვილი

(მოკლე შინაარსი)

სიმღერა მკერვალი ქალისა

(ტომას გულიდან)

**VII. ტექსტში რაიმე მიზეზით გამოტოვებული, მაგრამ შემდეგ
აღდგენილი სიტყვა ფრჩხილებში:**

...მაშინ საბუთი მოგვეცემოდა ან ერთსა, ან მეორეს. (ან) მესამე
აზრზედ დავმყარებულყავით (ი. ჭავჭავ.).

**VIII. სხვისი აზრისადმი მსმენელთა დამოკიდებულების აღმნიშ-
ვნელი სიტყვები ფრჩხილებში:**

სხვა პირის ნათქვამისადმი მსმენელთა დამოკიდებულებას ჩვეუ-
ლებრივად გამოხატავენ სიტყვები: ტაში, მქუხარე ტაში; სიცილი,
დარბაზში მოძრაობაა, დარბაზში გამოცოცხლებაა და ა. შ.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს! (მქუხარე ტაში).

არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი (სიცილი).

მე შენი გალობა ბევრჯელ მესმის და კმაყოფილიცა ვარ, მხოლოდ
ერთი რამა მწყინს: შენი გალობა ლეშის მადას მიკარგავს; ცოტა ეს
არ მომწონს (ფრინველებში სიცილია) (ვ. ფშავ.).

კ ა ვ ე ბ ი []

ტექსტში ხშირად იხმარება აგრეთვე კავები, ანუ კვადრატული
ფრჩხილები ([]). ამ ფრჩხილებში ჩაისმის უმთავრესად რომელიმე

ნაწარმოების ტექსტის პირვანდელი სახის დამდგენისა და გამომცემლის მიერ აღდგენილი ადგილები: სიტყვა, წინადადება ან დადგენილი თარიღი, მაგალითად:

- ა. წერეთლის თხზულებათა კრებულში გვაქვს ასეთი ადგილები:
ბ. წ. [-ისას]. მოხუცის მოგონება ენების განმარტება
[1860 წ.]. [1874]

ვეიცავ [მე]—არ ვეტრფი არ ოდეს ფერსა სხვას (ნ. ბარათ.).
ჩერ ბატონყმობის [გადავარდნის] ჩუჩუნიც არსად იყო... (ი. ჭავჭავაძე).
გადაჰყარა ღრუბლები და ჩვენი [ეროვნული] ცნობიერება გამოაფხიზლა (ი. ჭავჭავაძე).

§ 18. ბრძანებები („“)

ბრძანებებში ჩაისმის უმთავრესად უაზარად დაწერილი უნაწილაკო პირდაპირი სხვისი ნათქვამი (როცა იგი დიალოგში არ არის), არაპირდაპირი მნიშვნელობით გამოყენებული სიტყვები, საგანთა პირობითი სახელწოდებანი, მოძველებული სიტყვები და სხვ.

I. უნაწილაკო პირდაპირი სხვისი ნათქვამი ბრძანებებში

დიალოგის ტირეთი გამოუყოფელი სხვისი ნათქვამი ბრძანებებში უნდა ჩაისვას, მაგ.: შოთა რუსთაველმა თქვა: „გონიერსა მწვრთელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდეს“.

მართალი უთქვამს, ვინცა თქვა: „ძალა აღმართის მხენელია“

(ი. ჭავჭავაძე).

შეჰკვილა: „მითხარ, ვინა ხარ შენა?“ (ი. ჭავჭავაძე).

ჩემზე ამბობენ: „ის სიხვედრისა ქართლისას ამბობს, ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!“ (ი. ჭავჭავაძე).

პოემაში „ბაგრატ დიდი“ აკაკის უწერია: „ცოცხალ მონაზე უმჯობესია თავისუფლების ძებნაში მკვდარი!“

მაგრამ სხვისი ნათქვამი ბრძანებებში არ ჩაისმის, თუ მას ახლავს სიტყვა-სიტყვითი ნაწილაკები: ო, თქო, ან მეთქი. მათ შორის ო ნაწილაკით დაბოლოებული სხვისი ნათქვამი ბრძანებებში ჩაისმის იმ შემთხვევაში, თუ ყურადღება გაძლიერებულია იმაზე, რომ ნაწილაკითურთ ის სხვისი ნათქვამია, მაგალითად:

„წუთისოფელი ზოგისთვის მამაა, ზოგისთვის მამინაცვალიო“

(ი. ჭავჭავაძე).

ბრძანებებში ჩაისმის ანდაზაც, როცა ის პირდაპირი სხვისი ნათქვამის ფორმით (ო-თი დაბოლოებული ან ო-ს გარეშე) მოჰყავთ:

...ნათქვამია: „აღრე ამდგარსა კურდღელსა ეერ მოეწევა მწვეარიო“.

II. სხვისი ნათქვამის წერა დიალოგში დიალოგის ტირეთი ან ბრკყალებით

პირდაპირი სხვისი ნათქვამის გამოსაყოფად ტექსტში იხმარება დიალოგის ტირე ან ბრკყალები. დიალოგის ტირე დაისმის მაშინ, როდესაც პირდაპირი სხვისი ნათქვამი იწყება აბზაცით; ბრკყალებში სხვისი ნათქვამი ჩიხიმის მაშინ. როცა იგი აბზაცით კი არ იწყება, არამედ იწყება მოუბრის სიტყვებთან ერთად ან ცალკე ერთ სტრიქონზე, თუმცა ამ შემთხვევაშიც ტირეს დასმაც აუცილებელია, მაგალითად:

— თეორია რა არის? — ეკითხება მამაჩემი.

— სხვადასხვა სათამაშო კანონები.

— ჩვენ, ქართველებმა, ერთი კანონის მეტი არ ვიცით: ისე უნდა ეთამაშო, რომ მოპირდაპირეს მოუგო.

— ეგ მართალია, მაგრამ უთეორიოდ არ შეიძლება.

— არ ამიხსნით მაინც, რა არის თეორია?

— სხვადასხვა გამოჩენილ მოქალაქეთა ნათამაშევი, რომელიც სხვებისთვის სამაგალითო კანონად დარჩენილა. (ა. წერ.).

„თეორია რა არის?“ — ეკითხება მამაჩემი. — „სხვადასხვა სათამაშო კანონები“. — „ჩვენ ქართველებმა, ერთი კანონის მეტი არ ვიცით: ისე უნდა ეთამაშო, რომ მოპირდაპირეს მოუგო“. — „ეგ მართალია, მაგრამ უთეორიოდ არ შეიძლება“. — „არ ამიხსნით მაინც, რა არის თეორია?“ — „სხვადასხვა გამოჩენილ მოქალაქეთა ნათამაშევი, რომელიც სხვებისთვის სამაგალითო კანონად დარჩენილა“.

ამ ორ დაწერილობას შორის პირველი უფრო გავრცელებულია, რადგანაც იგი უფრო ადვილად იწერება და იკითხება, ვიდრე მეორე.

III. არაპირდაპირი მნიშვნელობით გამოყენებული სიტყვები ბრკყალებში

არაპირდაპირი მნიშვნელობით გამოყენებული სიტყვები უმთავრესად გამოხატავენ ორონიას, დაცინვას, მაგალითად:

ტარიელ მკლავაძის „რაინდობით“ ვინ არ იყო შეწუხებული.

დავით დროიძის „გულკეთილობამ“ საესეებით გაანადგურა სიმონა ძალაძის პატიოსანი ოჯახი.

გაბროს ბატონი დათიკო მალე გახდა თავისი „პატიოსანი“ ქცევის მსხვერპლი.

„გონიერმა“ ლუარსაბმა ისიც კი არ იცოდა, რომ გაფრენის შემდეგ ქერზე ბუზების რაოდენობა შემცირდებოდა.

რა გაუმჭობესებაზე შეიძლებოდა ლაპარაკი, როდესაც განთავისუფლებულ, „გაბედნიერებულ“ გლეხს თითო ბოხჩა მიწა უზბოქეს და ვითომ დაჩაგრულ მებატონეს კი უკეოესი მამულები ისევ საკუთრებად დაუნარჩუნეს (ი. მანსვეტ.).

ხშირად ბრჭყალებში ჩასმული სიტყვა ირონიის გარეშე გამოხატავს არაპირდაპირ მნიშვნელობას, მაგალითად:

გაიყოფოდნენ დას-დასად და მოედებოდნენ ყანას „მტერივითა“ (ს. მგალ.).

IV. საგანთა პირობითი სახელწოდებანი ბრჭყალებში

ბრჭყალებში ჩაისმის წინადადებაში ნახმარა ისეთი პირობითი სახელწოდებანი, როგორცაა, მაგალითად: ნაწარმოების, კინოფილმის, წიგნის, სიმღერის, ჟურნალის, გაზეთის, ორდენის, მედლის, სიგელის, მაღაზიის, სასტუმროს, მეურნეობის, მატარებლის, გემის, სურათისა და სხვათა სახელები.

1) ნაწარმოების სახელწოდება ბრჭყალებში:

მაშინდელ დროს ეკუთვნის საუკეთესო ნაწარმოებნი ილიასი: „გლახის ნააზობი“, „აჩრდილი“, „ბედნიერი ერი“ და სხვა მრავალი ლექსი (ს. მგალ.).

მაშინ დაიწერა: „ადვოკატი“, „კატა და ძაღლი“, „ვის უნდა შევეყარო“ და სხვანი (ა. წერ.).

კვირაში ერთი დღე იყო გადადებული „ქართლის ცხოვრების“ საკითხავად (ს. მგალ.).

ჩვენი ფიქრით, „მერანი“ წიხასიტყვაობაა „სულო ბოროტოსი“ არა მარტო იმიტ, რომ წინ არის დაწერილი, არამედ შინაარსითაც (ი. ჭავჭავ.).

2) წიგნის ან სიმღერის სახელწოდება ბრჭყალებში:

...რამდენი თაობა აღიზარდა მის „დედა-ენაზე“ და „ბუნების კარზე“ (ი. მანსვეტ.).

სახლში ჰქონდა „ვეფხისტყაოსანი“, „გურამიანი“ და „სიბრძნე სიცრუის“ წიგნი (ს. მგალ.).

ხომ მოგეხსენებათ, ჩვენში საცა სმავ, იქ სიმღერაც არის, და აი კაკლის ქვეშ გაისმის განუწყვეტელი „მრავალყამიერ“, „ყანწით ისვამ ღვინოს“, „გულში ჰირიმე, სულში ჰირიმე“ და სხვა ამისთანები (ი. მანსვეტ.).

არ მოეწონათ „ფაცხაში“ ჩართული ბოლოს სათქმელი დამამთავრებელი ხმა (ს. მგალ.).

3) უურნალ-გაზეთების სახელწოდებანი ბრჭყალებში:

ახალთაობა, ანუ სტუდენტობა, როგორც მაშინ ეძახდნენ, ეხვია „დროებას“ და ძველები „ცისკარში“ იწვედნენ, „ცისკარს“ ხელისმომწერი ძალიან ცოტა ჰყავდა (ა. წერ.).

მის წინ „კვალი“ ფონს ვერ გავა ლაქუციით და კულის ქნევით (ი. ჰავჯ.).

ვერ გამტეხოს „ივერია“... (ი. ჰავჯ.).

აწ ხონელი გაზეთს „კავკაზს“ გაეყარა (ი. ჰავჯ.).

ამ დროს თვით შეგირდებმა დაეიწყეთ ხელნაწერი უურნალის გამოცემა, რომელსაც სახელად „შრომა“ ერქვა (ს. მგალ.).

4) ორდენის, მედლის, ხიგელის სახელწოდებანი ბრჭყალებში:

ჩემს მასწავლებელს აქვს ორდენი „საპატიო ნიშანი“.

ზურაბმა მიიღო მედალი „კავკასიის დაცვისათვის“.

თენგიზი დაჯილდოებულია უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის „საპატიო სიგელით“.

თუ სიტყვა „ორდენი“ შედის ორდენის სახელწოდებაში, მაშინ ისიც ბრჭყალებში უნდა მოთავსდეს მომდევნო სიტყვებთან ერთად, მაგალითად:

მისი ჯილდოა „შრომის წითელი დროშის ორდენი“.

5) მაღაზიის, სასტუმროს, მეურნეობის, მატარებლის, გემის, თვითმფრინავის ან რაიმე სხვა საგნის პირობითი სახელწოდებანი ბრჭყალებში:

იმ საღამოს სოხუმის ნავსადგურში იდგა გემი „გრუზია“.

მატარებელი „ხაშური—ბორჯომი“ გადის დილის 9 საათზე.

სოხუმის კინოთეატრი „რუსთაველი“ ლამაზია და დიდი.

მეურნეობა „წითელი სხივი“ განთქმულია ციტრუსების დიდი მოსავლით.

იმ ხანებში სასტუმრო „კოლხიდა“ ეკირა გიორგი ჭელიძეს (ა. წერ.).

ამ ოცი წლის წინათ სასტუმრო „საქართველოში“ შევედი სადილის საკმელად (ა. წერ.).

ბეჟანამ გამოიტანა თავისი „ყირიმი“ (ე. ნინ.).

6) სურათების სახელწოდებანი (წარწერები) ბრჭყალებში:

მარცხნივ „ლახტური“ აწერია სურათს. მარჯვნივ—„მთის დედოფალი“ (მ. ლებ.).

„კრემლი, მაისი“—აწერია სურათს (მ. ლებ.).

აქ მოსკოველი, ლენინგრადელი და უკრაინელი მოსწავლეების ნა-
მუშევარი იყო გამოფენილი:

„ზოიას პორტრეტი“, „ძველი მოსკოვი“, „საღამო ნევასთან“...
(მ. ლებ.).

ბრჭყალებში ჩაისმის სიტყვა (ან სიტყვები), რომელიც აღნიშნავს
დაწესებულების, ორგანიზაციის, ფაბრიკის, ქარხნის, ადამიანთა
ჯგუფების, თამაშობათა და სხვა მისთ. სახელწოდებას, მაგრამ აქ
ყველას ვერ ჩამოვთვლით. უნდა გვახსოვდეს, რომ დასახლებული
პირობითი სახელწოდებანი ბრჭყალებში ჩაისმის მხოლოდ წინადადე-
ბაში გამოყენებისას. თუ ისინი წინადადების გარეშე, წარწერის სახი-
თაა მოცემული, მაშინ ბრჭყალები საჭირო არ არის.

**V. ბრჭყალებში ჩაისმის საგანგებოდ მკითხველის ყურადღების მი-
საქცევი არაპირდაპირი მნიშვნელობით გამოყენებული სიტყვებიც;
როგორცაა, მაგალითად:**

1) კმარა, ჩემო შვილიცო, კმარა, თორემ იცოდე:

ნამდვილ სახელს წაგართმევ და „მიყიდეს“ გიწოდებ! (ი. გრიშ.).

ვაი იმ ქვეყანას... საცა „მე“ ხშირია და „ჩვენ“—იშვიათი! (ი. ჭავჭავ.).

იმას ჩვენ „ხელმოწერას“ ვეძახით (დ. თურდ.).

მერე გაზეთებშიც წერდა „სანდრო ბიქის“ ფსევდონიმით

(ი. მანსვეტ.).

2) ტანის ძლიერ უყვარდა ტერმინი—„არსებობს აზრი“ და მას მე-
ტი დამაჯერებლობისათვის ხმარობდა (მ. ლებ.).

ბავშვებმა ტაშით და „ვაშას“ ძახილით დააჭილდოვეს ზურიკოს მამა
(გ. ნახუცრ.).

ვერ გაებედნა „კმარას“ თქმა (ს. მგალ.).

ლიზას „გენაცვალე“ მართლა თავგანწირულებას ნიშნავდა

(ს. მგალ.).

...კავშირს „და“-ს ღმერთს აცლიდა ხშირი და უღალაგო ალაგას ხმა-
რებითა (ს. მგალ.).

ახლანდელი ჩვენი სიტყვა „წოდება“ გუშინდელი სიტყვაა (ი. ჭავჭავ.).

და აი, ჩვეულებრივად დაუმდაბლა ხმა და გაისმა ნისი „ბატონებო“
ისეთი კილოთი, რომლის გადმოცემა ქაღალდზე ყოვლად შეუძლებე-
ლია (ი. მანსვ.).

**VI. ბრჭყალებში ჩაისმის მოძველებული, კუთხური ან სხვა ენიდან
ხელოვნურად გადმოღებული და იშვიათად ხმარებული სიტყვები,
როცა ავტორს სურს, საგანგებოდ გაამახვილოს მათზე მკითხველის
ყურადღება, მაგალითად:**

1) ზოგი „ჭერისათვის“ იგზავნების, ზოგი თივისათვის... (ა. ყაზბ.).

ჩამოაცვა თოფს „ხალთა“ (ე. ნინ.).

...ისაკას მეტი არაეინ „უნიმანებლა“ რასმე (შ. არაგვ.).

ამ სიტყვებით გავათავეთ ჩვენი ლაპარაკი და ავიღეთ ნაბდები, გავედით „თოზე“ და მივწექით დასაძინებლად (ა. ყაზბ.).

...ბეჯანა „სამზირს“ მიდიოდა (ე. ნინ.).

VII. ბრჭყალებში ჩაისმის დასამოწმებლად გამოყენებული ციტატები, მაგალითად:

აკაკი წერეთელი დიდად აფასებდა პიროვნების თავისუფლებას. ის ამ მაღალ გრძნობას შესანიშნავად გამოხატავს შემდეგ სტრიქონში: „სჯობს მონობაში გადიდკაცებულს თავისუფლების ძებნაში მკედარი“ (ა. წერ.).

ყაჯა ომახიანად გაიძახოდა:

„სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილება, თორემ ისეთს დღეს დავაყრით, მკედარსაც კი გაეცინება (ვ. ფშავ.) ილია ქავეკაეძე ნათლად ხედავდა, რომ:

„შრომა, აწ ქვეყნად ტყვედა პყრობილი, მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ვნებულა,

ხოლო რღვეულა მისი ბორკილი და დასამსხვერველად გამზადებულა.

შრომისა ახსნა—ეგ არის ტვირთი ძლევაშოსილის ამ საუკუნის, კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი მაგ ახსნისათვის მედგარადა იბრძვის“.

მაგ რამ ბრჭყალებში არ ჩაისმის:

1. სახელწოდებანი, რომელთაც არ ვიყენებთ პირობითი მნიშვნელობით, მაგალითად:

აგარაკი ბორჯომი ძალიან მომწონს.

შდრ.: „ბორჯომი“ კარგი მინერალური წყალია.

რუსთავი ახალი, ლამაზი ქალაქია.

შდრ.: „რუსთავი“ კეთილმოწყობილი სასტუმროა.

2. დაწესებულებათა, გამომცემლობათა და სხვათა არაპირობითი სახელწოდებანი, მაგ.:

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გაიხსნა 1918 წელს.

სახელმწიფო გამომცემლობამ გეგმა წარმატებით შეასრულა.

უნივერსიტეტი ახალი საქონლით გაივსო.

3. თუ რაიმე ობიექტის პირობით სახელწოდებას ახლავს სიტყვა „სახელობის“, მაგ.:

რუსთაველის სახელობის კინოთეატრი ლამაზი შენობაა.

შდრ.: კინოთეატრი „რუსთაველი“ ლამაზი შენობაა.

მაგრამ თუ სიტყვა „სახელობის“ ახლავს პირობით სახელწოდებას, რომელიც ბრჭყალებში იხმარება, მაშინ ასე დაიწერება: ეურნალ „მნათობის“ სახელობის ბიბლიოთეკა.

4. წიგნების ან სხვა სახის შრომების სახელწოდებანი, რომელნიც ბიბლიოგრაფიულ სიაში ან წიგნის გვერდებზე მითითებისას ავტორის გვარის შემდეგ მოგვეყავს, მაგალითად:

ივ. ჭავჭავიძე, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, 1948 წ., გვ. 198.

5. არ არის საჭირო ბრჭყალები ციტატად გამოყენებული ყოველი აბზაცის გამოსაყოფად, მაგალითად ასე:

„მე პატარა ქართველი ვარ,
კეკელიძის მთების შვილი
და განცხრომით სხვაგან ყოფნას
მირჩევნია აქ სიკვდილი!“

„ქართლ-კახეთი, იმერეთი,
გურია და სამეგრელო —
ყველა ჩემი სამშობლოა,
საყვარელი საქართველო“.

ნამდვილად კი ბრჭყალები ასე უნდა იყოს დასმული: დასაწყისსა და ბოლოს (ზედმეტია პირველი ტაეპის ბოლოსა და მეორე ტაეპის დასაწყისში).

§ 10. სასვენი ნიშნები სხვის ნათქვამიან წინადადებაში

სხვისი ნათქვამიანი წინადადება შედგება ორი ნაწილისგან. მოუბრის, ანუ ავტორის სიტყვებისა და სხვისი ნათქვამისგან.

სხვისი ნათქვამი ორი სახისაა: პირდაპირი და ირიბი.

პირდაპირი სხვისი ნათქვამი იხმარება უნაწილაკოდ და შეწყვილაკის დართვით. ნაწილაკებად გამოიყენება ო, თქო და მე თქი.

პირდაპირი სხვისი ნათქვამი იწერება ორნაირად: უაბზაცოდ და აბზაცით. უაბზაცოდ დაწერილი უნაწილაკო პირდაპირი სხვისი ნათქვამი ჩაისმის ბრჭყალებში, ნაწილაკიანი კი იწერება უბრჭყალებოდ, მაგ.:

ბედს გექადის, გეუბნება: „გაიღვიძე, ნუღარ გძინავს!“ (ა. წერ.).

შეეხვეწა: აბა ჩქარა მოამზადე ვახშამიო (ა. წერ.)

აბზაცით გამოყოფილი პირდაპირი სხვისი ნათქვამი ბრჭყალებში არ

ჩაისმის. იგი ცალკე სტრიქონზე დაწერისას გამოიყოფა ტირეთი, მაგ.:
ცოლს დაუძახა ჯოჯოლამ:
— გამოიხედე კარშია! (ე. ფშაე.).
— არ ვიცი, ჩემო დობილო! — მიუგო იამ ნაზად (ე. ფშაე.).
ი რ ი ბ ი ს ხ ვ ი ს ი ნ ა თ ქ ე ა მ ი რ თ უ ლ ქ ე ვ წ უ ო ბ ი ლ წ ი ნ ა დ ა დ ე -
ბ ა შ ი ი ღ ე ბ ს ჩ ე ვ ე ლ ე ბ რ ი ვ ი დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ი ს ს ა ხ ე ს და ი გ რ
ა რ ც ბ რ ქ ე ა ლ ე ბ შ ი ჩ ა ის მ ი ს და ა რ ც ტ ი რ ე თ ი გა მ ო ი ყ ო ფ ა, მაგალითად:
შ დ რ .:

პ ი რ დ ა პ ი რ ი ს ხ ვ ი ს ი ნ ა თ ქ ე ა მ ი :

ყველა ამბობს: „გიყვარდეს, დასტკბი და გაიხარე!“ (ა. წერ.).

ი რ ი ბ ი ს ხ ვ ი ს ი ნ ა თ ქ ე ა მ ი :

ყველა ამბობს, რომ მიყვარდეს, დაეტკბე და გავისარო..

სასყენი ნიშნების ხმარებისას მნიშვნელობა აქვს არა მარტო სხვისი ნათქვამის სახეებსა და აბზაცით ან უაბზაცოდ წერას, არამედ მოუბრის სიტყვების მასთან გამოყენების ადგილსაც, ე. ი. სად არის მოუბრის სიტყვები დასმული—სხვისი ნათქვამის წინ, მომდევნოდ, თუ შუაში, მაგალითად:

I. როცა მოუბრის სიტყვები სხვისი ნათქვამის წინაა, მის შემდეგ დაისმის ორწერტილი, უნაწილაკო პირდაპირი სხვისი ნათქვამი კი ჩაისმის ბრჭყალებში:

1) კვლავ შევეკითხე: „გინახავთ თქვენი პაპა ზალიკო?“ (პ. ცახ.).

თან ვამბობდი: „ალარასდროს არ ვიფიქრებ კაცის ზიანს“ (მ. მიქ.)
კურთხეულმც იყოს ამგვარი შეილი! და ამას ამბობს ეს ჩემი ქნარი
„ვინც სამშობლოსა უყო კეთილი, ჩვენი მამაცა მხოლოდ ის არი!“
(ა. წერ.)

2) კოკამ თქვა: ცხენზე არასოდეს არ შევემჯდარე, მაგრამ ფეხიო არ გამიელიო (ანდაზა).

კაცმა თქვა: სახლი გატყდაო. მუსამ უპასუხა: ჩემი სახლი რომ ყოფილიყო, არ გატყდებოდაო (ანდაზა).

მაგრამ, თუ მომდევნო სხვის ნათქვამს ცალკე სტრიქონზე დავწერთ, მაშინ მოუბრის სიტყვების შემდეგ ისევ ორწერტილი დაისმის სხვისი ნათქვამის წინ კი—დილოგის ტირე:

ჩურჩული: უთხრა სპასალარს:

— ორ მოყმეს დაუძახეო (ო. კელ.).

დამ ძმას უთხრა საყვედურით:

— რაც რომ ჩვენში ფრინველია, შენ გიჩივის, შენ გემღურის
(ა. ონ.)

ბაბუცამ კი მაროსთან მიიღბინა, მიუჯდა გვერდზე და ჰკითხა:

— მარო, გენაცვალე, რამდენი ბატი გვერგება ჩვენ მათ მოვლა-პატრონობაში? (ნ. ლომ.).

II. როცა მოუბრის სიტყვები სხვისი ნათქვამის მომდევნოა, მის წინ დაისმის ის ნიშანი, რომელიც სხვის ნათქვამს შინაარსის მიხედვით განეკუთვნება (გარდა წერტილისა, რომლის ნაცვლად დაისმის მძიმე და ტირე (მაგ.: მძიმე და ტირე, თუ სხვისი ნათქვამი თხრობითი წინადადება ან ბრძანებითი წინადადებაა, რომელიც არ შეიცავს გრძნობას; კითხვის ნიშანი და ტირე, თუ სხვისი ნათქვამი კითხვითი წინადადებაა; ძახილის ნიშანი და ტირე, თუ სხვისი ნათქვამი ძახილის ან ბრძანებითი წინადადებაა, რომელიც გრძნობით არის გაღმოსაცემი; კითხვის ნიშანი, ძახილის ნიშანი და ტირე, თუ სხვისი ნათქვამი კითხვით-ძახილის წინადადებაა; მრავალწერტილი და ტირე, თუ სხვისი ნათქვამი დაუმთავრებელი წინადადებაა), მაგალითად:

1) როცა მოუბრის სიტყვების წინ დასმული სხვისი ნათქვამი თხრობითი წინადადებაა, მის შემდეგ დაისმის მძიმე და ტირე:

— ეს გზაში გამოგადგებათ,— ეუბნებოდნენ მეზობლები მოსულს (ნ. ნაქ).

— ალბათ ორთაჭალაა,— გაიფიქრა და ცოტა ხნის შემდეგ ისევ გზას გაუდგა (მ. ჭავახ.).

— დედა შინ ავად არის და თავი ვერ დავანებეთ,— უპასუხა ვანომ (ი. ევლ.).

2) როცა მოუბრის სიტყვების წინ დასმული სხვისი ნათქვამი ბრძანებითი წინადადებაა, მაგრამ გრძნობით არ არის გაღმოსაცემი, მოუბრის სიტყვებისგან გამოყოფა მძიმითა და ტირით:

— დაბრძანდით,— ეუთხარი გაზეპირებული სიტყვა (მ. ჭავახ.).

— აბა მაჩვენე,— არაჩვეულებრივი და ძალდატანებული ღიმილით წაიჩურჩულა პავლემ (მ. ჭავახ.).

— ნუ გეშინიათ,— მამხნევებს სანდრო და ლომივით დგას სადარაჯოზე (მ. ჭავახ.).

— წაეიდეთ, ნიკო,— უთხრა ელომ ძმას (ნ. ნაქ).

3) როცა მოუბრის სიტყვების წინ დასმული სხვისი ნათქვამი კითხვითი წინადადებაა, მის შემდეგ დაისმის კითხვის ნიშანი და ტირე:

— მოგწონთ თუ არა?— გაუმეორა დედაჩემმა (მ. ჭავახ.).

— პაპა, რატომ დამტოვე იქ?— ეკითხებოდა ის (ნ. ნაქ).

— მერე აქ როგორ მოგვაგენით?— ეკითხე მე (ნ. ნაქ).

— სად იყავ წუხელ, ნიბლიაე? — ჰკითხა შუბლშეკვრით, მწყრა-
ლად (შ. მღვიმ.).

4) როცა მოუბრის სიტყვების წინ დასმული სხვისი ნათქვამი ძახილის წინადადებ-
ბა, მის ბოლოს დაისმის ძახილის ნიშანი და ტირე:

— უჰ, რა კარგია!—იცინის ეთერიკო (ნ. ნაკ.).

— ამას რას ვხედავ, დედილო!—იძახის გაოცებული (შ. მღვიმ.).

— მე არ ვიცი! — მიუგო არჩილმა და გაშორდა (მ. ჯავახ.).

— ვერ გავშორდებით ერთმანეთს!—წარმოთქვა ყველამ წყენითა
(შ. მღვიმ.).

5) როცა მოუბრის სიტყვების წინ დასმული სხვისი ნათქვამი გრძნობით გაღმო-
საცემი ბრძანებითი წინადადება, მის ბოლოს დაისმის ძახილის ნიშანი და ტირე:

— აბა გავიქცეთ!—უთხრა ნუცას (ლ. ქიაჩ.).

— აბა, ნათელა, შენ და შალიკომ იცეკვეთ!—შეჰყვირეს ბავშვებმა
(ნ. ნაკ.).

— ნუცა, ამოიღე უბიდან!—უთხრა ვანომ დას (ლ. ქიაჩ.).

— ჩქარა!—და ისევ ზევით ავიდა (მ. ჯავახ.).

6) როცა მოუბრის სიტყვების წინ დასმული სხვისი ნათქვამი კითხვით-ძახილის
წინადადება, მის ბოლოს დაისმის კითხვისა და ძახილის ნიშნები და ტირე:

— ჩინეთშიც?!—წამოიძახეს გაკვირვებით ბავშვებმა (ლ. მეგრ.).

— რა დამაკაეებს?!—მითხრა ბათაყვამ (ლ. ქიაჩ.).

— აქ რას აკეთებს?!—მიახლოებისას ჰკითხა მასწავლებელმა გიორ-
გის... (ა. ხახუტ.).

— ვკითხოთ, მაგრამ რომ არ ვიცი?—უპასუხა სასოწარკვეთი-
ლებით ცაცამ (ი. ევლ.).

7) როცა მოუბრის სიტყვების წინ დასმული სხვისი ნათქვამი მრავალწერტილს
მოითხოვს, მაშინ მის შემდეგ დაისმის როგორც მრავალწერტილი, ისე ტირეც:

— ჩემი მასწავლებლის ნახვა მინდოდა და... — მოკრძალებული
ხმით უთხრა გიორგიმ და თავი ჩაღუნა (ა. ხახუტ.).

— წავიდეთ... — წავიჩურჩულე და ყანას, ბილიკებსა და გზას და-
ვაშტერდი (მ. ჯავახ.).

— მიშველე, მამა, მიშველე!...—შევეყირე, რაც ძალი და ღონე
მქონდა (ნ. ლომ.).

— ნეტავი მაგას!...—წამოიძახა მეორემ და გაჩუმდა (შ. არაგვ.).

-- აქ არ ვართ?...—წამოიძახა შაქრომ (შ. არაგვ.).

III. როცა მოუბრის სიტყვები სხვისი ნათქვამის შუაშია, სასვენო
ნიშნები იხმარება იმის მიხედვით, თუ რა სახითაა მოცემული სხვისი
ნათქვამის პირველი ნაწილი, გამოყენებული მოუბრის სიტყვების
წინ: წინადადების ნაწილია, თუ იგი ცალკე აღებული სინტაქსური ერ-

თეულია თხრობითი, კითხვითი, ძახილის (ასევე გრძნობით გადიოსა-
ცემი ბრძანებითი) ან კითხვით-ძახილის წინადადების სახით, მაგალი-
თად:

1) თუ გაკვეთილს სხვისი ნათქვამის პირველ ნაწილთან არავითარი სასვენი ნი-
შანი არ იყო მოსალოდნელი ან საკირო იყო მძიმე (ან კიდევ წერტილ-მძიმე, ორ-
წერტილი ან ტირე), მაშინ მოუბრის სიტყვები სხვისი ნათქვამისგან ორივე მხრი-
დან გამოიყოფა მძიმითა და ტირით:

— ეს ხარატი,—წარმოთქვა ხმამაღლა წინამძღოლმა,—ორ დაზგაზე
მეუშაობს (ლ. მეგრ.).

— არა, ქალბატონო,—მიუგო ბაბუცამ,—სოფლელები ვართ
(ნ. ლომ.).

— ბრმა გახლავთ,—უპასუხა ბაბუცამ,—წითელასაგან მოუვიდა
(ნ. ლომ.).

— იმ დღეს მოქეიფებმა ეტლებით ამოიგრიალეს,—მოიგონა მწუ-
ხარე ამბავი წიფელმა, — სივრცე გააყრუეს სიმღერით... (დ. თურდ.).

— ნურას სწუხართ, — უთხრა თევზმა,—მე გაგიწევ სამსახურსა
(რ. ერისთ.)

2) თუ გაკვეთილს სხვისი ნათქვამის პირველ ნაწილთან მოსალოდნელია წერ-
ტილი ან დასძულია კითხვის, ძახილის ან კითხვისა და ძახილის ნიშნები, მაშინ
მოუბრის სიტყვების წინ დაისმის მძიმე და ტირე, კითხვის ნიშანი და ტირე, ძახი-
ლის ნიშანი და ტირე ან კითხვისა და ძახილის ნიშნები და ტირე. შემდეგ კი—წერტი-
ლი და ტირე, მაგალითად:

მძიმე, ტირე და წერტილი, ტირე:

— კარგი,—სიხარულით წამოიძახა სანდრომ.—ქაჯანა შენ, კატო
მე (ნ. ლომ.).

— არ იცის იმ უკუღმართმა ადამიანმა, რასა სჩადის, — წარმოთქვა
ფოთოლშრიალა ვერხვმა.—ჩვენ ხომ გვიმწარებს სიცოცხლეს და თა-
ვის თავს უარეს დღეს აყრის (დ. თურდ.).

კითხვის ნიშანი, ტირე და წერტილი, ტირე:

— გაიგე ახალი ამბავი?—მითხრა მან.—ოსიკო ისევ წასულა ქეი-
ბურას ხევში (ა. ბელ.).

— უჩვენოდ? — წყენით მივაძახე მე. — ეგ რა სინდისია (ა. ბელ.).

ძახილის ნიშანი, ტირე და წერტილი, ტირე:

— კი, მაგრამ ის სიზმარი იყო, იოთამ!—მიუაღერსა დედამ.—სიზ-
მარი იყო და შენ ხომ იცი, რა არის სიზმარი (ლ. ქიაჩ.).

— რა დაემართა ამ მსხალსა!—იძახდა პატრონი.—სანამ პატარა
იყო, მსხმოიარობით ტოტები ემსხვრეოდა, იმის ხილი პირში დნე-
ბოდა (თ. რაზ.).

კითხვისა და ძახილის ნიშნები, ტირე და წერტილი, ტირე:

— მადლიანი გადმოკარგულად მიგაჩნია, ჩემო რძალო?!—საყვედურით უთხრა ნიკოლოზმა თავის რძალს.— აბა ერთი გადაიხედე ამ აივნიდან (ე. გაბ.).

მ) თუ ვაკვეთილი სხვისი ნათქვამის პირველი ნაწილი მრავალწერტილით ბოლოვდება, მოუბრის სიტყვების შემდეგ (მეორე ნაწილისგან გამოსაყოფად) დაისმის ან მძიმე და ტირე, ან წერტილი და ტირე. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რა არის მეორე ნაწილი—პირველი ნაწილის გაგრძელებაა, თუ ცალკე აღებული წინადადება.

მძიმე და ტირე დაისმის მოუბრის სიტყვების შემდეგ მაშინ, როცა გაკვეთილი სხვისი ნათქვამის მეორე ნაწილი პირველი ნაწილის უშუალო გაგრძელებაა:

— კიდევ იმითმ...—ჩაიციანა თომამ,—მამაშენი კოლეტივის მტერია და დანგრევას გვემუქრება (გ. ნახუცრ.).

მხოლოდ... —თედომ კვლავ მძლავრად მოუჭირა თათი შვილის გკლავს, -- ჩემზე არაფერი წამოგცდეს (გ. ნახუცრ.).

— მინდა...—წარმოთქვა კოტემ ხრინწიანი ხმით,—მაგრამ...

(გ. ნახუცრ.).

წერტილი და ტირე დაისმის მოუბრის სიტყვების შემდეგ მაშინ, როცა გაკვეთილი სხვისი ნათქვამის მეორე ნაწილი ცალკე წინადადებაა:

— ახლა მოიტა ხელი...—გაუწოდა ილას ხელი ლეომ.—დღეიდან მე და შენ მეგობრები ვართ (გ. ნახუცრ.).

— თომა უნდა მოვიშორო გზიდან...—ძლივს წარმოთქვა თედომ და კიქა გამოცალა.—შენც დაღიე! (გ. ნახუცრ.).

— მთიელია!..—დაცინვის კილოთი წამოიძახა ყმაწვილმა.— შენ მთიელი არა ხარ, არა! (შ. არაგვ.).

წინადადებასთან გრამატიკულად დაუკავშირებელი სიტყვები, მაგ: მიმართვა, მიგებითი ნაწილაკი ან შორისდებული ზოგჯერ ნათქვამის შინაარსთან კავშირშია გააზრებული, ზოგჯერ კი—ცალკე. პირველ შემთხვევაში იგი გამოიყოფა შედარებით მცირე პაუზით, მეორე შემთხვევაში კი—უფრო ხანგრძლივი შესვენებით. ამის გამო პირველ შემთხვევაში სხვის ნათქვამში გამოყენებული მოუბრის სიტყვების შემდეგ დაისმის მძიმე და ტირე, მეორე შემთხვევაში კი—წერტილი და ტირე, მაგალითად:

მიმართვის გამოყენებისას:

— შეილო, — ეკითხება მოხუცი, — მოვედით? (ა. წერ.).

— შალვა! შალვა! — აჩერებს მეორე ოთახიდან შემოვარდნილი გულშემოყრილი დედა. — რას შერები, შეილო! (გ. ქუჩ.).

ნაწილაკის გამოყენებისას:

— არა, მითხრა მან, — მე უკვე სრულიად დარწმუნებული ვარ... (ა. ბელ.).

— არა! — ვიუარე მე. — რატომ უნდა მოგიტანო (ა. ბელ.).

შორისდებულის გამოყენებისას:

— უჰ, — ერთად აღმოხდა ყველას ხმა, — ეს რა კარგი ყოფილა!

— ოჰ, ჰო, ჰო! — გაიოცა ბეჟიამ და ტაში გაჰკრა. — მაგის შრომის ამტანი კაცის მნახელი არა ვარ! (ა. ყაზბ.).

4) როცა სხვისი ნათქვამის შუაში გამოყენებული მოუბრის სიტყვების პირველი ნაწილი ეხება გაკეთილი სხვისი ნათქვამის პირველ ნაწილს, ხოლო მეორე — მეორე ნაწილს, მაშინ ზემოთ აღნიშნული წესის მიხედვით მოუბრის სიტყვების წინ დაისმის მძიმე და ტირე, კითხვის ნიშანი და ტირე, ძახილის ნიშანი და ტირე ან კითხვისა და ძახილის ნიშნები და ტირე, ან კიდევ მრავალწერტილი და ტირე, მოუბრის სიტყვების ბოლოს კი იწერება ორწერტილი და ტირე, მაგალითად:

მძიმე, ტირე და ორწერტილი, ტირე:

— ახლო მორი, — უთხრა მეეტლეშვილს ვანოს და ჩაუგლო გამოწვდილი ხელში შაურის, თანაც დაატანა: — აქ მოიცადეთ, საცაა ქალბატონი გამოვა და გაჩუქებთ რასმე (ი. ევლ.).

— ჰო, უნდა ჩაეცვა, — მითხრა მან, სახლში შევიდა და ერთ წუთში აიღლიავეებული ტანსაცმლით ისევ გარეთ გამოვარდა, მანქანაში ჩაჯდა და შოფერს უთხრა: — წადი, ჩაცმას აქაც მოვახერხებ (ა. ბელ.).

— შემორი, შემორი სახლში, — მითხრა მან მხიარულად და შემდეგ ცოლს გასძახა: — მერი, რომ იცოდე, ვინ გვეწვია, ვინ! (ი. ევლ.).

კითხვის ნიშანი, ტირე და ორწერტილი, ტირე:

— რა ექნა. რომელ წყალში გადავევარდე? — უნუგეშოდ გადმოყარა ცრემლები თინამ და თან დაუმატა: — ერთი ბატონიანთამდინაც ვეღარ ავედი, რომ ხელი გამენძრია, გამეკეთებინა რამე (ე. გაბ.).

— ნუ გეშინია, ცაცა, ფანჯარას ხომ ვერ გამოამტკვრევს? — მიუგო ვანომ და შემდეგ დარცხვენით მიმართა პატარა ქალბატონს: — გვაჩუქე რამე, ობლები ვართ! (ი. ევლ.).

ძახილის ნიშანი, ტირე და ორწერტილი, ტირე:

— დააფიცე და მაშინ როგორღა იტყვის ტყუილს! — უპასუხა დათუამ და მერე მამასახლისს მიუბრუნდა: — როდის ვისესხე, რომ შეგიმოწმებია ჰა?! (შ. არაგვ.).

— ზურია! — დავაწიე ხმა, და, როცა ის შემობრუნდა, აღერსიანაჲ გაეძახე:— იმედი მაქვს, მალე შეეხვდებით ერთმანეთს... (ს. კლდ.).

მრავალწერტილი, ტირე და ორწერტილი, ტირე — ამა და ამ ქუჩაზე... — ვუთხარი ჩემი მისამართი და დავუმატე: — მაგრამ მე შენ ვერ მნახავ... (შ. არაგვ.).

ზოგჯერ მოუბარი წინადადებას არ ამთავრებს გაკვეთილი სხვისი ნათქვამის მეორე ნაწილთან. შემდეგაც განაგრძობს თავის სიტყვებს. ასეთ შემთხვევაში მოუბრის სიტყვების მეორე ნაწილი სხვისი ნათქვამის მეორე ნაწილისგან გამოიყოფა წერტილითა და ტირეთი, მაგალითად:

— წავიდეთ, ძმაო, წავიდეთ, — თქვა მეორემ, — მანდ ხათაბალა არა გაჩნდეს რა. — და მართლაც ისევ მოუსხვეს სოფლისაკენ (ნ. ლომ.).

ან მრავალწერტილითა და ტირეთი, მაგ.:

ყველანი წამოიშალნენ და სიტყვებით: „ვინ იქნება? ძალუმ ჩქარაკი მოდის...“ — დაუწყეს ყურება (ა. ყაზბ.).

თავისებურია სასვენი ნიშნების ხმარება იმ შემთხვევაში, როდესაც მოუბრის სიტყვებთან სხვის ნათქვამს თან ახლავს კიდევ სხვისი ნათქვამი (ასეთ წინადადებაში ცალკე აღებული პირველი სხვისი ნათქვამი მეორე სხვის ნათქვამთან არის მოუბრის სიტყვები).

1) თუ ორივე სხვისი ნათქვამი მოსდევს მოუბრის სიტყვებს, მაშინ ისინი ერთმანეთისგან ორწერტილით გამოიყოფა, მაგალითად:

ერთმა ქალმა შემოგიტვალა: სპარსულად ნათქვამი: ოცდაათ წელიწადს უკან რომ კაცი ჩონგურს ისწავლის, საიქიოს დაუქრავსო (ნ. ბარათ.).

ასე იტყოდა ხოლმე, ხმის აწევით: მთამ მთას გასძახა: „მოდით ვიდეთ მინდორზე, ვიქიდავოთ“ (ლ. ქიაჩ.).

(აქ ო ნაწილაკიან სხვის ნათქვამთან ბრქყალები უმართებულოდ არის გამოყენებული).

მერმე თქვა: რა ჩინებულ დროს მოვედი — და. მე გამომგზავნა მეფე ერეკლემ და მიბრძანა: „ეს საჩუქარი მიართვი იმ ინგილო ქალსა, რომელმაც რამდენსამე წლის წინათ მთელი მუჟა ქლიავი უთავაზა ჩემს სპარსულს ქუდსაო“, — და გადასცა დედოფალს ვეებერთელა ქისა, სავსე ბაჯადლო ოქროებითა. (ი. გოგ.).

(ამ წინადადებაში სიტყვები: სთქვა, წინეთ — გასწორებულია. ზედმეტია ბრქყალები ო ნაწილაკიან სხვის ნათქვამთან).

შენიშვნა: ასევე შეიძლება ორჯერ იყოს დასმული ორწერტილი ისეთ წი-

ნადადებაშიც, სადაც მოუბრის სიტყვების მომდევნო სხვისი ნათქვამი შემკრებსი. ტყვიანი შერწყმული წინადადება ან ახსნა-განმარტებითი დამოკიდებული წინადადებია, მაგ.:

გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი წ ე რ ს: „ნ - თ ე ლ გ ვ ი რ გ ე ნ ი თ მ ო ს ჩ ა - ნ ა ნ კ ა ხ ე თ ი მ ხ ს ნ ე ლ ნ ი გ მ ი რ ე ბ ი: ე ლ ი ზ ბ ა რ, შ ა ლ ვ ა, ბ ი ა ი ნ ა, მ ტ ა რ - ე ლ ს ი გ ა ნ ლ ა ტ ა ნ ჟ ე ლ ბ ი“.

ი ლ ი ა ა მ ბ ო ბ დ ა: „ა რ ა, მ ყ ი ნ ე ა რ ი ა რ მ ი ყ ე ა რ ს: მ ი ს ი ს ი ე ყ ე მ ს უ ს ხ ა ე ს და ს ი თ ე თ რ ე ა ბ ე რ ე ბ ს!“

2) თუ ორივე სხვისი ნათქვამი წინ უსწრებს მოუბრის სიტყვებს, მაშინ პირველი სხვისი ნათქვამის შემდეგ დაისმის ორწერტილი, მეორის შემდეგ (ე. ი. მოუბრის სიტყვების წინ)—მძიმე ლ ა ტ ი რ ე, მაგ:

— უ ა რ ზ ე დ ვ ა ს, ა ს ე ა მ ბ ო ბ ს: მ ე ფ ა ლ ა ე ნ ე ბ ს ვ ე ჭ ი დ ა ე ვ ბ ი და ა რ ა გ ო - ლ ი ა თ ე ბ ს ო,—მ ო ა ხ ს ე ნ ე ს ქ ა რ თ ე ვ ე ლ ბ მ ა (ა. წ ე რ.).

— ა ს ე ა მ ბ ო ბ ე ნ: მ ა რ ც ე ნ ა ხ ე ლ ი გ უ ლ თ ა ნ ა ხ ლ ო ა ო,—ღ ი მ ი ლ ი თ, მ ა გ რ ა მ ნ ა ლ ე ლ ი ა ნ ა დ უ თ ხ რ ა ს ო ლ ი კ ო მ (ა. ბ ე ლ.).

შ ე ნ ი შ ე ნ ა: 1) მ ო მ დ ე ვ ნ ო ს ხ ე ს ი ს ნ ა თ ქ ე მ ი მოუბრის სიტყვებრიგან შეიძლება გამოიყოს მხოლოდ მძიმითაც, მაგალითად:

ძ რ ო ხ ა მ თ ქ ე ა, დ ა ს ა ბ მ ე ლ ი მ ი შ ო ე ე, დ ა ს ა წ ო ლ ს მ ე ვ ი შ ო ე ო (ან დ ა ხ ა).

ა ქ ლ ე მ მ ა თ ქ ე ა, რ ო მ ა რ დ ა მ ა ჩ ო კ ე ბ დ ე ნ ე ნ, მ თ ე ლ ქ ე ე ყ ა ნ ა ს ა ე ი კ ი ლ ე ბ ლ ი ო (ან დ ა ხ ა).

2) ან გამოიყოს მხოლოდ ტირეთი, მაგალითად:

მ ე მ დ რ ე ნ ე ბ დ ა—უ ს ა თ უ ო დ დ ა ე ი კ ე ო (ე. ფ შ ა ე.).

ა ს ე გ უ ლ ი ა ნ ა დ ვ ა ლ ო ბ ა მ ო ლ ო დ ი მ ა ს შ ე უ ძ ლ ი ა, ე ი ს ა ე თ ა ე ს დ ლ ე შ ი ს ი ე ც ლ ი ზ ე ა რ უ ფ ი კ რ ი ა, ე ი ნ ე ა რ ფ ი კ რ ო ბ ს—ე რ თ ხ ე ლ ა ე ი ქ ე ნ ე ბ ა მ ო ე კ ე ლ ე ბ ი, შ ე მ ი წ ა ს მ ი ე ე - ბ ა რ ე ბ ი ო (ე. ფ შ ა ე.).

3) სასვენნი ნიშნების ხმარების მიხედვით პირდაპირ სხვის ნათქვამს განეკუთვნება ციტატი, რომელიც აგრეთვე ბრჭყალებშიც ჩაისმის,

მაგალითად:

ტ ა ტ ო ს ს მ ე ნ ა ს მ ის წ ვ დ ა: „ე ი ს ა რ ე რ ჩ ი ე ნ ა ტ ყ ე ე ო ბ ა ს ს ი ე კ ე ლ ი ლ მ ა მ ა ე უ ლ ი“ (ე. დ ე ლ.).

„ა რ გ ა ე ე კ ლ ი ს ა ლ ს ა ე ლ დ ე ბ ა ს უ ე კ დ ა ე ბ ი ს ა ხ ე ზ დ ა,

ა რ გ ა ე ე კ ლ ი მ ე ჩ ე მ ს ს ა მ შ ო ბ ლ ო ს ს ხ ე ა ქ ე ე ყ ე ნ ის ს ა მ ო თ ხ ე ზ დ ა“,—ა მ ბ ო ბ ს რ. ე რ ის - თ ა ე ი.

ს ა ს ა ე ე ნ ი ნ ი შ ა ნ ი ი რ ი ბ ს ხ ე ს ი ნ ა თ ქ ე ა მ თ ა ნ ი რ ი ბ ი ს ხ ე ს ი ს ნ ა თ ქ ე ა მ ი მოუბრის სიტყვებთან ჩვეულებრივი დამოკიდებული წინადადებაა და მის გამოსაყოფად მთავარი წინადადებისგან ორწერტილის ნაცვლად დაისმის მძიმე, მაგალითად:

მ ა ნ ი კ ი თ ხ ა, თ უ ს ა დ წ ა ვ ი დ ა დ ე დ ა მ ის ი.

(შ დ რ.: მ ა ნ ი კ ი თ ხ ა: „ს ა დ წ ა ვ ი დ ა დ ე დ ა ჩ ე მ ი?“)

მ ა მ ა მ გ ა ნ ა ც ხ ა დ ა, რ ო მ წ ე ლ ს კ ა რ გ ი მ ო ს ა ე ა ლ ი ი ქ ე ნ ე ბ ა ო.

(შ დ რ.: მ ა მ ა მ გ ა ნ ა ც ხ ა დ ა: წ ე ლ ს კ ა რ გ ი მ ო ს ა ე ა ლ ი ი ქ ე ნ ე ბ ა ო).

ჭ ზ ი. ზ ო მ ი მ ი რ თ ი ს ა ს ა ე ნ ი ნ ი შ ნ ის ა ლ ბ ი ლ ი ფ რ ჩ ი ნ ლ ბ ი ს ა და ბ რ ზ ა ლ ბ ა მ ის ხ მ ა რ ა ბ ი ს ა ს

ფ რ ჩ ხ ი ლ ე ბ ი ს გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ი ს დ რ ო ს

I. კითხვის, ძახილის (აგრეთვე კითხვისა და ძახილის) ნიშნები და მრავალწერტილი დაისმის დამხურავი ფრჩხილების წინ, თუ ისინი განეკუთვნება მხოლოდ ფრჩხილებში მოთავსებულ სიტყვებს (წინადადების ბოლოს კი დაისმის ის ნიშანი, რომელსაც მოითხოვს თვით ამ წინადადების შინაარსი), მაგალითად:

ბაბუა!.. ბაბუა! (ნუთუ არ ესმის?) ნუ გეშინია, კარგად იქნები!

ჩემს ანგელოს დას (ჩემს მოგონებებს, პოეზიას!) სურს მოიტაცოს გაზაფხული! (გ. ტაბ.).

თამრიკო, გოგო, თამრიკო! (ვაიმე, გული ხომ არ შეუღონდა?!) გაახილეთ თვალი, შეილო!

ჩემი ამხანაგი მაინცდამაინც (ნიჭიერი იყო მაგრამ...), სამწუხაროდ, მეცადინეობით თავს არ იწუხებდა.

II. მძიმე, წერტილი, წერტილ-მძიმე, ორწერტილი და ტირე არ დაისმის ფრჩხილებში მოთავსებულ სიტყვებთან. ისინი დაისმის მხოლოდ ფრჩხილების შემდეგ, მაგალითად:

გარინდდება მდინარე (ეს არაგვი, ზმანება), ყველაფერი უცნაურ მოსვლას დაემგვანება (გ. ტაბ.).

ვიქტორ. (შეაჩერებს მიმავალ ფილიპეს). თქვენთან, ბატონო ფილიპე, ცოტა საქმე მაქვს (დ. კლდ.).

მორბის არაგვი არაგვიანი, თან მოსძახიან მთანი ტყიანნი (ნ. ბარ.).

ვანო თავისი დებით, ძმებით, ნათესაევებით სოფელში შეხვდა პირველ მაისს (ეს დღესასწაული ძალიან უყვარდა მას); გელა და მისი თანაკლასელები საექსკურსიოდ ახალ ათონში გაემგზავრნენ.

იმ დღეს ჩემთან იყვნენ საუკეთესო მეგობრები (სკოლის ამხანაგები): ნათელა, მზია, ელისო, მანანა, მარეხი, ნენო; ლალი და რუსუდანი.

ის ეროვნებით აზერბაიჯანელია, მე (ე. ი. მისი მეგობარი რევაზ ჯილაური) — ქართველი.

III. ფრჩხილებში ჩასმული სიტყვების წინ მოხალოდნელი მძიმე, წერტილი, წერტილ-მძიმე ან ტირე დაისმის მხოლოდ ფრჩხილების შემდეგ, მაგრამ კითხვის ნიშანი, ძახილის ნიშანი, კითხვისა და ძახილის ნიშნები ერთად ან მრავალწერტილი დაისმის ფრჩხილების წინ, მაგალითად:

1) მძიმე, წერტილი, წერტილ-მძიმე, ტირე ფრჩხილების შემდეგ:

ივანე ხან თევზსაც იპერდა, გარეულ ღორსაც კლავდა (ივანე კარგი მონადირე იყო), თუმცაღა კი ძლიერ უჩივოდა... (ე. ნინ.).

მივალწიე ჩემს მიზანს, დავუახლოვდი, გავიცან ისინი, ვისი გაცნობა და დაახლოება ისე გულით მსურდა (თუ როგორ — ჩემის ნაწერების მკითხველებზედ მივაცდებ) (ა. ყაზბ.).

ლევანი ახლა კარგად გრძნობდა, თუ რამდენად სასარგებლო იყო ფიზიკური შრომა (ბალ-ვენახში მუშაობა); რამდენად საყვარელი იყო ის, რაც მისმა მარჯვენამ დარგა და გაახარა.

ის სამუშაო დღეებში ქალაქში იყო, უქმე დღეებში (მაგალითად, კვირაობით) — სოფელში.

2) კითხვის ნიშანი, ძახილის ნიშანი (ცალ-ცალკე და ერთად), მრავალწერტილო ფრჩხილების წინ:

მართა. ასე არაა, ოსიკო ჩემო? (ოსიკო იცინის) (დ. კლდ.).

ყმაწვილები. ფილიპეს გაუმარჯოს!.. გაუმარჯოს ფილიპეს! (მოაწვდიან ყანწით ღვინოს). (დ. კლდ.).

როდამიშვ. შემაშინა მაგისმა შეხედვამ, თუ რა ჰგონია?! (ვიქტორს გაჰყავს) (დ. კლდ.).

შ ე ნ ი შ ე ნ ა: 1) ფრჩხილების წინ წერტილი დაისმის იმ შემთხვევაში, როდესაც წინამავალი წინადადების შემდეგ ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები ცალკე ნაწილად არის გააზრებული, მაგალითად:

აი ჩვენი ბრწყინვალე გამარჯვება. (ტაში).

ჩვენ ვიკავთ ხალხთა მეგობრობას, ჩვენ გვსურს მშვიდობა. (ხანგრძლივი ტაში).

სოხუმი, 1 მაისი. (საკუთარი კორესპონდენტი).

ან ასე: სოხუმო, 1 მაისი. (საქ. კორ.).

2) ფრჩხილების შემდეგ დაისმის ძახილის ან კითხვის ნიშანი იმ შემთხვევაში, როდესაც წინა ნაწილი და ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები ერთნაირად მოითხოვენ ამ ნიშნებს, მაგალითად:

რად მიჭაერდები (მლანძღავ)? (ვ. ფშავ.).

3) ძახილის ან კითხვის ნიშანი და მრავალწერტილი შეიძლება დაისვას ფრჩხილებში ჩასმულ სიტყვებთანაც, თუ ამას მოითხოვს ამ სიტყვების შინაარსი, მაგალითად:

დავლიეთ გავიხარია... (ვამაყობ საქართველოში) (გ. ტაბ.).

კარგი მოსწავლეები (ვანა ცოტა გვეყავს ასეთები?) გაკეთილებს სისტემატურად ამზადებენ.

მას სასწავლო ნიუთები (წიგნები, რვეულები, ფანქარი, კალმისტარი...) ყოველთვის თავის სამუშაო მაგიდაზე ეწყობ.

ორმაგი ფრჩხილების საკურობების დროს ერთნაირი ფრჩხილების გამოყენება დასაშვებია არ არის. უმჯობესია გარეთ დავსვათ კავები (კვადრატული ფრჩხილები), შიგნით კი მრგოლანი.

ბ რ ჳ ყ ა ლ ე ბ ი ს გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ი ს დ რ ო ს

I. წერტილი, მძიმე, წერტილ-მძიმე, ორწერტილი და ტირე არ დაისმის დამხურავი ბრჭყალების წინ. ისინი დაისმის მხოლოდ ბრჭყალების შემდეგ, მაგალითად:

1) წერტილი ბრჭყალების შემდეგ:

ზურაბმა ამაყად განაცხადა: „მე უსათუოდ აგრონომი ვიქნები“.

გივიმ ზეპირად იცის პოემა „ბედი ქართლისა“.

2) მძიმე ბრკეალების შემდეგ:

მას წაუკითხავს ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“, მაგრამ ზეპირად არ უსწავლია.

„ჩვენ ყოველთვის კარგად უნდა ვიმუშაოთ“,—თქვა ახალგაზრდა გელამ.

8) წერტილ-მძიმე ბრკეალების შემდეგ:

ნიკოს კარგად შეუსწავლია ბევრი ცნობილი ნაწარმოები, განსაკუთრებით „ვეფხისტყაოსანი“; კარგად ახსოვდა მოქმედი პირების თავგადასავალი და აფორიზმები, მაგრამ ნაწარმოების იდეურ-მხატვრულ ანალიზს ჯერ კიდევ ვერ ახერხებდა.

4) ორწერტილი ბრკეალების შემდეგ:

აი რამდენ ანიონს შეიცავს „ბორჯომი“: ქლორს, ბრომს, იოდს, სულფატსა და ბიკარბონატს.

5) ტირე ბრკეალების შემდეგ:

ილია ქავჭავაძის ცნობილი პოემა „განდევილი“—ეს მეტად საინტერესო ფილოსოფიური შინაარსის ნაწარმოები—საშუალო სკოლაშიც ისწავლება.

II. კითხვის, ძახილის (ან კითხვისა და ძახილის) ნიშნები და მრავალწერტილი დაისმის დამხურავი ბრკეალების წინ, თუ ეს სასვენო ნიშნები ბრკეალებში ჩასმულ სიტყვებს განეკუთვნება, მაგალითად:

1) კითხვის ნიშანი:

უცნობმა მკითხა: „გივი აქ ცხოვრობს?“

„ამირანია?“—კელავ ვკითხავ ტყეებს (გ. ტაბ.).

მწარე დაცინვას შეიცავს აკაკი წერეთლის ლექსი „ვინ არის?“

„იქნებ დღეს თვითონ წავიდა სადმე მამა?“—გაიფიქრა ზურიკომ (გ. ნახუცრ.).

2) ძახილის ნიშანი:

„რა მშვენიერი სურათია!“—სიხარულით წარმოთქვა პატარა დოღომ.

მღუმარე ველზე წამომდგარა დაჭრილი პაპა და ამბობს:

„ძმებო, ზეცას თქვენი სული განათდეს!“ (ვ. გაბესკ.).

ისმის ყიჟინა: „დაჰკარ!“ „სძლიე!“ „ქართლზე მშვიდობა!“

(ვ. გაბესკ.).

ალიო მირცხულავას პოემა „აი, ადამიანი!“ ძალიან მოეწონა მზიას.

8) კითხვისა და ძახილის ნიშნები:

„ამას რას ვხედავ?!“—წამოიძახა გაოცებულმა დედამ. ბრაზობს: „რად იციან რა გოგია და თინია?!“ (ი. სიხარ.).

„ქყიე-ქყიე, რა გატირებს?!“—ყიენა დასცეს ახლა აკაციის ხიდან ბელურებმა (ა. ხახუტ.).

იროდიონ ეედოშვილის „ეგ ვარდი თუ?!“ სატრფიალო ხასიათის პატარა ლექსია.

1) მრავალწერტილი:

„ამ ტკბილი სიტყვების შემდეგ მჯერა, რომ თქვენ გულკეთილი...“ — კმაყოფილებით, მაგრამ წყვეტილად წარმოთქვა მოხუცმა.

„ვეტყვი მამას, ხეალ ახალი კოსტუმით წავიდეს ქარხანაში. არ შეიძლება ფაქიზად იმუშაოს? დიახ, შეიძლება...“—გაიფიქრა ზური-კომ და აბაზანას ცეცხლი შეუკეთა (ლ. მეგრ.).

III. კითხვის, ძახილის (აგრეთვე კითხვისა და ძახილის) ნიშნები ან მრავალწერტილი დაისმის ბრჭყალების შემდეგ, თუ ეს ნიშნები განეკუთვნება მთელ წინადადებას ბრჭყალებში ჩასმული სიტყვებითურთ და არა მარტო ბრჭყალებში ჩასმულ სიტყვებს, მაგალითად:

1) კითხვის ნიშანი:

— ვინ იცის ზეპირად დავით გურამიშვილის ლექსი „სწავლა მოსწავლეთა“?—იკითხა მასწავლებელმა.

ან „მესაფლავეს“ რისთვის ვმღეროდი, ან ვინ ისმენდა ჩემს „მე და ლამეს“? (გ. ტაბ.).

2) ძახილის ნიშანი:

მართლაც, შესანიშნავი ნაწარმოებია ილიას „ოთარაანთ ქერივი“! — უპუროდ ნუ ჰამ, ნიკუშა! გულს „დაგიძმარავს“!—აფრთხილებდა მამიდა თეო (მარიჯანი).

3) კითხვისა და ძახილის ნიშნები:

— ნუთუ არ გინახავს კინოსურათი „ბაში-აჩუკი“?!—გაკვირვებით ჰკითხა ნენომ ამხანაგს.

— ვის არ მოეწონა „აბესალომ და ეთერი“?!—გაიოცა მასპინძელმა.

4) მრავალწერტილი:

მას ყველაფერი გაუმეორებია, მაგრამ ილია ჰკავკავადის პოემა „აჩრდილი“...

IV. თუ კითხვითი, ძახილის ან კითხვით-ძახილის წინადადების ბოლოს მოთავსებულია კითხვის, ძახილის ან კითხვისა და ძახილის ნიშნებიანი სიტყვები, ბრჭყალების შემდეგ იმავე ნიშნების განმეორება დაუშვებელია. მაგალითად, ამ ტიპის წინადადებები იწერება ასე:

წავიკითხაეთ თუ არა აკაკი წერეთლის ლექსი „ვინ არის“?

ეკ, რა შემადრწუნებელი სურათია მოცემული შიო არაგვისპირელის მოთხრობაში „რა ზიზლით მიცქერის!“

ნუთუ ამდენ ხანს ვერ წაიკითხეთ „მერე რილათი იცხოვროს?!“

თუ წინადადება მოითხოვს, ასეთ შემთხვევაში შეიძლება დაისვას მხოლოდ განსხვავებული ნიშანი, მაგალითად:

აი, რა დაუნდობლად ამათრახებს ვაჟა ფშაველა უქნარა, ყოყოჩა, მატყუარა, ლოთ, უვიც და მბებზლარ ადამიანს ლექსში „ვინ არის კაცი?“.

სკოლაში არ გისწავლიათ შიო არაგვისპირელის მოთხრობა „მიწაა!“?

თუ ციტატის დასაწყისში ან ბოლოს ორმაგ ბრჭყალებს დასმა არის საჭირო, მაშინ გარეთ უნდა ვიხმაროთ ბრჭყალების მეორე მოხაზულობა, კუთხური,— « », მაგალითად:

დიქტორმა გამოაცხადა «„თბილის—ბორჯომი“ სადგურიდან გავა 12 საათზე».

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი იტყობინება: „მოსკოველებს ძალიან მოეწონათ ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისი“».

მაგრამ, თუ მხოლოდ ერთი სახის ბრჭყალები ვიხმარეთ, მათი ორჯერ დასმა დაუშვებელია. ასეთ შემთხვევაში იგივე წინადადებები ასე დაიწერება.

დიქტორმა გამოაცხადა: „თბილის—ბორჯომი“ სადგურიდან გავა 12 საათზე“.

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი იტყობინება: „მოსკოველებს ძალიან მოეწონათ ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისი““.

დასკვნა

ამრიგად, ადამიანთა ურთიერთობის დროს აზრის გასაგებად გადმოცემისათვის, გარდა სიტყვების შერჩევისა და მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირებისა, დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ზეპირი მეტყველების დროს ინტონაციას—ხმის სათანადო აწვევ-დაწვევას, რიტმს, ტონს, პაუზასა და მახვილს, წერის დროს კი—სასვენი ნიშნების სწორად დასმას.

სასვენი ნიშნების საშუალებით წერილობით გადმოსაცემ აზრებს ვანაწევრებთ გარკვეულ აზრობრივ ერთეულებად და ამით ეხდით მათ ადვილად წასაკითხავად და გასაგებად.

ქართულში, როგორც ბევრ სხვა სამწერლობო ენაში, იხმარება

შემდეგი სასჯენი ნიშნები: წერტილი, კითხვის ნიშანი, ძახილის ნიშანი, მრავალწერტილი, მძიმე, წერტილ-მძიმე. ორწერტილი, ტირე, ბრჭყალები და ფრჩხილები, აგრეთვე რიგი კომბინირებული ნიშნები, მაგ.: კითხვის ნიშანი და ძახილის ნიშანი ერთად, მძიმე და ტირე, კითხვის ნიშანი და ტირე, ძახილის ნიშანი და ტირე. კითხვისა და ძახილის ნიშნები და ტირე, ორწერტილი და ტირე, მრავალწერტილი და ტირე.

- წერტილი დაისმის: 1) თხრობითი წინადადების ბოლოს, 2) ბრძანებითი წინადადების ბოლოს, როცა ეს წინადადება არ არის გადმოსაცემი გრძნობით, 3) ნუმერაციისთვის გამოყენებული ციფრების ან ასოების ბოლოს, როცა არ ახლავს ფრჩხილი. 4) სიტყვის შეკვეცის ნიშნად.

კითხვის ნიშანი დაისმის:

- კითხვითი წინადადების ბოლოს, 2) ეჭვის გამოსახატავად ან გაუგებარი ადგილის მისათითებლად კრიტიკულ ნაწარმოებში (ჩაისმის ფრჩხილებში).

3. ძახილის ნიშანი დაისმის:

- ძახილის წინადადების ბოლოს, 2) წყვეტილად წარმოსათქმელი განმეორებული სიტყვების ბოლოს, 3) ბრძანებითი წინადადების ბოლოს, როცა ეს წინადადება გადმოსაცემია გრძნობით, 4) წინადადებასთან გრამატიკულად დაუკავშირებელი სიტყვების—მიმართვის, შორისდებულისა და მიგებითი ნაწილაკის ბოლოს, როცა ეს სიტყვები გადმოსაცემია გრძნობით. 5) ავტორის დამოკიდებულების გამოსახატავად ციტატად გამოყენებული ტექსტის აზრისადმი კრიტიკულ წერილში (ჩაისმის ფრჩხილებში).

4. კითხვისა და ძახილის

ნიშნები ერთად დაისმის:

- კითხვით-ძახილის წინადადების ბოლოს, 2) წყვეტილად წარმოსათქმელი ისეთი არასრული წინადადების ბოლოს, რომელიც გამოხატავს როგორც კითხვას, ისე გრძნობას,

- სხვისი ნათქვამისადმი ეჭვისა და გაკვირვების გამოსახა-

ტავად კრიტიკულ წერილში (ჩაისმის ფრჩხილებში).

5. მრავალწერტილი დაისმის: ა) წინადადებაში აზრის დაუმთავრებლობის აღსანიშნავად,
ბ) სიტყვის ან წინადადების შემდეგ ხანგრძლივი პაუზის გამოსახატავად,
გ) წინადადებაში წყვეტილად სათქმელი ან დაუმთავრებელი სიტყვის ბოლოს,
დ) წინადადებაში განგებ გამოტოვებული სიტყვის ადგილას,
ე) გამოტოვებული ადგილის აღსანიშნავად ციტატის თავში, შუაში ან ბოლოს.

6. მძიმე დაისმის: ა) მიმართვის გამოსაყოფად,
ბ) ჩართული სიტყვისა და წინადადების გამოსაყოფად,
გ) შორისდებულის გამოსაყოფად,
დ) მიგებითი ნაწილაკის გამოსაყოფად,
ე) განმეორებული სიტყვების გამოსაყოფად,
ვ) დანართის გამოსაყოფად,
ზ) განკერძოებული განსაზღვრების გამოსაყოფად,
თ) განკერძოებული გარემოების გამოსაყოფად,
ი) რამდენიმე განკერძოებული წევრის გამოსაყოფად,
კ) განკერძოებული სიტყვების გამოსაყოფად, რომელთაც თანდებულად ახლავთ: გარდა, ნაცვლად, მიუხედავად, შედეგად, თანახმად, მსგავსად, წინააღმდეგ და სხვ.

ლ) ერთგვარი წევრების ერთმანეთისგან გამოსაყოფად შერწყმულ წინადადებაში: უკავშირო შეერთებისას, კავშირიანი შიგერთებისას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა და ან ამ დანიშნულებით გამოყენებული თუ კავშირია, ან კიდევ მხოლოდ ერთი ან არის მოცემული,

მ) უკავშირო რთულ თანწყობილ წინადადებაში შემავალი წინადადებების ერთმანეთისგან გამოსაყოფად,

ნ) კავშირიან რთულ თანწყობილ წინადადებაში შემავალი წინადადებების ერთმანეთისგან გამოსაყოფად, როცა და კავშირი არ არის გამოყენებული,

ო) უკავშირო რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარი და დამოკიდებული წინადადებების ერთმანეთისგან გამოსაყოფად,

პ) კავშირიან რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარი და დამოკიდებული წინადადებების ერთმანეთისგან გამოსაყოფად,

- ჟ) თანაღამოკიდებული წინაღაღებების გამოსაყოფად, როცა და კავშირი არ არის გამოყენებული,
- რ) არათანაღამოკიდებული წინაღაღებების გამოსაყოფად,
- ს) სხვადასხვა ხარისხის დამოკიდებული წინაღაღებების გამოსაყოფად,
- ტ) რთულ ქვეწყობილ წინაღაღებაში ორი კავშირის ერთმანეთისგან გამოსაყოფად.

წერტილ-მძიმე დაისმის: ა) შერწყმულ წინაღაღებაში გავრცობილი სახის ერთგვარი წევრების ერთმანეთისგან გამოსაყოფად,

ბ) შერწყმულ წინაღაღებაში ერთგვარი წევრების გამოსაყოფად, როცა მათ ცალ-ცალკე ახლავთ დამოკიდებული წინაღაღება;

გ) რთულ თანწყობილ წინაღაღებაში შემავალი გავრცობილი წინაღაღებების ერთმანეთისგან გამოსაყოფად.

დ) რთულ ქვეწყობილ წინაღაღებაში შემავალი გავრცობილი წინაღაღებების ან ისეთი წინაღაღებების გამოსაყოფად, რომელნიც ერთმანეთთან აზრობრივად მკიდროდ არ არის დაკავშირებული,

ე) გავრცობილი სახით მოცემული ერთგვარი წევრების ან წინაღაღებების სახით მოცემული საკითხების ბოლოს ჩამოთვლისას.

8. ორწერტილი დაისმის: ა) შერწყმულ წინაღაღებაში შემკრები სიტყვის შემდეგ. რომელსაც მოსდევს ერთგვარი წევრების ჩამოთვლა,

ბ) შერწყმულ წინაღაღებაში ერთგვარი წევრების წინ დასმული შემასმენლის ბოლოს, თუ ეს შემასმენელი შედარებით ხანგრძლივი ჰაუზითაა გამოსაყოფი და მიგვითითებს ჩამოთვლაზე,

გ) უკავშირო რთულ ქვეწყობილ წინაღაღებაში მოუბრის სიტყვების შემდეგ, როცა მას მოსდევს სხვისი ნათქვამი,

დ) უკავშირო რთულ ქვეწყობილ წინაღაღებაში მთავარი წინაღაღების შემდეგ, როცა მომდევნო დამოკიდებული წინაღაღება გამოხატავს მოქმედების მიზეზს, მიზანს ან შედეგს.

ე) უკავშირო რთულ ქვეწყობილ წინაღაღებაში ისეთი დამოკიდებული წინაღაღების გამოსაყოფად, რომელიც გამოყენებულია მთავარი წინაღაღების ახსნა-განმარტებისთვის.

ვ) ავტორის სიტყვების შემდეგ, რომელსაც მოსდევს ციტატი.

8. ტირე დაისმის: ა) მარტივ წინადადებაში ქვემდებარესა და შედგენილ შემასმენელს შორის, როცა გამოტოვებულია მეშველი ზმნა,

ბ) მარტივ წინადადებაში ქვემდებარესა და სხვა წევრს შორის. როცა გამოტოვებულია შემასმენელი,

გ) ორ ან მეტ სიტყვას ან რიცხვს შორის, როცა ამ სიტყვებით ან რიცხვებით აღინიშნება მანძილი, დრო ან რაოდენობა,

დ) ჩვენებითი ნაცვალსახელების—ეს, ეგ, ასეთი... ან ნაწილაკ აი-ს წინ, როცა ეს სიტყვები გამოყენებულია წინა წევრის დასაკავშირებლად მომდევნო შემასმენელთან,

ე) დამოკიდებული წინადადების შემდეგ, როცა მას მოსდევს ჩვენებითი ნაცვალსახელით ეს დაწყებული მთავარი წინადადება,

ვ) ორწერტილის ნაცვლად შემკრები სიტყვის შემდეგ რომელსაც მოსდევს ჩამოთვლა,

ზ) ჩამოთვლილი ერთგვარი წევრების ბოლოს, როცა მას მოსდევს წინადადების გაგრძელება,

თ) განკერძოებული წევრების—დანართის, განკერძოებული განსაზღვრების, განკერძოებული გარემოების—მკვეთრად გამოსაყოფად წინადადების წევრებისგან,

ი) უკავშირო რთულ თანწყობილ წინადადებაში ერთი აზრიდან მეორეზე უეცარი გადასვლის ან შედეგის მისათითებლად,

კ) წინადადებაში აზრთა მკვეთრი დაპირისპირების გამოსახატავად,

ლ) უკავშირო რთულ ქვეწყობილ წინადადებაში დროის ან პირობითი დამოკიდებული წინადადების გამოსაყოფად მომდევნო მთავარი წინადადებისგან,

მ) დიალოგში მოსაუბრეთა ნათქვამების აბზაცებად გამოსაყოფად,

ნ) დიალოგში მოსაუბრეთა ნათქვამების ერთმანეთისგან გამოსაყოფად უაბზაცოდ.

10. მძიმე და ტირე დაისმის: ა) სხვის ნათქვამიან წინადადებაში მოუბრის სიტყვებისა და სხვისი ნათქვამის ერთმანეთისგან გამოსაყოფად,

ბ) წინადადებაში ორი სასვენი ნიშნის — მძიმისა და ტირეს შეხვედრისას,

გ) მაღალი ტონით გადმოსაცემი პერიოდისგან დაბალი ტონით გადმოსაცემი პერიოდის გამოსაყოფად,

11. კითხვის ნიშანი და ტირე დაისმის სხვისი ნათქვამი კითხვითი წინადადების შემდეგ, რომელსაც მოსდევს მოუბრის სიტყვები.
12. ძახილის ნიშანი და ტირე დაისმის სხვისი ნათქვამი ძახილის ან ბრძანებითი წინადადების შემდეგ, რომელსაც მოსდევს მოუბრის სიტყვები.
13. კითხვის ნიშანი, ძახილის ნიშანი და ტირე დაისმის სხვისი ნათქვამი კითხვით—ძახილის წინადადების შემდეგ, რომელსაც მოსდევს მოუბრის სიტყვები.
14. წერტილი და ტირე დაისმის სხვის ნათქვამში გამოყენებული მოუბრის სიტყვების შემდეგ, როცა სხვისი ნათქვამის პირველი ნაწილი ცალკე წინადადებაა და გამოიყოფა მძიმითა და ტირეთი ან კითხვის ნიშნის, ძახილის ნიშნის, კითხვისა და ძახილის ნიშნებით ერთად და ტირეთი.
15. ორწერტილი და ტირე დაისმის სხვის ნათქვამში გამოყენებული მოუბრის სიტყვების შემდეგ, როცა ამ სიტყვების პირველი ნაწილი ეხება სხვისი ნათქვამის წინა ნაწილს, მეორე კი — მომდევნოს.
16. ბრჭყალებში ჩაისმის: ა) უაბზაცოდ დაწერილი უნაწილაკო პირდაპირი სხვისი ნათქვამი,
ბ) არაპირდაპირი მნიშვნელობით გამოყენებული სიტყვები,
გ) საგანთა პირობითი სახელწოდებები,
დ) ძველი, კუთხური ან სხვა ენიდან შემოტანილი, იშვიათად ხმარებული სიტყვები.
ე) ციტატები.

შემოკლებანი

- ა. აბაშ. — ალექსანდრე აბაშელი
 გ. აბაშ. — გრიგოლ აბაშიძე
 შ. არაგვ. — შიო არაგვისპირელი
 ლ. არდაზ. — ლავერენტი არდაზიანი
 ლ. ასათ. — ლადო ასათიანი
 ნ. ბარათ. — ნიკოლოზ ბარათაშვილი
 მ. ბარათ. — მარიკა ბარათაშვილი
 ვ. ბარნ. — ვასილ ბარნოვი
 დ. ბაქრ. — დავით ბაქრაძე
 ა. ბელ. — აკაკი ბელიაშვილი
 ხ. ბერ. — ხუტა ბერულავა
 ე. ვაბ. — ეკატერინე ვაბაშვილი
 ვ. ვაფრ. — ვალერიან ვაფრინდაშვილი
 ა. ვაწ. — აკაკი ვაწერელია
 რ. ვეიტ. — რაუდენ ვეიტაძე
 თ. ვოგ. — იაკობ ვოგებაშვილი
 თ. ვოგოდ. — თენგიზ ვოგოლაძე
 თ. გრიშ. — იოსებ გრიშაშვილი
 დ. გურ. — დავით გურამიშვილი
 მ. გურ. — მამია გურიელი
 შ. დად. — შალვა დადიანი
 თ. დავით. — იოსებ დავითაშვილი
 ქ. დევდ. — კლავდია დეედარიანი
 ე. ევდ. — იროდიონ ევდოშვილი
 ა. ერისთ. — ანასტასია ერისთავ-ხოშ-ტარია
 რ. ერისთ. — რაფიელ ერისთავი
 ხ. ეული. — სანდრო ეული
 ე. ზედგ. — ელიზბარ ზედგენიძე
 ნ. ზოშლ. — ნიე ზომლეთელი
 კ. კალ. — კარლო კალაძე
 მ. მიქ. — მარიკა მიქელაძე
 ხ. მგალ. — სოფრომ მგალობლიშვილი
 დ. მეგრ. — დურუტ მეგრელი
 ლ. მეგრ. — ლილია მეგრელიძე
 ხ. მთვარ. — სიმონ მთვარაძე
 ა. მირცხ. — ალიო მირცხულავა
 ი. მოს. — ილო მოსაშვილი
 მ. მრევ. — მიხეილ მრეელიშვილი
 შ. მღვიმ. — შიო მღვიმელი
 ნ. ნაკ. — ნინო ნაკაშიძე
 ე. ნინ. — ეგნატე ნინოშვილი
 ი. ნონ. — იოსებ ნონეშვილი
 ა. ონ. — არნო ონელი
 გ. ორბ. — გრიგოლ ორბელიანი
 თ. რაზ. — თედო რაზიკაშვილი
 კ. რუს. — კაპიტონ რუსიძე
 ვ. რუხ. — ვარლამ რუხაძე
 დ. სულ. — დავით სულიაშვილი
 გ. ტაბ. — გალაკტიონ ტაბიძე
 ს. ფაშ. — სიკო ფაშაიშვილი
 ვ. ფშავ. — ევა ფშაველა
 დ. ქიაჩ. — ლეო ქიაჩელი
 გ. ქიქ. — გერონტი ქიქოძე
 რ. ქორქ. — როდიონ ქორქია
 გ. ქუჩ. — გიორგი ქუჩიშვილი
 ა. ყაზბ. — ალექსანდრე ყაზბეგი
 ს. შანშ. — სანდრო შანშიაშვილი
 გ. შატბ. — გიორგი შატბერაშვილი
 დ. შენ. — დემნა შენგელაია
 გ. ჩიქ. — გრიგოლ ჩიქოვანი
 გ. კაჭახ. — გიორგი კაჭახიძე
 დ. კლდ. — დავით კლდიაშვილი
 ს. კლდ. — სერგო კლდიაშვილი
 მ. ლებ. — მურმან ლებანიძე
 ვ. ლეონ. — გიორგი ლეონიძე
 ი. ლის. — იაკინთე ლისაშვილძე
 ა. ლომ. — ანდრო ლომიძე
 ქ. ლომთ. — ქოლა ლომთაიძე
 ნ. ლომ. — ნიკო ლომოური
 კ. ლორთქ. — კონსტანტინე ლორთქიფანიძე.
 პ. ლორ. — პარმენ ლორია
 თ. მანსვეტ. — იაკობ მანსვეტაშვილი

რ. შარგ. — რევაზ შარგიანი
ბ. ჩხ. — ბორის ჩხეიძე
ო. ჩხ. — ოთარ ჩხეიძე
ნ. ჩხიყვ. — ნოე ჩხიყვაძე
ა. წერ. — აკაკი წერეთელი
გ. წერ. — გიორგი წერეთელი
ე. ჰავკ. — ილია ჰაეკიაძე

დ. კონკ. — დანიელ კონკაძე
ა. ხახუტ. — ანა ხახუტაშვილი
ხ. ხუნდ. — სიმონ ხუნდაძე
მ. ჭავახ. — მიხეილ ჭავახიშვილი
რ. ჭაფარ. — რევაზ ჭაფარიძე

ანდ. — ანდრაზ
გაზ. — გაზეთი
შდრ. — შედარეთ
ხალხ. — ხალხური

ს ა რ ჩ ე ვ ი

§ 1. შესავალი	3
სასვენი ნიშნები წინადადების ბოლოს	15
§ 2. წერტილი (.)	15
§ 3. კითხვის ნიშანი (?)	18
§ 4. ძახილის ნიშანი (!)	22
§ 5. კითხვისა და ძახილის ნიშნები (?!) .	29
§ 6. მრავალწერტილი	30
სასვენი ნიშნები წინადადებაში	33
§ 7. მძიმე (,)	33
მძიმე შერწყმულ წინადადებებში	44
§ 8. წერტილ-მძიმე (;)	76
§ 9. ორწერტილი (:)	82
§ 10. ტირე (—)	89
შეერთებული სასვენი ნიშნები	92
§ 11. მძიმე და ტირე (, —)	90
§ 12. კითხვის ნიშანი და ტირე (? —)	101
§ 13. ძახილის ნიშანი და ტირე (! —)	102
§ 14. კითხვისა და ძახილის ნიშნები და ტირე (?! —)	102
§ 15. წერტილი და ტირე (. —)	103
§ 16. ორწერტილი და ტირე (: —)	103
§ 17. ფრჩხილები [()]	104
§ 18. ბრჭყალები („ ”)	107
§ 19. სასვენი ნიშნები სხვის ნათქვამთან წინადადებაში	113
§ 20. ზოგიერთი სასვენი ნიშნის ადგილი ფრჩხილებისა და ბრჭყალების ხმარებისას	121
დასკვნა	126
ძირითადი ლიტერატურა	132
შემოკლებანი	133

რედაქტორი შ. ძიძიგური
გამომც. რედაქტორი ე. გელაშვილი
მხატვრული რედაქტორი ზ. კაპანაძე
ტექნიკური რედაქტორი ა. დოგრაშვილი
კორექტორი ნ. ცირეკიძე

ზელმოწერილია დასაბეჭდად 24/XI-66 წ. ქალაქის ზომა 60×90¹/₁₆.
ნაბეჭდი თაბახი 8,5. საარტიცხოვ-საგამომცემლო თაბახი 7,74.

უე 10216

ტირაჟი 5 000

შეკვ. № 4399

ფასი 44 კაპ.

გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, კაშოს ქ., 18
Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Камо, 18.

1966

გ. ტაბიძის სახელობის № 5 სტამბა,
ქ. ქუთაისი, თ. ჭავჭავაძის პრ., 11.
Типография № 5 имени Г. Табидзе,
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 11.